ISSN 1512 - 4649

# ახალი ეკონომისტი

## საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№3-4 2019 წელი

ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის, ბიზნესმენთა და მეცნიერთა პოზიციები)

გადასახადები, ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტი

ბიზნესი და მენეჯმენტი

საბანკო საქმე (ბანკირი, ბიზნესმენი, მეანაბრე)

საკანონმდებლო სიახლენი (სამეწარმეო სამართალი), კომენტარები

მეწარმეთა კითხვები და პროფესიონალთა პასუხები

**ჟურნალი "ახალი ეკონომისტი" რეფერირებულია:**

სსიპ ინსტიტუტ ტექინფორმის ელექტრონულ გამოცემებში „ქართულ რეფერატულ ჟურნალში".

**რეფერირებულად აღიარებულია:**

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM ბიზნესის სკოლა;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (მინსკი);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ასტანა).

**მისამართი: საქართველო,**
**0105, თბილისი, ჯორჯაძის ქ. №5**
**ტელ.: +995 (32) 2 990 576;**
**მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;**

**ელ-ფოსტა: loidk@yahoo.com**
**ვებ-გვერდი: www.economisti.ge; www.loi.ge**

**The Magazine "Akhali Ekonomisti" (New Economist) HAS BEEN REVIEWED:**

In "Georgian Reviewed Magazine" – P.L.L.E. Institute of Techinform

**ACKNOWLEDGED TO BE REVIEWED BY:**

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robakidze University;
- Tbilisi Free University, ESM Business School;
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Samtskhe-Javakheti State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;
- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia;
- East European University;
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucassus (Baku, Azerbaijan);
- State University of Belarus (Minsk);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade (Astana).

**ADDRESS: 5 Jorjadze str.,**
**0105, Tbilisi, Georgia**
**Tel.: +995 (32) 2 990 576;**
**Mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;**

**E-mail: loidk@yahoo.com**
**web-site: www.economisti.ge; www.loi.ge**

# ახალი ეკონომისტი

ყოველკვარტალური საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №3-4 (54-55), 2019

**ლოიდ ქარჩავა** - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი; საქართველოს მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე; საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი.

## სარედაქციო კოლეგია:

### მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

რამაზ აბესაძე (პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი); ნინო აბესაძე; ანზორ აბრალავა; იური ანანიაშვილი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ევგენი ბარათაშვილი; ელბერდ ბატიაშვილი; ლელა ბახტაძე; გივი ბედიანაშვილი (ევროპის უნივერსიტეტის გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტის დირექტორი); როსტომ ბერიძე (ბათუმის უნივერსიტეტი); ხათუნა ბერიშვილი; თამარ გამსახურდია; თინა გელაშვილი; სიმონ გელაშვილი; რამაზ გერლიანი; რევაზ გველესიანი (ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი); რევაზ გოგოხია; ვლადიმერ გრიგოლაია (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსეი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე); ვოლფგანგ ვენგი (ბერლინი, გერმანია); შოთა ვეშაპიძე; ნუგზარ თოდუა; გოჩა თუთბერიძე (ევროპის უნივერსიტეტის პრორექტორი); სერგეი იაკუბოვსკი (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა); მერაბ კაკულია; რევაზ კვატაშიძე (მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი); ალექსანდრე კვაშილავა; გია კვაშილავა; მურთაზ კვირკვაია (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი); ვასილ კიკუტაძე; ირაკლი კოვზანაძე (საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე); კახა კორძაია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი); პაატა კოღუაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); ენვერ ლაგვილავა; ლორდი სტივენ ლორდ ლოიდ-ბაგრატიონი (ოქსფორდის უნივერსიტეტი, ინგლისი); რევაზ ლორთქიფანიძე; ეკატერინე ლომია (საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი); შალვა მაჭავარიანი (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი); ელგუჯა მექვაბიშვილი; ნუგზარ ნადარაია (ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი); დავით ნარმანია; სოლომონ პავლიაშვილი (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე); ვახტანგ სართანია; ეთერ სარჯველაძე; ავთანდილ სილაგაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი); ალექსანდრე სიჭინავა; გელა სვირავა (ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი); დამეტკენ ტურეკულოვა (ყაზახეთის რესპუბლიკის ესთეტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი); სლავა ფეტელავა; ლევან ქისტაური (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); რუსუდან ქუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); ეკატერინე შაკიაშვილი; თეიმურაზ შენგელია; გიორგი შიხაშვილი; ფაია შულენბაევა (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაგელიშვილი; დავით ჩერქეზიშვილი (აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი); მიხეილ ჩიკვილაძე; ნიკო ჩიხლაძე; ავთანდილ ჩუთლაშვილი; ელენე ხარაბაძე; ეთერ ხარაიშვილი; რევაზ ხარებავა; ვასილ ხიზანიშვილი; დავით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); ივანე ჯაგოდნიშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი); ჯამლეტ ჯანჯღავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ემზარ ჯგერენაია; მიხეილ ჯიბუტი (საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ნანა ჯღარკავა.

**შესაძლებელია, რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს.**

© ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2019წ.
© გამომცემლობა „ლოი“

ფასი 10 ლარი

# The New ECONOMIST

**QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE,**

**PRECISED AND REVIEWED N3-4(54-55), 2019**

**LOID KARCHAVA** - Editor-in-Chief and Head of Editorial Board;
Doctor of Business Administration, Professor;
Head of the Council of Scientists of Georgia;
Academician of the Georgian Academy of Business Sciences;
Academician of the Georgian Academy of Fazisi Sciences.

**EDITORIAL BOARD**

Doctors of science, Professors:

RAMAZ ABESADZE (Director of Paata Gugushvili Economic institute); NINO ABESADZE; ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; TEIMURAZ BABUNASHVILI (Prezident of the Georgian Academy of Business Sciences; EVGENI BARATASHVILI; ELBERD BATIASHVILI; LELA BAKHTADZE; GIVI BEDIANASHVILI (Director of the European Univercity's Institute of Research of economic and social problems of Globalization); ROSTOM BERIDZE (Batumi state university); KHATUNA BERISHVILI; TAMAR GAMSAKHURDIA; TINA GELASHVILI; SIMON GELASHVILI; RAMAZ GERLIANI; REVAZ GVELESIANI (Director of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); REVAZ GOGOKHIA (Editor-in-Chief of magazine „Economy and Business"); VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Deputy of Rector of BelarusiaState University); WOLFGANG WENG (Berlin, Garmany); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE (Prorector of European University); SERGEY YAKUBOVSKIY (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); MERAB KAKULIA; REVAZ KVATASHIDZE; ALEKSANDRE KVASHILAVA; GIA KVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management Scool of G. Robakidze University); VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE (Head of Budget and Finance Committee of Parliament of Georgia); KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); PAATA KOGUASHVILI (member of Georgian Academy of Agriculture); HARALD KUNZ (Brandenburg, Garmany); ENVER LAGVILAVA; The Rt Hon STEVEN LORD LLOYD-BAGRATIONI (University of Oxford, England); REVAZ LORDKIPANIDZE; EKATERINE LOMIA (Head of Department of International Relations); SHALVA MACHAVARIANI (Vice-Prasidenrt of Caucasus University in sciens field); ELGUJA MEQVABISHVILI; MARIAM MGEBRISHVILI; NUGZAR NADARAIA (Prezident of the Academy of Fazisi Sciences); DAVID NARMANIA; SOLOMON PAVLIASHVILI (Rectot of Tbilisi University); VAKHTANG SARTANIA; ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE (Member of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA (Editor-in-Chief of magazine „Business Engineering"); GELA SVIRAVA; DAMETKEN TUREKULOVA (Academician of a Esthetical Science Academy of Kazakhstan, University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); SLAVA FETELAVA; LEVAN KISTAURI (Dean of Economics and Business Administration Faculty of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Tecnical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; DAVID CHERKEZISHVILI (Rector of East European University)MICHAEL CHIKVILADZE; NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI; ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; REVAZ KHAREBAVA; VASIL KHIZANISHVILI; DAVID JALAGONIA (Dean of Economics and Buziness Faculty of Suxumi State University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); EMZAR JGERENAIA; MICHAEL JIBUTI (Prezident of the Georgian Academy of Economics Sciences); NANA JGHARKAVA.

## მეცნიერება

**ლაშა მგელაძე**
ეროვნული ვალუტა საქართველოში, ეკონომიკური
განვითარების შემაფერხებელი თუ ხელშემწყობი ინსტრუმენტი ------------------------7

**სლავა ფეტელავა**
კონკურენციის ეკონომიკური საფუძვლები-------------------------------------------------- 22

**ლაშა ტაბატაძე**
მენეჯმენტის თეორიების ევოლუცია ------------------------------------------------------- 27

**კობა სოხაძე**
საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა სახელმწიფო
მხარდაჭერის ზოგიერთი საკითხის შესახებ ------------------------------------------------- 31

**გივი ემუხვარი**
ქვეყნის ეკონომიკის გაუმჯობესების ზოგიერთი საკითხები ---------------------------- 40

**ვასილ ხიზანიშვილი**
სტრატეგიული მარკეტინგის ორი მიდგომის კონცეპტუალური ანალიზი ------------ 44

**ეკატერინე ლომია**
პოლიტიკური პარტიები, როგორც პოლიტიკური პროცესის
შემადგენელი ნაწილი (ფუნქციები, მიზნები და დანიშნულება) ------------------------- 48

**სოფიკო გულედანი**
კულტურული დისტანციის ანალიზი -------------------------------------------------------- 59

**ნანა სულაძე**
შემოსავლების უთანაბრობის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე -------------------------- 64

**თამარ ქარაია**
ახალი ლექსიკური ერთეულების წარმონაქმნის ტენდენცია
თანამედროვე ინგლისურ ენაში---------------------------------------------------------------- 72

## SCIENCE

**LASHA MGELADZE**

National currency in Georgia, an instrument which impedes facilitates of economic development---------------------------------------------------- 7

**SLAVA FETELAVA**

Economic Foundations of Competition ----------------------------------------------------------22

**LASHA TABATADZE**

The Evolution of Management Theories ----------------------------------------------------------27

**KOBA SOKHADZE**

On Some Issues of State Support for Small and Medium Enterprises in Georgia ----------31

**GIVI EMUKHVARI**

Some issues about improving the country's economy-------------------------------------------40

**VASIL KHIZANISHVILI**

The conceptual analysis of two approaches to strategic marketing --------------------------44

**EKATERINE LOMIA**

Political parties as an integral body of political process (Functions and purposes)-------48

**SOFIKO GULEDANI**

Analysis of cultural distance---------------------------------------------------------------------- 59

**NANA SULADZE**

Impact of Income Inequality on Economic Growth -------------------------------------------- 64

**TAMAR KARAIA**

Trends in Producing New Vocabulary Units in Modern English ------------------------------ 72

# ეროვნული ვალუტა საქართველოში, ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი თუ ხელშემწყობი ინსტრუმენტი



**ლაშა მგელაძე**
ეკონომიკის დოქტორი
ტელ: (+995) 577229889
ელ.ფოსტა: lmgeladze@gmail.com

*სტატია ეხება ქვეყნისა და ბიზნესისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს, ეროვნულ ვალუტასა და ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკას. ნაშრომში მიმოხილული და შეფასებულია არსებული მდგომარეობა, აღწერილია თუ რა რისკებს ქმნის ეროვნული ვალუტის არსებობა ქვეყანაში და რას მოიტანს ქვეყნისთვის ეროვნულ ვალუტაზე უარის თქმა. მოყვანილია სხვადასხვა ქვეყნის მაგალითები და შემოთავაზებულია ქვეყნის სავალუტო სისტემის მოწყობის რეკომენდაციები/მოდელი.*

სიახლეს არ წარმოადგენს, რომ ვალუტა ამა თუ იმ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. უფრო მეტიც ეროვნული ვალუტა (ეროვნული ბანკისა და ფულად საკრედიტო პოლიტიკის არსებობის ფარგლებში) ქვეყნის ეკონომიკური მდგომაროების შეფასების ერთგვარი საზომი საშუალებაა (თერმომეტრია). მისი მდგომარეობა (დევალვაცია, ინფლაცია, დეფლაცია) გვიჩვენებს თუ რამდენად ჯანსაღი მდგომარეობაა ეკონომიკაში. შესაბამისად, როცა ვხედავთ, რომ ეროვნული ვალუტის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია (სახეზეა ზომაზე მეტი, ეკონომიკურად ნიშანდობლივი, დევალვაცია, ინფლაცია ან დეფლაცია) მიზეზი უნდა ვეძებოთ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პოლიტიკის (ეკონომიკური გარემოს) ხარვეზებში, რამ გამოიწვია ეროვნული ვალუტის არასახარბიელო მდგომარეობა (მაგ. რამ მიიყვანა ვალუტა გაუფასურებამდე). მსგავს შემთხვევებში, უმეტესად არაეფექტიანია, შეეცადო ეროვნული ვალუტის კურსის დასტაბილურებას „მკურნალობას" (ეს იგივეა როცა თერმომეტრი მაღალ ტემპერატურას გაჩვენებს უმკურნალო არა ავადმყოფს, არამედ გააცივო თერმომეტრი იმ იმედით, რომ მისი ტემპერატურა აღარ აიწევს).

აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყანაში ეროვნული ვალუტის არსებობის ეკონომიკური მიზანშეწონილობა შემდეგში მდგომარეობს: უზრუნველყოფილ იქნეს ქვეყნის ეკონომიკის მეტ-ნაკლები დამოუკიდებლობა და შესაძლებელი გახდეს ეროვნული ეკონომიკის დაცვა გარე რისკებისაგან/რყევებისაგან (ქვეყნის ეკონომიკას მყისიერად, რომ არ შეეხოს მსოფლიოში წარმოქმნილი კრიზისები და გარე ეკონომიკური საფრთხეები. ადრე თუ გვიან წარმოქმნილი გლობალური ეკონომიკური საფრთხე/კრიზისი მაინც აღწევს ეროვნულ ეკონომიკამდე, თუმცა მისი ზიანის ხარისხი დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე, თუ რამდენად მომზადებული ხვდება ქვეყანა წარმოქმნილ ეკონომიკურ კრიზისს). შესაბამისად, ეროვნული ბანკის ფუნქციები და ფულად საკრედიტო პოლიტიკაც სწორედ აქეთ არის მიმართული (უნდა იყოს მიმართული), ხელი შეუწყოს ფინანსურ მდგრადობას ქვეყანაში, ფინანსურ ბაზარზე ჯანსაღი გარემოს (ჯანსაღი კონკურენციის პირობების) დამკვიდრებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გვინდა განვიხილოთ ეროვნული ვალუტის ფენომენი საქართველოში. ვფიქრობთ, რომ ბოლო წლებში, ეროვნული ვალუტის (ლარის) ირგვლივ განვითარებული მოვლენები (ცალსახაა, რომ ლარი პერმანენტული გაუფასურების, შეიძლება ითქვას ინფლაციის რეჟიმშია. აღნიშნული ქვემოთ მოცემული გრაფიკიდანაც ნათლად ჩანს) კიდევ უფრო აქტუალურს ხდის

აღნიშნულ საკითხს.

როგორც ცნობილია, საქართველოში ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად დაწესებულია ეროვნული ვალუტა, ლარი. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ქვეყანაში ფუნქციონირებს ეროვნული ბანკი, რომლის ფუნქციები შემდეგი ფორმით არის განსაზღვრული:

„1. ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა.

2. ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს საფინანსო სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას, თუ ეს შესაძლებელია ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას.

3. ეროვნული ბანკის ფუნქციებია:

ა) შეიმუშაოს და განახორციელოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად;

ბ) განახორციელოს საფინანსო სექტორის ზედამხედველობა;

გ) უზრუნველყოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირება;

დ) ფლობდეს, შეინახოს და განკარგოს ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები;

ე) იყოს საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი...

ვ) ხელი შეუწყოს საგადახდო სისტემის უსაფრთხო, მდგრად და ეფექტიან ფუნქციონირებას;

ზ) განახორციელოს საქართველოს ფულის ნიშნების ემისია;

თ) საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შესაბამისად აწარმოოს და გაავრცელოს ქვეყნის საფინანსო და საგარეო სექტორების სტატისტიკა;" [2, მუხლი 3]

ასევე:

„ეროვნული ბანკის ამოცანაა საფინანსო სექტორის ფინანსური მდგრადობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა, მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვა. ამ ამოცანის შესასრულებლად ეროვნული ბანკი ვალდებულია ხელი შეუწყოს საფინანსო სისტემის სტაბილურ და ეფექტიან ფუნქციონირებას, კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას, სისტემური რისკის კონტროლს, პოტენციური რისკების შემცირებას." [2, მუხლი 47]

მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, ქვეყანაში ეროვნული ვალუტის არსებობას მორალურად (არსებობს მოსაზრება, რომ ეროვნული ვალუტა ქვეყნის იდენტობასთან, სახელმწიფოებრიობასთან პირდაპირ კავშირშია და მისი გაუქმება ეროვნული იდენტობის დაკარგვის ტოლფასია) და ეკონომიკურად გამართლებული მიზეზი აქვს, მიზანშეწონილია ადეკვატურად შევაფასოთ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და მოკლედ მიმოვიხილოთ არსებულ მდგომარეობამდე ლარის მისვლის ისტორია:

1. საქართველოში პირველი, ეროვნული, დროებითი ფულის ერთეული - კუპონი, შემოღებული იქნა 1993 წელს. კუპონის შემოღების აუცილებლობა გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ 1992 წელს რუსეთმა, ფაქტობრივად, შეაჩერა საქართველოსთვის რუსული რუბლის ბანკნოტების მიწოდება (მანამდე ქვეყანაში საგადამხდელო საშუალებად რუბლი გამოიყენებოდა). შესაბამისად, როგორც აღვნიშნეთ 1993 წლის აპრილში შემოღებული იქნა დროებითი ფულადი ერთეული კუპონი.

უნდა აღინიშნოს, რომ კუპონი ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გამო მალევე გადავიდა ინფლაციურ მდგომარეობაში 1993-1994 წლებში ინფლაცია საშუალოდ, 50-70%-ს, ხოლო პური მხოლოდ ტალონებზე იყიდებოდა. იმ პერიოდში პენსია ამერიკული 10 ცენტის ეკვივალენტს, ხოლო საშუალო ხელფასი – 1,5 აშშ დოლარს შეადგენდა. [29] ინფლაციური მდგომარეობა კი მალევე ჰიპერინფლაციაში გადაიზარდა.

უფრო დეტალურად კუპონის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში შედეგი სახის იყო: 1993 წ. 25 ნოემბერი **1 აშშ დოლარი= 44 550კუპონი;** 30 დეკემბერი **1 აშშ დოლარი = 102 300კუპონი;** 26 თებერვალი **1 აშშ დოლარი = 233 500 კუპონი;** 31 მარტი **1 აშშ დოლარი = 384 000კუპონი;** 21 აპრილი **1 აშშ დოლარი = 1 025 000კუპონი;**

1994 წ. 26 მაისი **1 აშშ დოლარი = 805 000კუპონი;** 25 ივნისი **1 აშშ დოლარი = 814 000კუპონი;** 28 ივლისი **1 აშშ დოლარი = 915 000კუპონი;** 20 სექტემბერი **1 აშშ დოლარი = 2 400 000კუპონი;** 23 სექტემბერი **1 აშშ დოლარი = 2 400 000კუპონი;** 29 სექტემბერი **1 აშშ დოლარი = 2 350 000კუპონი.** [30]

2. 1995 წელს ჰიპერინფლაციის მოთოკვისათვის პირველ ეტაპზე 1 აშშ დოლარი = 1 300 000 კუპონის ოდენობით დაფიქსირდა (დაჭერილ იქნა სტაბილურად კურსი) და შემდგომ ეტაპზე შემოღებული იქნა (მიმოქცევაში გაშვებული იქნა) ეროვნული ვალუტა - ლარი.

1995 წლის 2 ოქტომბერს მოხდა კუპონის დენომინაცია, შემცირდა მისი მასშტაბი მილიონჯერ და დადგინდა გადაცვლის კურსი 1 აშშ დოლარი = 1, 3 ლარი, [30]

3. სურათის უკეთ დასანახად საინტერესოა ლარის გაცვლითი კურსის სტატისტიკა აშშ. დოლართან მიმართებაში. კერძოდ, ლარის წლიური საშუალო გაცვლითი კურსი აშშ. დოლართან მიმართებაში წლების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

2001 წ. **1$=2.08;**

2002 წ. **1$=2.19**;

2003 წ. **1$=2.15;**
2004 წ. **1$=1.92;**
2005 წ. **1$=1.81**;
2006 წ. **1$=1.78;**
2007 წ. **1$=1.67**;
2008 წ. **1$=1.49;**
2009 წ. **1$=1.67;**
2010 წ. **1$=1.78;**
2011 წ. **1$=1.69;**
2012 წ. **1$=1.65;**
2013 წ. **1$=1.66;**
2014 წ. **1$=1.77;**
2015 წ. **1$=2.28;**
2016 წ. **1$=2.35;**
2017 წ. **1$=2.5;**
2018 წ. **1$=2.53;**

2019 იანვარი-ოქტომბერი მდგომარეობით **1$=2.78** (იხ. გრაფიკი). [6]




ქვეყანაში არსებული სიტუაცია შემდეგნაირია:

1. შეიძლება ითქვას, ეროვნული ვალუტა, , 2012 წლიდან პერმანენტული დევალვაციის (თუ ფასების ცვლილებებს დავაკვირდებით თამამად შეიძლება ითქვას რომ ინფლაციის) პროცესშია (2002-2012 წწ. ეროვნული ვალუტა გამყარების ტენდენციით ხასიათდებოდა. ლარი, აშშ დოლართან მიმართებაში 2.19-დან 1.65-მდე გამყარდა. ლარის შემოღებიდან 1995 წლიდან 2002 წლამდე პერიოდში კი ეროვნული ვალუტა აშშ დოლართან მიმართებაში 1.3-დან 2.19-მდე გაუფასურდა[1]). როგორც ზემოთ მოცემული მონაცემებიდან ირკვევა - 2012 წელს, საშუალოდ, 1$=1.65 ლარის ტოლი იყო, ხოლო 2019 წლის იანვარ-ოქტომბრის მდგომაროებით 1$=2.78 ლარს.

2. ეროვნულ ვალუტას დაკარგული აქვს დაგროვების ფუნქცია. გრძელვადიანი ბიზნეს გათვლების გაკეთება (ლარზე იმედის დამყარება, დანაზოგების ლარში გაკეთება და ა.შ.) აზრსმოკლებული და სარისკოა. (აღნიშნულზე მიუთითებს ე.წ. „ლარიზაციის პროგრამა"[3] და ზემოთ მოტანილი ლარის კურსის გრაფიკი).

3. მოსახლეობა საკუთრებაში არსებული ფასეული ნივთების ყიდვა-გაყიდვას (ეს კარგად ჩანს უძრავი ქონებისა და ავტომობილების მაგალითზე - ფასს ყველა დოლარში აფიქსირებს) აწარმოებს დოლარში მიუხედავად იმისა, რომ აკრძალულია დოლარით ანგარიშსწორება.

4. ინვესტორისთვის მკვეთრად გაზრდილია ფინანსური/სავალუტო რისკი (მას აქვს უცხოური ვალუტა მაგ. დოლარი და უნდა მოახდინოს ამ თანხების კონვერტაცია ლარში საქართველოში ოპერირებისათვის). გაზრდილი ფინანსური/სავალუტო რისკი ქვეყანაში ინვესტიციების განხორციელების სტიმულის შემცირების/გაქრობის ერთ-ერთი ძირითადი (მნიშვნელოვანი) ფაქტორია.

5. ეროვნული ბანკი ფულად-საკრედიტო პოლიტიკისა და ბაზარზე კონკურენციის შენარჩუნების ფარგლებში [ვალუტის კურსის დაკვირვება და მდგრადობის უზრუნველყოფისთვის ღონისძიებების განხორციელება, რეფინანსირების სესხების გაცემა კონკრეტული ბანკებისათვის, ბანკების გამსხვილების ნებართვის, სესხის გაცემის პროცედურების გამკაცრება და ა.შ.] კიდევ უფრო მოუქნელ, ხისტ და კონცეტრაციის მაღალი ხარისხის მქონე სისტემას ქმნის. შესაბამისად, მნიშვნელოვნად მცირდება ბაზარზე ახალი მოთამაშეების შესვლის სურვილი და ბაზარზე არასახარბიელო (შედარებით არაეფექტიანი) კონკურენტული გარემო იქმნება. აღნიშნულზე მეტყველებს შემდეგი ფაქტები:

- *ბოლო წლების მანძილზე საბანკო სფეროში მოთამაშე კომპანიების - კომერციული ბანკების რაოდენობა შემცირდა.* კერძოდ: 2012 წელს ბაზარზე ოპერირებდა 19 კომერციული ბანკი (აქტიური ბანკი) მაშინ როცა 2019 წლის თებერვლის მდგომარეობით ბაზარზე მოთამაშე აქტიური კომერციული ბანკების რაოდენობა 15-მდე შემცირდა.
- *უცხოური კაპიტალის მონაწილეობით მოთამაშე ბანკების რიცხვი შემცირდა.* 2012 წელს უცხოური კაპიტალის მონაწილეობით ბაზარზე ოპერირებდა 17 კომერციული ბანკი (ზემოთ აღნიშნული 19 ბანკიდან) 2019 წელს კი ეს მაჩვენებელი 14-მდე შემცირდა (2014 წლამდე მაჩვენებელი იზრდებოდა და უცხოური კაპიტალის მონაწილეობით ბაზარზე მოთამაშე კომერციული ბანკების რიცხვი 20-მდე ხოლო კომერციული ბანკების რიცხვი სულ 21-მდე გაიზარდა. შემდგომ კი კლება დაიწყო)

1 მონაცემები მოცემულია საშუალო წლიური მდგომარეობით

• *კლების ტენდენციით ხასიათდება მიკროსაფინანსო სექტორში მოთამაშე კომპანიების რაოდენობა.* 2012 წელს ბაზარზე ოპერირებდა 61 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და ბაზარი მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა - ბაზარზე მოთამაშე კომპანიების რიცხვი იზრდებოდა. 2017 წლის მაისში ბაზარზე მოთამაშე კომპანიების რაოდენობამ 88 ერთეული შეადგინა. შემდგომ (რეგულაციების გამკაცრების შედეგად) ბაზარი უკვე შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა და 2019 წლის თებერვალში ბაზარზე მოთამაშე მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა 63-მდე შემცირდა

• *შემცირების ტენდენციით ხასიათდება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კრებსითი აქტივებისა და პასივები დინამიკა.* სექტორი 2012 წლიდან 2016 წლის მეოთხე კვარტლის ჩათვლით მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა. აღნიშნულ პერიოდში აქტივებისა და პასივების დინამიკა 678,958,835 ლარიდან 2,019,805,898 ლარამდე გაიზარდა. შემდგომ პერიოდში კი კლება დაიწყო და 2018 წლის ბოლოსათვის 1,471,347,579 ლარამდე შემცირდა (ნახევარ მილიარდ ლარზე მეტით შემცირდა მაჩვენებელი).

• *არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების რაოდენობა შემცირდა.* 2012 წელს ბაზარზე ოპერირებდა 18 არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება, რომელთა რაოდენობა 2019 წლის თებერვლის მდგომარეობით 2 ერთეულამდე შემცირდა.

• *არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების საკრედიტო კავშირების აქტივებისა და პასივების დინამიკა მკვეთრად შემცირდა* 2018 წელს 2012 წელთან შედარებით მაჩვენებელი 6,364,020 ლარიდან 2,387,457 ლარამდე შემცირდა (3,976,563 ლარით შემცირდა). აღსანიშნავია, რომ 2016 წლის ბოლომდე აღნიშნული სექტორიც მზარდ ხასიათს ატარებდა აღნიშნულ პერიოდში მაჩვენებელი 9,468,370 ლარამდე გაიზარდა.[4]

6. საინტერესოა ბოლო დროს ლარის მკვეთრად გაუფასურების საკითხისა და ეროვნული ბანკის მიერ ფულად საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მიმოხილვა. კერძოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ივლისის თვის მეორე ნახევარში ლარი მკვეთრად გაუფასურდა. **2019 წლის 18 ივლისს** ლარის კურსი დოლართან მიმართებაში შეადგენდა 1$=2.87ლარი. ამავე დღეს ეროვნულმა ბანკმა გასცა რეფინანსირების სესხი 7 დღის ვადით (25 ივლისამდე) 1,500,000,000 ლარის ოდენობით (უნდ აღინიშნოს, რომ მანამდე 4 ივლისს ეროვნულმა ბანკმა 340,000,000 ლარით გაზარდა გაცემული რეფინანსირების სესხის მოცულობა და გასცა 1,190,000,000 ლარი). **2019 წლის 25 ივლისს** - 1$=2.90 ლარს (როგორც ვხედავთ ლარი გაუფასურდა), ეროვნულმა ბანკმა ისევ 7 დღის ვადით გასცა რეფინანსირების სესხი 1,450,000,000 ლარის ოდენობით. **2019 წლის 1 აგვისტო** - 1$=2.97 ლარს (ლარი მკვეთრად გაუფასურდა). მიუხედავად ამისა ეროვნული ბანკი გასცემს რეფინანსირების სესხს 7 დღის ვადით 1,450,000,000 ლარის ოდენობით. მეორეს მხრივ ეროვნული ბანკი სავალუტო აუქციონზე კურსის გამყარების მიზნით ყიდის 32,800,000 დოლარს რასაც მოჰყვა კურსის გამყარება (ჩვენი მოსაზრებით დროებითად) და 5 აგვისტოს 1$=2.89 ლარს გაუტოლდა.[5]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ (როგორც ცნობილია ეროვნული ბანკი წარმოადგენს უკანასკნელი იმედის კრედიტორს იგი რეფინანსირების სესხს გასცემს კერძო ბანკებისათვის რათა გადაარჩინოს ისინი კრიზისს/გაკოტრებას): **1.** ეროვნული ბანკი ეკონომიკაში, დამატებით ბრუნვაში უშვებს 1.5 მილიარდამდე ლარს რითაც ზრდის ფულის მასას ეკონომიკაში. ფულის მასის ზრდა კი (თუ იგი ეკონომიკის ზრდის პროპორციულად არ ხდება) პირდაპირ კავშირშია ვალუტის გაუფასურებასთან. უფრო მეტიც, მიუხედავად ლარის დევალვაციის მაღალი მაჩვენებლისა, ეროვნული ბანკი ბრუნვაში ტოვებს 1.5 მილიარდამდე ლარს (სამჯერ აბრუნებს რეფინანსირების სესხის სახით უკან ეკონომიკაში). დასაზუსტებელია რა რისკებისგან აცილა ეროვნულმა ბანკმა მსგავსი ქმედებით საბანკო სექტორი (რა რისკების საპირწონედ მოხდა ვალუტის მკვეთრი გაუფასურება). **2.** 2019 წლის 1 აგვისტოს ეროვნული ბანკი ერთის მხრივ სავალუტო აუქციონზე ყიდის 32.8 მლნ. დოლარს და მეორეს მხრივ რეფინანსირების სესხის სახით გასცემს (ბრუნვაში ტოვებს) 1.5 მილიარდამდე ლარს. აღნიშნული ცალსახად გვაჩვენებს თუ რამხელა რისკის ქვეშ აყენებს ქვეყანას ფულად-საკრედიტო პოლიტიკის არსებობა და რამხელა ძალისხმევაა საჭირო ეროვნული ვალუტის მდგრადობის შენარჩუნებისათვის [შეიძლება ითქვას, რომ გაცემული რეფინანსირების სესხი და ვალუტის კურსი თანხვედრილ ურთიერთკავშირშია]. **3.** ფაქტია, რომ 32.8 მლნ. დოლარის სავალუტო აუქციონზე გაყიდვის შედეგად ვალუტის კურსი გამყარდა (როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი აზრით ეს დროებითი მოვლენაა რადგან კურსის გაუფასურებას არ მოჰყვა შესაბამისი ღონისძიებების/რეფორმების გატარება ეკონომიკის გაჯანსაღების მიმართულებით) და 1$-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი ლართან მიმართებაში 2.97 დან 3 აგვისტოს 2.89-მდე გამყარდა (თუმცა 7 აგვისტოს მდგომარეობით უკვე 1$=2.93) [5]. შესაბამისად, ცხადია თუ რამხელა დადებით ეფექტს გამოიწვევს რეფინანსირების სესხის სულ მცირე განახევრება (ანუ გაცემული 1,450,000,000 ლარის ნახევარის ბრუნვიდან ამოღება). ვალუტის კურსი მკვეთრად გამყარდება ხანგრძლივი ვადით (ფულის მასის

შემცირება და შემცირებული დონის შენარჩუნება გამოიწვევს ლარის გამყარებას ხანგრძლივვადიან პერიოდში). სპეციალისტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ეროვნული ვალუტის უცაბედად მკვეთრი გამყარება უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკაზე (მოკლევადიან პერიოდში მაინც), მაგრამ ჩვენი აზრით კრიტიკულად მნიშვნელოვანია/აუცილებელია ლარის გრძელვადიანი პერიოდით გამყარება რათა მოხდეს ფინანსური/სავალუტო რისკების შემცირება და შესაძლებელი გახდეს ეკონომიკური/ბიზნეს საქმიანობის გრძელვადიან პერიოდზე მშვიდად დაგეგმვა. ეს მიღწევადია, თუ სულ მცირე, მოხდება ბრუნვიდან ლარის მასის ეტაპობრივად ამოღება (ლარის კურსის ეტაპობრივი გამყარება).

ასევე, როგორც უკვე აღვნიშნეთ დასაზუსტებელია, ეროვნული ვალუტის პერმანენტული გაუფასურების ფონზე, რატომ ტოვებს ეროვნული ბანკი მიმოქცევაში, (რეფინანსირების სესხის საშუალებით გაცემულ) მილიარდ ნახევარ ლარამდე დამატებითი მოცულობის თანხას ბრუნვაში.

***ოპონენტებმა შეიძლება თქვან,*** რომ ფულადი აგრეგატების ზრდა (რომლის ნაწილიც არის რეფინანსირების სესხის მოცულობა) ასახავს მხოლოდ ფულზე მოთხოვნას. ფულზე მოთხოვნა კი ცვლადია. ფულადი აგრეგატების ცვლილება არ ასახავს ეკონომიკისთვის ფულის საკმარისზე მეტ ან საკმარისზე ნაკლებ მიწოდებას. მას შემდეგ, რაც ინფლაციის თარგეთირებაზე გადავიდა ქვეყანა ეროვნული ბანკი საოპერაციო სამიზნედ იყენებს საპროცენტო განაკვეთს. ფულის მასის ცვლილება გეუბნება რამდენით გაიზარდა ან შემცირდა ფულზე მოთხოვნა. ფულის რა მასა გაიშვას ბრუნვაში წყვეტს ეკონომიკა და არა ცენტრალური ბანკი. ამიტომ რეფინანსირების სესხების მოცულობის ზრდა არ იწვევს ინფლაციას და ლარის გაუფასურებას.

ოპონენტების საპირწონედ შეიძლება ითქვას, რომ:

**1.** დღეს არსებული სისტემა, როგორ ობიექტურადაც არ უნდა იყოს მოწყობილი იგი, საშუალებას იძლევა მიმოქცევაში გაშვებული იქნას იმაზე მეტი მოცულობის ლარის ბანკნოტები, ვიდრე ეკონომიკურად გამართლებულია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაუგებარია, იმ ფონზე როცა ლარის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში თითქმის 3-მდე (1$=2.97ლარს 1 აგვისტოს მონაცემით) ავიდა, რატომ ტოვებს ეროვნული ბანკი მიმოქცევაში 1.5 მილიარდამდე ლარს რეფინანსირების სესხის სახით მიმოქცევაში და პარალელურ რეჟიმში რატომ ყიდის 32.8 მლნ დოლარს სავალუტო ბაზარზე ლარის კურსის გამყარების მიზნით. დასაზუსტებელია რა ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა განაპირობა მსგავსი ოპერაციების განხორციელების აუცილებლობა.

**2.** ლარი 2012 წლიდან თითქმის 200% პროცენტით (1.7-ჯერ, 1.65-დან 2.75-მდე) გაუფასურდა, მაგრამ გვიმტკიცებენ რომ ინფლაციის თვალსაზრისით ყველაფერი წესრიგშია (ამბობენ, რომ მიზნობრივი ფარგლებში მოძრაობს მაჩვენებელი). აღნიშნული ცალსახად მიგვანიშნებს, რომ საქმე გვაქვს მანიპულაციებთან - მაჩვენებლების არასწორად დაანგარიშებასა და გამოყენებასთან.

**3.** ჩვენი აზრით საკითხი უფრო მარტივად დგას ვიდრე ინფლაციის თარგეთირების მექანიზმებია. საკითხი, საერთო ჯამში, მოთხოვნა-მიწოდების კანონამდე დადის - იზრდება ფულის მასა მცირდება მოთხოვნა და შესაბამისად, უფასურდება ლარი. მცირდება ფულის მასა იზრდება მოთხოვნა და შესაბამისად, მყარდება ლარი. ის, რომ ინფლაციის თარგეთირების მექანიზმით ხელს ვუწყობთ სისტემის მდგრადობას და ეკონომიკის წინსვლას უბრალოდ ილუზიაა, საქართველოს პირობებში, ჩვენი აზრით.

4. ასევე, დასაზუსტებელია, უცხოური ვალუტის საგადამხდელო საშუალებად აღიარებისა/შემოღებისა და ლარის გაუქმების შემთხვევაში, იქნებოდა თუ არა მიმოქცევაში (საქართველოს ეკონომიკაში) ფულის ის რაოდენობა, რაც დღეს ლარის პირობებში ბრუნავს ქვეყანაში (იგულისხმება ლარის მოცულობის შესაბამისი უცხოური ვალუტა). ჩვენი აზრით, პასუხი ცალსახაა, რა თქმა უნდა მიმოქცევაში იქნებოდა უფრო მცირე მოცულობის ვალუტა ვიდრე დღეს გვაქ მიმოქცევაში ლარის სახით. ფაქტია, რომ დღეს საჭიროზე მეტი ლარის მასაა გაშვებული მიმოქცევაში. აღნიშნულზე ვალუტის პერმანენტულ რეჟიმში გაუფასურება, შეიძლება ითქვას ინფლაცია, მიუთითებს. უცხოური ვალუტის საგადამხდელო ვალუტად შემოღებისა და ლარის გაუქმების შემთხვევაში საჭიროზე მეტი ფულის მასა უბრალოდ ვერ იქნება მიმოქცევაში/ეკონომიკაში, იმიტომ, რომ სახელმწიფოს დამატებითი ბანკნოტების ემისიის უფლება არ ექნება (ბრუნვაში იქნება მხოლოდ ეკონომიკის ზომის, მისი ზრდის შესაბამისი ვალუტა).

***ამასთან, ოპონენტების ზემოთ მოყვანილი მოსაზრების საპირწონედ, გვინდა შემდეგი მაგალითი მოვიყვანოთ: ოპონენტების მოყვანილ ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას ემხრობა ეროვნული ბანკიც, რაც ეროვნული ბანკის მიერ (2019 წლის 30 აგვისტოს) გავრცელებული განცხადებითაც დასტურდება:***

„კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ საქართველოში, ისევე, როგორც განვითარებული მონეტარული პოლიტიკის მქონე ყველა სხვა ქვეყანაში, ფულის მიწოდება ხდება ავტომატურად ფულზე მოთხოვნის მიხედვით. ვინაიდან ეკონომიკის ზრდასთან ერთად დროთა განმავლობაში ფულზე

მოთხოვნაც შესაბამისად იზრდება, ფულის აგრეგატების ზრდაც მხოლოდ ფულზე მოთხოვნის ზრდას, და არა ეკონომიკისთვის ფულის ჭარბ მიწოდებას ასახავს. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმში ყველა ცენტრალური ბანკი (მათ შორის სებ-იც), ოპერაციულ მიზნად იყენებს საპროცენტო განაკვეთს. სწორედ საპროცენტო განაკვეთის, და არა ფულადი აგრეგატების, ცვლილება აწვდის ბაზარს ინფორმაციას იმის შესახებ, გამკაცრდა, შერბილდა თუ უცვლელი დარჩა მონეტარული პოლიტიკა. რაც შეეხება სახელდობრ ფულადი აგრეგატების ცვლილებას, ის მხოლოდ ფულზე მოთხოვნის ზრდასა ან შემცირებაზე მიუთითებს. შესაბამისად, მოსაზრებები, თითქოს ფულადი აგრეგატების ზრდა იწვევს ინფლაციას და/ან ლარის გაუფასურებას, მცდარია.“ [22]

აღნიშნული განცხადების შემდეგ, სექტემბრის თვეში ეროვნული ბანკი ზრდის რეფინანსირების სესხის მოცულობას და 2019 წლის 5 სექტემბერს, ბაზარზე უშვებს 950,000,000 ლარით მეტს, ჯამში 1,660,000,000 ლარს (რეფინანსირების სესხი 710,000,000 ლარამდე იყო შემცირებული 29 სექტემბრის მდგომარეობით). შემდგომ კი მთელი სექტემბრის განმავლობაში ზრდის რეფინანსირების სესხის მოცულობას. 2019 წლის 26 სექტემბერს გაცემული რეფინანსირების სესხის მოცულობა უკვე 1,970,000,000 ლარს უტოლდება. [4] საინტერესოა ის ფაქტი, რომ იმავე პერიოდში ქვეყანაში წარმოიშვება ინფლაციის მოთოკვის აუცილებლობა და ეროვნული ბანკი 1%-ით აძვირებს რეფინანსირების სესხის განაკვეთის მოცულობას. ჯამში სესხის მომსახურების განაკვეთი 7.5%-ით განისაზღვრება[2]. ანუ უკვე ლარის გაუფასურების კი არა ინფლაციის პრობლემა დადგა ქვეყანაში დიდი მოცულობით ფულის მასის დამატებით მიმოქცევაში გაშვების შედეგად.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა ეროვნულმა ბანკმა, შემდეგ, ოქტომბრის თვეშიც განაგრძო რეფინანსირების სესხის მოცულობის ზრდა და 2019 წლის 3 ოქტომბერს სესხის მოცულობამ 2,050,000,000 ლარ მიაღწია. 2019 წლის 24 ოქტომბრის მონაცემებით რეფინანსირების სესხის მოცულობამ 2,350,000,000 ლარს მიაღწია. [4] აღსანიშნავია, რომ ოქტომბრის თვეში კვლავ დადგა ინფლაციის მოთოკვის აუცილებლობა ქვეყანაში და ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების სესხის განაკვეთი 1%-ით გაზარდა. ჯამში რეფინანსირების სესხის მომსახურების განაკვეთმა 8.5% შეადგინა. აღნიშნული გადაწყვეტილებით 102,700 მომხმარებელს კიდევ გაუძვირდა სესხი. [31]

რეფინანსირების სესხის განაკვეთის ზრდის შესახებ გადაწყვეტილება 2019 წლის 23 ოქტომბერს იქნა მიღებული. 24 ოქტომბერს კი ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების სესხის მოცულობა ისევ გაზარდა და მიმოქცევაში გაუშვა/მიმოქცევიდან არ ამოიღო 2,350,000,000 ლარი. [31, 4]

ზემოთ აღნიშნული მკაფიოდ მიუთითებს, თუ რამდენად ფრაგმენტულ, არაარგუმენტირებულ და არაეფექტიან ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ახორციელებს ქვეყნის ეროვნული ბანკი. ასევე, მკაფიოდ ჩანს, თუ რამხელა გავლენას ახდენს ქვეყნის ეროვნული ვალუტის მდგრადობაზე, მიმოქცევაში არსებული/გაშვებული ფულის მასის (რომლის ნაწილიც რეფინანსირების სესხის მოცულობაც არის) მოცულობა. აღნიშნული კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ ქვეყანაში უნდა შეიქმნას ისეთი სისტემები, რომელიც იქნება „თვითკმარი“ და არ იქნება დამოკიდებული სახელმწიფო ინსტიტუტის (ინსტიტუტების) მუშაობის ხარისხზე. და ა.შ.

როგორც ზემოაღნიშნული მაჩვენებლებიდან ჩანს, რეგულაციების გამკაცრებამ (მათ შორის ეროვნული ბანკის რეგულირების მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე გავრცელებამ, საწესდებო კაპიტალის 1 მლნ ლარამდე გაზრდამ, მოგების 100% მდე შემცირებამ და ა.შ.) სწრაფი სესხების გამცემი მცირე და საშუალო კომპანიების (მიკროსაფინანსო ორგანიზაციების) საკმაო რაოდენობა განდევნა ბაზრიდან და სექტორი მსხვილი კომპანიების/ბანკების გამგებლობის სფეროში მოაქცია (გამკაცრებული რეგულაციების ფარგლებში მხოლოდ მსხვილი ბანკებისათვის გახდა მომგებიანი სწრაფი სესხების გაცემა. აღნიშნულზე ზემოთ მოყვანილი ტენდენციაც მიუთითებს - აქტივებისა და პასივების წლიური რაოდენობა მხოლოდ საბანკო სექტორშია გაზრდილი ბოლო წლებში [4]). ასევე, გართულდა/გამკაცრდა სესხის აღების (განსაკუთრებით სამომხმარებლო სესხის მიღების) შესაძლებლობები რაც ბანკების საქმიანობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია და ჩვენი ქვეყნის ზომის ეკონომიკის განვითარებაზე პირდაპირპროპორციული გავლენა აქვს. (აღნიშნულზე მიუთითებს კომპანია „ტექნო ბუმის“ შემუშავებული სქემა, რომლის მიხედვითაც მომხმარებლებს საშუალება ექნებათ პროდუქცია განვადებით ბანკის გარეშე შეიძინოს. კომპანიის წარმომადგენლების თქმით, რეგულაციების ამოქმედების შემდეგ, 2019 წლის იანვარში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედა-

---

**2 ინფლაციის მოთოკვის ერთ-ერთი ბერკეტი, რომელიც ქვეყნის ეროვნულ ბანკს გააჩნია, რეფინანსირების სესხის პროცენტის გაზრდაა. აღნიშნული, რა თქმა უნდა, აისახება კერძო ბანკების მიერ გაცემული სესხის განაკვეთზე. უფრო მეტიც, მოქალაქეების გარკვეულ ნაწილს, ვისაც რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული სესხები აქვს უძვირდება უკვე აღებული სესხი. სექტემბერში რეფინანსირების სესხის განაკვეთის 1%-ით გაზრდამ გამოიწვია 102,700 მომხმარებლის სესხის მომსახურების პროცენტის ზრდა.**

რებით გაყიდვები 50%-ით არის შემცირებული. [7] ასევე, მენაშენეთა ასოციაციის ხელმძღვანელის შეფასება, რომლის მიხედვითაც სექტორში საბანკო/საკრედიტო რეგულაციების ამოქმედების შემდეგ გაყიდვების რაოდენობა 30-40%-ით არის შემცირებული, [8] ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განცხადება: „მომენტალური განვადება 56%-ითაა შემცირებული... გაზრდილია მოთხოვნა ბიზნეს სესხებზე" [9] და ა.შ.).

ყოველივე ზემოაღნიშნული მნიშვნელოვნად ზღუდავს კონკურენციას ბაზარზე, ზრდის კონცენტრაციის ხარისხს და კომპანიებს შორის ბაზარზე გადარჩენისათვის ბრძოლაში კარტელური თუ სხვადასხვა კონკურენციის დამრღვევ ქმედებად მიჩნეულ გადაწყვეტილებების მიღების ალბათობას. აფერხებს როგორც საფინანსო, ისე ეკონომიკის სხვადასხვა დარგების განვითარებას, რადგან განვითარებული საბანკო სფერო (ბაზარზე მიმზიდველი გარემო, რომელიც უფრო მეტი კომპანიის შემოსვლას იწვევს ბაზარზე და ქმნის უფრო მეტი ფინანსური რესურსის მოზიდვის სტიმულს, ამცირებს რისკებს და შესაბამისად საპროცენტო განაკვეთს ბაზარზე) ეკონომიკის სხვადასხვა დარგების სწრაფი განვითარების საწინდარია (რაც თავის მხრივ ამათუიმ დარგის სწრაფი განვითარების ხელშემწყობია) და პირიქით.

*რას გამოიწვევს ეროვნულ ვალუტაზე უარის თქმა და ყველა ვალუტის თავისუფალ სავადამხდელო საშუალებად დაშვება ქვეყანაში (სავადამხდელო საშუალებად, საბიუჯეტო და სავადასახადო ანგარიშსწორებისათვის დოლარის ან ევროს ან ორივეს ერთად შემოღება, ხოლო კერძო პირებს შორის ხელშეკრულების ნებისმიერ/მათთვის სასურველ ვალუტაში გაფორმების შესაძლებლობა/დაკანონება):*

1. **გაქრება დევალვაციისა და ინფლაციის პრობლემა.** ის შემოიფარგლება მხოლოდ მიმოქცევაში დაშვებული ვალუტის (მაგ. დოლარის) საერთაშორისო კურსის შესაბამისად.

2. **ქვეყანაში არსებული ვალუტა შეიძენს დაგროვებისა და გრძელვადიანი ბიზნეს გეგმებზე გათვლის ფუნქციას,** რაც დამატებით სტიმულებს გააჩენს ინვესტიციების განხორციელებისა და ეკონომიკის ზრდის მიმართულებით.

3. **გაქრება ფინანსური/სავალუტო რისკები ინვესტორისათვის**, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემაფერხებელი გარემოებაა ინვესტირებისათვის. შესაბამისად გაიზრდება ქვეყანაში ინვესტიციების განხორციელების სტიმული.

4. **ქვეყანას, ეროვნულ ბანკს, აღარ ექნება ფულის ემისიის (ფულის მოჭრის/გამოშვების) საშუალება/უფლებამოსილება.** შესაბამისად, გაქრება ეკონომიკური სიდუხჭირის პერიოდში დამატებითი ბანკნოტების/ფულის მოჭრის შესაძლებლობა. აღნიშნული, შექმნის სტიმულს იმისა, რომ სახელმწიფომ გაატაროს უფრო ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკა, რათა ქვეყანაში შემოვიდეს დამატებითი ფინანსური რესურსი (იზრუნოს ფულის საკმარისმა რაოდენობამ), რაც თავის მხრივ, დადებითად აისახება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე ქვეყანაში.

5. **ეროვნულ ბანკს აღარ ექნება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების უფლებამოსილება,** რაც თავის მხრივ გამორიცხავს აღნიშული მიმართულებით შეცდომების დაშვებისა და კორუფციული გარიგებების ალბათობას (აღარ იქნება სახელწმიფო ორგანოების არასწორი ქმედებების გამო დევალვაციისა და ინფლაციის შიში). სისტემა გახდება მდგრადი.

6. **აზრს დაკარგავს და აღარ განხორციელდება ეროვნული ბანკისგან კომერციული ბანკების მიერ ე. წ. „რეფინანსირების სესხის" მანკიერი პრაქტიკა.** შესაბამისად, ბანკები მოექცევიან უფრო მეტად კონკურენტულ პირობებში, როგორც ერთმანეთთან, ისე შედარებით მცირე საფინანსო ორგანიზაციებთან. ბანკების დაფინანსების ერთ-ერთი წყარო აღარ იქნება სახელმწიფო სახსრები. ისინი იძულებული გახდებიან თანხები მოიძიონ მხოლოდ საერთაშორისო ბაზრებიდან და მომხმარებლისაგან. აღნიშნული კიდევ უფრო გაამძაფრებს კონკურენციას ფინანსურ ბაზარზე, აწევს ბანკების მომსახურების ხარისხს, გააიაფებს კრედიტის პროცენტს, სისტემას გახდის უფრო მდგრადს, რადგან ბაზარზე ადგილს უფრო მოხერხებული, მოქნილი და ეფექტიანი კომპანიები დაიკავებენ, რომელთაც ძალუძს სახელმწიფო დახმარების გარეშე ოპერირება. ასევე, სისტემა გახდება სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი, რაც შეამცირებს სახელმწიფოს მხრიდან ფინანსურ ინსტიტუტებზე წნეხის ალბათობას/შესაძლებლობას. შესაბამისად, გაიზრდება სისტემის მდგრადობა ეფექტიანობა და კონკურენტუნარიანობა.

7. **სახელმწიფოს გაუჩნდება სტიმული,** (გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფოს გაუქრება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის წარმართვის და ფულის ემისიის საშუალება) **რომ შექმნას მიმზიდველი გარემო საფინანსო/საბანკო სფეროში** (მისი ერთადერთი ბერკეტი სისტემის მდგრადობისთვის ზრუნვისა მხოლოდ ბაზარზე მიმზიდველი გარემოს შექმნაღა რჩება. რაც შეიძლება მეტი ძლიერი კომპანია რომ ოპერირებდეს ბაზარზე). იზრუნოს არა რეგულაციების შემოღებაზე, არამედ ბაზარზე მიმზიდველი პირობების დანერგვაზე/შექმნაზე.

8. **მინიმუმადე დავა სახელწიფოს მიერ, ეროვნული ბანკისა და რეგულაციების შემოღების საშუალებით, საბანკო სექტორზე წნეხის შესაძ-**

**ლებლობა.** ეს, თავის მხრივ, მინიმუმადე დაიყვანს ფინანსური ინსტიტუტების სახელმწიფო კორუფციული ინტერესების განმახორციელებელ მექანიზმად გამოყენების შესაძლებლობას (მკვეთრად შეამცირებს, კერძო ფინანსური ინსტიტუტებსა და სახელმწიფოს შორის კორუფციული გარიგებების ალბათობას). გაზრდის საბანკო სექტორის დამოუკიდებლობის ხარისხს და სისტემა გახდება უფრო მდგრადი. და ა.შ.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ ეროვნულ ვალუტაზე უარის თქმის შედეგად ეროვნულ ბანკს არ ექნება ფულის ემისიისა (ფულის მოჭრის) და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების საშუალება. შესაბამისად, მთავრობას ეკონომიკის განვითარების მეტი სტიმული გაუჩნდება, რათა შესაბამისი მოცულობის უცხოურმა ვალუტამ (დოლარმა) იბრუნოს ქვეყანაში. გაქრება უცხოური ინვესტიციისათვის სავალუტო რყევებით გამოწვეული ფინანსური რისკი მთლიანად. ეს შექმნის სტიმულებს რომ განვითარდეს ეკონომიკა და შესაბამისად, გაიზარდოს როგორც ქვეყნის კონკურენტუნარიანობა გლობალურად ისე კონკურენცია ქვეყნის შიდა ბაზარზე. ბანკები იძულებული იქნებიან გახდნენ უფრო კონკურენტუნარიანი და მოიზიდონ საერთაშორისო სახსრები. გაზარდონ სერვისის ხარისხი რომ მეტი კლიენტი და შესაბამისად მეტი სახსრები მოიზიდონ. ეს აამაღლებს კონკურენციას შრომის ბაზარზეც, გაიზრდება მოთხოვნა კვალიფიციურ კადრებზე და არა ოპერატორებზე და ა.შ. (წავა ჯაჭვური რეაქცია რომელიც დადებითად შეეხება ეკონომიკის სხვადასხვა დარგს).

ოპონენტები იტყვიან, რომ ესა თუ ის უწყება თუ არაეფექტიანია არ ნიშნავს რომ უწყება არ გვჭირდება. უწყების მმართველ ჯგუფში სწორად უნდა მოხდეს კადრების შერჩევა, რომ ორგანიზაცია გახდეს ეფექტიანი (როგორც უკვე აღვნიშნეთ ზოგი სახელმწიფოებრიობასთანაც აიგივებს ეროვნული ვალუტის არსებობას).

ოპონენტების საპირწონედ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ არ გვაქვს ფუფუნება გვქონდეს ეროვნული ვალუტა. გარდა იმისა, რომ ეს კვალიფიციური და პატრიოტი ადამიანების სისტემის სათავეში ყოფნას მოითხოვს (რის ალბათობაც გამოცდილებიდან ჩანს რომ მცირეა); ჩვენი მოცულობისა და განვითარების დონის ეკონომიკისთვის უფრო მეტ ეკონომიკურ რისკებთან არის დაკავშირებული ვიდრე რისკების თავიდან აცილებასთან [რიგ შემთხვევებში მთელი ქვეყნის ეკონომიკური გუნდის ძალისხმევა სწორედ ლარის კურსის შენარჩუნებასა და დასტაბილურებაზეა მიმართული. ამისთვის იხარჯება დიდი რაოდენობით ფინანსური (მათ შორის სარეზერვო ფონდის რესურსი), ადამიანური და ტექნიკური რესურსი, რაც შეიძლება ეკონომიკის სხვადასხვა დარგების განვითარებას მოხმარებოდა]. მთავარი არის ის რომ ფინანსური სექტორის გამართულობა პირდაპირპროპორციულად აისახება ეკონომიკის სხვადასხვა დარგების განვითარების ხარისხზე/ტემპზე. შესაბამისად, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ბაზარზე კონკურენციის ხარისხს და განვითარების სწორ სტიმულებს.

***ამასთან, გვინდა განვიხილოთ ოპონენტების ზოგიერთი მოსაზრება/არგუმენტი ზემოაღნიშნულ მიდგომასთან დაკავშირებით:***

1. *ყველა ვალუტის საგადამხდელო საშუალებად დაშვების შემთხვევაში გართულდება ბიუჯეტის დაგეგმვა და საგადასახადო შემოსავლების ადმინისტრირება*

- გვინდა აღვნიშნოთ, რომ შემოთავაზებული მოდელის პრაქტიკაში დანერგვის შემთხვევაში საბიუჯეტო და საგადასახადო კუთხით ადმინისტრირებისათვის განისაზღვრება ერთი ვალუტა (მაგ. დოლარი). ანუ ბიუჯეტის დაგეგმვა და გადასახადების გადახდა მოხდება ერთ ვალუტაში, რაც მკვეთრად გააიოლებს ადმინისტრირების პროცესს.

- ასევე, ადმინისტრირების პროცესის უფრო მეტად გამარტივებისთვის შესაძლებელია დაიწეროს შესაბამისი პროგრამა, რომლის საშუალებითაც მოხდება ბიუჯეტში ჩარიცხული გადასახადის/თანხის ავტომატური კონვერტაცია (არსებული კურსით) საბიუჯეტო ანგარიშსწორებისთვის დადგენილ ვალუტაში (მაგ. დოლარში).

2. *ლარის დოლარით ჩანაცვლების შეთხვევაში, როგორ უნდა მოხდეს საჭირო რაოდენობის დოლარებით/უცხოური ვალუტით ეკონომიკის მომარაგება (სახელწიფომ რა გზებით უნდა მოახერხოს საჭირო რაოდენობის უცხოური ვალუტის მოზიდვა).*

- პასუხი მარტივია, ეკონომიკიდან (მისი ბრუნვიდან შემოსული გადასახადებით). ერთ შემთხვევაში თუ საგადამხდელო საშუალება არის ლარი მეორე შემთხვევაში იქნება უცხოური ვალუტა.

- ასევე, შესაძლებელია ამ არგუმენტს საპასუხო კითხვით ვუპასუხოთ. როგორ ვამარაგებთ ეკონომიკას დღეს ეროვნული ვალუტით? ანუ წესით ბრუნვაში ვუშვებთ ლარის იმ რაოდენობას რა რაოდენობაზეც არის მოთხოვნა ეკონომიკის ზომის (მისი ზრდის ტემპის) გათვალისწინებით. თუ საჭიროზე მეტი რაოდენობის ლარს (ეკონომიკის ზომის შესაბამისზე, მისი ზრდის ტემპზე მეტ რაოდენობას) ვუშვებთ ბრუნვაში ვიწვევთ დევალვაციას/ინფლაციას. ეკონომიკის ზომის შესაბამისი უცხოური ვალუტა კი ისედაც ბრუნავს ეკონომიკაში. უბრალოდ ჩვენ მას ვახურდავებთ ლარში რადგან აკრძალული გვაქ უცხოური ვალუტით ანგარიშსწორება.

ანუ,

ფულადი ერთეული მათ შორის ეროვნული ვალუტა მიბმულია ეკონომიკაზე. თუ ეკონომიკის

ზომის შესაბამისი რაოდენობის ფული არ არის მიმოქცევაში იწყება დევალვაცია/ინფლაცია ან დეფლაცია. ანუ ფულის მობილიზება უნდა მოხდეს გაზრდილი ეკონომიკის შედეგად რაც დიდი მოცულობის ეკონომიკა გექნება მით უფრო მეტი ფული იბრუნებს ქვეყანაში და შესაბამისად უფრო მეტი ფულის მობილიზების საშუალება იქნება. ეროვნული ვალუტის შემთხვევაშიც ანალოგიურია. ფულის ემისიის უფლება, უბრალოდ, სახელმწიფოს აძლევს თავისზე მორგებული და ზოგადად საზიანო პოლიტიკის განხორციელების საშუალებას; მათ შორის უფლებას, რომ მიმოქცევაში გაუშვას საჭიროზე მეტი (ეკონომიკის ზომისთვის შესაბამისზე მეტი) ფულადი ბანკნოტები რაც იწვევს დევალვაციას და საბოლოო ჯამში ინფლაციას.

3. *საქართველოს ეკონომიკა არის იმპორტზე დამოკიდებული. გვაქვს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი. ეროვნული ვალუტის არ არსებობის შემთხვევაში როგორ მოხდება ქვეყნის საჭირო რაოდენობის ვალუტით მომარაგება.*

- რას ვაკეთებთ დღეს რით ვაბალანსებთ უარყოფითი სავაჭრო ბალანსით გამოწვეულ ვალუტის უკმარისობას? 1. ეს არის ჩვენი ემიგრანტების მიერ გადმორიცხული თანხები რომელიც უცხოურ ვალუტაშია და ვცვლით ლარში. 2. ეს არის საგარეო ვალი/სესხი რომელსაც ყოველწლიურად ვიღებთ და ესეც უცხოურ ვალუტაშია და მისი გადაცვლაც ლარში გვიწევს 3. ვასხვისებთ, პრივატიზებას ვუკეთებთ სახელმწიფო ქონებას, რომელიც შესაძლებელია განვახორციელოთ უცხოურ ვალუტაში 4. ვიღებთ საშინაო ვალს ლარში ეროვნული ბანკისგან, რასაც საბოლოო ჯამში მივყავართ ლარის დევალვაციასა და ინფლაციამდე.

შესაბამისად, როგორც ვხედავთ, პირველ სამ შემთხვევაში უცხოური ვალუტა შემოდის ქვეყანაში რაც წამოყენებულ არგუმენტს აბათილებს. რაც შეეხება საშინაო ვალს, აღნიშნული ფუფუნება გაუქრება ხელისუფალს, რაც თავიდან აგვარიდებს იმ რისკებს რაც იწვევს ეროვნული ვალუტის გაუფასურებასა და ინფლაციას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სახელმწიფო იძულებული იქნება გაატაროს უფრო ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკა რომ გაიზარდოს ეკონომიკა, ქვეყანაში შემოვიდეს მეტი ფინანსური რესურსი (იზრუნოს ვალუტის საკმარისმა რაოდენობამ).

- მზარდ ეკონომიკაში სწრაფად იზრდება უცხოური ინვესტიციების მოცულობა/რაოდენობა. რაც უზრუნველყოფს ეკონომიკის დამატებითი ვალუტით მომარაგებას [(აბალანსებს ვალუტაზე გაზრდილ მოთხოვნას. ასევე უარყოფითი სავაჭრო ბალანსით გამოწვეულ უცხოური ვალუტის ნაკლებობას). შესაბამისად, ხელისუფალს გაუჩნდება მეტი სტიმული რათა იზრუნოს ეკონომიკური გარემოს სრულყოფაზე და ხელი შეუწყოს უცხოური ინვესტიციების შემოდინებას ქვეყანაში - ქვეყნის ეკონომიკა გახდეს სწრაფად მზარდი].

4. *როგორ აისახება ეროვნული ვალუტის უცხოური ვალუტით ჩანაცვლება სამამულო ნაწარმის კონკურენტუნარიანობაზე (კერძოდ, როცა პარტნიორი ქვეყნების ვალუტები დოლარის მიმართ გაუფასურდება, მაშინ როგორ იქნება ამის მიმართ ექსპორტ-იმპორტის რეაქცია; რა ბერკეტები ექნება ხელისუფლებას ქართული ნაწარმის კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად. დღესდღეობით პარტნიორი ქვეყნების ვალუტების გაუფასურების მიმართ ეროვნული ეკონომიკის ადაპტაცია ხდება გაცვლითი კურსის ადექვატური რეაქციით, ანუ ლარის ნომინალური და რეალური გაცვლითი კურსების გაუფასურებით).*

- აღნიშნული არგუმენტის/მოსაზრების საპირწონედ უნდა ითქვას, რომ, ჩვენი აზრით, ეს საკითხი ყველა ვალუტის თავისუფალ საგადამხდელო საშუალებად დაშვების შემთხვევაში კარგავს აქტუალობას. საჭირო აღარ იქნება ეროვნული ნაწარმის დასაცავად გაცვლითი კურსით მანიპულირება, რადგან მეწარმეს თავისი პროდუქცია შეუძლია გაყიდოს ნებისმიერ ვალუტაში (თუ თვლის, რომ მისი პროდუქტის გაყიდვა მომგებიანია პარტნიორი ქვეყნის ვალუტაში, გაყიდის პარტნიორი ქვეყნის ვალუტაში. მითუმეტეს თუ ექსპორტს ახორციელებს იმავე ქვეყანაში, რომლის მიმართაც უფასურდება ქვეყანაში მბრუნავი ვალუტის რეალური გაცვლითი კურსი).

- ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ გაცვლითი კურსით მანიპულირების მექანიზმი ჩვენი ტიპის/ზომის ეკონომიკისთვის ჩვენის აზრით არარელევანტურია (დღემდე რომელი ეროვნული პროდუქტი/ნაწარმი დავიცავით მსგავსი მანიპულირებით?). როგორიც იქნება დოლარის (ევროს ან საგადამხდელო საშუალებად აღიარებული სხვა ვალუტის) რეალურ და ნომინალურ გაცვლითი კურსი, ანალოგიური გაცვლითი კურსი ექნება საქართველოს (და არა მგონია დოლარზე ან ევროზე ან სხვა საგადამხდელო საშუალებად აღიარებულ ვალუტაზე უფრო უკეთესად შეძლოს ლარმა რეალური და ნომინალურ გაცვლით კურსებს შორის მანიპულირება). მოკლედ, რომ ვთქვათ დოლარი შეძლებს ლარზე უკეთესად გაცვლითი კურსით მანიპულირებას. აქ ოპონენტებმა შეიძლება თქვან რომ, ეს გაცვლითი კურსი იქნება ამერიკის ეკონომიკისთვის და არა ქართული ეკონომიკისთვის (რადგან ამერიკის რეალური და ნომინალური გაცვლითი კურსი უმეტესად განსხვავებული იქნება საქართველოსთვის საჭირო რეალურ გაცვლით კურსზე). ოპონენტების საპირწონედ შეიძლება ითქვას რომ. ეს არგუმენტი თეორიულია და საერთო ჯამში ეროვნული ვალუ-

ტის მდგრადობის შენარჩუნებას იმხელა ძალისხმევა და რესურსი ჭირდება, იმდენად ნეგატიურად მოქმედებს სავალუტო რისკი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტიმულზე, რომ აღნიშნულის საპირწონედ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსით მანიპულირების შეუძლებლობის მოყვანა არაეფექტიანია. იგი ვერ გადაწონის ეროვნული ვალუტის მიმოქცევიდან ამოღებით გამოწვეულ სიკეთეებს.

5. *ოპონენტების ნაწილი ფიქრობს, რომ ეროვნული ვალუტის გაუქმებასა და უცხოური ვალუტის საგადამხდელო საშუალებად შემოღებასთან დაკავშირებით კონსესუსი რომც იქნას მიღწეული, ამის უფლებას მაინც არ მისცემს ქვეყნას საერთაშორისო საზოგადოება ან უცხოური ვალუტის ემიტენტი ქვეყანა.*

- რის უფლებას მისცემენ ქვეყანას, ეს საკითხი მხოლოდ მას შემდეგ ხდება აქტუალური, როცა მიიღებ გადაწყვეტილებას შემოიღო თუ არა უცხოური ვალუტა საგადამხდელო საშუალებად. ჯერ საკითხის ეფექტიანობა (ეკონომიკური მართებულება) უნდა შეფასდეს. ტექნიკურ დეტალებზე მსჯელობა მას შემდეგ უნდა გაიმართოს, როცა საკითხთან მიმართებაში დადებითი გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

- ნაშრომში, ქვემოთ, მოყვანილია სხვადასხვა ქვეყნის მაგალითი, სადაც უცხოური ქვეყნის ვალუტა შემოღებულია ეროვნული ვალუტად დე-ფაქტოც (ცალმხრივად) და შეთანხმების საფუძველზეც. შესაბამისად, პრეცენდენტები არსებობს და უფლების მიღების საკითხი არ უნდა იყოს დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემაფერხებელი გარემოება.

- ის, რომ ნებისმიერი ქვეყანა შესაძლებელია იყოს დოლარიზებული ცალმხრივად (შემოღებული იქნას უცხო ქვეყნის ვალუტა საგადამხდელო საშუალებად, ეროვნულ ვალუტად) აღნიშნული აქვს სტივ ჰანკესა[3] და კურტ შულერს[4] თავიანთ ნაშრომში „უსაფრთხო ვალუტა საქართველოსთვის" - „...არგენტინა და სხვა ქვეყანა დოლარიზებული შეიძლება იყოს ყოველგვარი ფორმალური შეთანხმების გარეშეც" მიუთითებენ ავტორები [1, გვ.38].

6. *ოპონენტების ნაწილი თვლის, რომ უცხოურ ვალუტაზე გადასვლა გამოიწვევს ფასების ზრდას.*

- ოპონენტების საპირწონედ შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლების მანძილზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეროვნული ვალუტა პერმანენტული გაუფასურების შეიძლება ითქვას ინფლაციის რეჟიმშია. შესაბამისად საფრთხე/ალბათობა იმისა, რომ ფასები გაიზარდოს ეროვნული ვალუტის არსებობის შემთხვევაში უფრო დიდია ვიდრე უცხოური ვალუტის (მაგ. დოლარის ან ევროს) კანონიერ საგადამხდელო საშუალებად შემოღების შემთხვევაში.

- თუ ქვეყანა გაატარებს შესაბამის, მიმზიდველი ეკონომიკური გარემოს შექმნისთვის საჭირო რეფორმებს, ფასების ზრდის ალბათობა ძალიან შემცირდება.

- იმის ალბათობა, რომ ფასები გაიზარდოს მცირეა, ფასები ძირითადად განსაზღვრული იქნება უცხოური ვალუტის შემოღებამდე არსებული ოდენობით. ბაზარზე ძირითადად იმპორტირებული საქონელია რომლის ფასი ისედაც უცხოურ ვალუტაშია, მაგ. დოლარში ან ევროშია განსაზღვრული.

- ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკური კანონების თანახმად ფასი მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის შედეგად ყალიბდება (თუ ხელოვნურ ჩარევას არ აქვს ადგილი). შესაბამისად, ცალსახად განსაზღვრა, რომ ფასები გაიზრდება ან შემცირდება არამართებულია. მითუმეტეს, თუ უცხოური ვალუტის შემოღებამდე, პროდუქტზე ფასი მოთხოვნა მიწოდების თანაფარდობის შედეგად არის ჩამოყალიბებული, სავარაუდოა, რომ უცხოური ვალუტის შემოღების შემდგომაც ფასი შემოღებამდე არსებული ნიხრის ფარგლებში იმოძრავებს.

7. *ქვეყნის ეკონომიკა პირდაპირპროპორციულად იქნება დამოკიდებული უცხოურ სავალუტო სახელმწიფოზე (მის ეკონომიკაზე) რაც არაეფექტიანია.*

- როგორც უკვე აღვნიშნეთ ჩვენი ქვეყნის ეროვნული ვალუტა ვერ ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის დამოუკიდებლობის ფუნქციას. ისედაც, სავალუტო ბერკეტი, ეკონომიკის დაცვის ან წახალისების მიმართულებით, შემოიფარგლება რეალური და ნომინალური გაცვლითი კურსის თამაშით, რაც, საერთო ჯამში, არაეფექტიანი უფროა, ლარის პირობებში; უფრო მეტი პრობლემა მოაქვს ლარს ვიდრე აგვარებს.

- როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეროვნული ვალუტა არის ეკონომიკის საზომი და არა მასტიმულირებელი მექანიზმი. შესაბამისად, უცხოური ვალუტის საგადამხდელო საშუალებად დაშვების შემთხვევაში, (მითუმეტეს იმ ფონზე როცა, კერძო ურთიერთობებში, საგადამხდელო საშუალებად ნებისმიერი ვალუტა იქნება დაშვებული) სხვა ქვეყნის ეკონომიკაზე დამოკიდებულება იქნება მინიმალური.

- პირობითად, საგადამხდელო საშუალებად თუ დოლარს ან ევროს შემოვიტანთ დასაზუსტებე-

3 სტივ ჰანკე - არის გამოყენებითი ეკონომიკის პროფესორი. 1981-82 წლებში მუშაობდა უფროს ეკონომისტად პრეზიდენტ რეიგანის ეკონომიკურ მრჩეველთა საბჭოში. ჰანკემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა არგენტინის, ესტონეთის, ლიტვის, ბულგარეთის, ბოსნია და ჰერცოგოვინის, მონტენეგროსა და ეკვადორის სავალუტო რეფორმების შემუშავებაში.

4 კურტ შულერი - აშშ-ს სახაზინო დეპარტამენტის საერთაშორისო ეკონომისტი. იგი ასევე იყო აშშ-ს კონგრესის გაერთიანებული ეკონომიკური კომიტეტის უფროსი ეკონომისტი და Johns Hopkins-ის უნივერსიტეტის (ბალტიმორი) მკვლევარი.

ლი ხდება ოპონენტების მოყვანილი არგუმენტის მართებულობა. ამერიკის ან ევროპის კავშირის ეკონომიკის ჩამოშლის (კრიზისის, რეცესიის) ალბათობა უფრო დიდია, თუ საქართველოს ეკონომიკის? პასუხი ამ კითხვაზე ცალსახაა. რა თქმა უნდა საქართველოს ეკონომიკის ჩამოშლის ალბათობა უფრო დიდია. ამასთან, ამერიკის ან ევროპის კავშირის ეკონომიკური კრიზისი ეროვნული ვალუტის არსებობის პირობებშიც აისახება საქართველოზე იგივე დონით, როგორც ეროვნული ვალუტის არ არსებობის შემთხვევაში აისახებოდა. ალბათობა იმისა, რომ ამერიკისა და ევროპის კავშირის საგადამხდელო ვალუტა გაუფასურდეს ისე, რომ საქართველოს (მზარდი ეკონომიკის პირობებშიც კი) ეროვნულ პროდუქტზე იქონიოს საგრძნობი უარყოფითი გავლენა მინიმალურია.

- ეროვნული ვალუტის გაუქმება და საგადამხდელო საშუალებად უცხოური ვალუტის შემოტანა არ ნიშნავს კონკრეტული, ერთი უცხოური ვალუტის, ყველა მიმართულებით ანგარიშსწორების საშუალებად დაწესებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შემოღებული ვალუტით, მხოლოდ საბიუჯეტო და საგადასახადო ურთიერთობების ვალდებულებების გასტუმრება იქნება სავალდებულო. კერძო ურთიერთობებში, პირებს შეეძლებათ შეთანხმდნენ ნებისმიერ, მათთვის მისაღებ ვალუტაზე, რომლითაც განახორციელებენ ანგარიშსწორებას. აღნიშნულ სქემას კი მინიმუმამდე დაჰყავს ოპონენტების მოსაზრება ეროვნული ეკონომიკის სავალუტო ქვეყნის ეკონომიკაზე პირდაპირპროპორციულად დამოკიდებულების შესახებ.

8. *ვალუტა ქვეყნის სუვერენიტეტისა და ეროვნულობის ნიშანია და მისი გაუქმება შებღალვას ქვეყნის სუვერენიტეტს.*

- ჩვენი აზრით ეს ემოციებამდე მისული კონტრარგუმენტია. ჩვენთვის გაუგებარია რა შუაშია ქვეყნის საგადამხდელო საშულება (ვალუტა) სუვერენიტეტთან („ქართველობის დაკარგვასთან“), ეროვნული ვალუტის გაუქმებით ამოგვშლიან დამოუკიდბელ სახელმწიფოთა სიიდან? ქვემოთ ვნახავთ ქვეყნებს რომელთაც არ აქვთ თავიანთი ეროვნული ვალუტა ან დამატებით საგადამხდელო საშუალებად შემოღებული აქვთ უცხოური ვალუტა (ეროვნულ ვალუტასთან ერთად) და ეს მათ სუვერენიტეტზე არანაირ გავლენას არ ახდენს.

***ვფიქრობთ საინტერესოა მოვიყვანოთ იმ ქვეყნების მაგალითები, სადაც არ ფუნქციონირებს ეროვნული ვალუტა (სადაც უცხო ქვეყნის ვალუტა ასრულებს ეროვნული ვალუტის ფუნქციებს)[5]:***

ქვეყნები, რომელიც არ არიან ევროზონის წევრები და მათ ქვეყანში მოქმედებს ევრო, როგორც ეროვნული ვალუტა: **მონტენეგრო, ანდორა, მონაკო, სან-მარინო, ვატიკანი.**

დღესდღეობით 30-მდე დამოკიდებულ, თუ დამოუკიდებელ ქვეყანაში მოქმედებს ამერიკული დოლარი, როგორც ეროვნული ვალუტა. [1, გვ.39] მათ შორისაა: **პანამა, ეკვადორი, ელ სალვადორი, მარშალის კუნძულები, მიკრონეზია, პალაუ, თერქს-ქაიქოსის კუნძულები, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები, ზიმბაბვე, პუერტო-რიკო, ტიმორ-ლესტე (ტიმორის დემოკრატიული რესპუბლიკა), ჩრდილოეთ მარიანას კუნძულები** [10, 11] და ა.შ.

***მონტენეგრო:*** დღესდღეობით მონტენეგროს ფულად ერთეულს, საგადამხდელო საშუალებას ევრო წარმოადგენს. ქვეყანაში ჯერ კიდევ 90-იან წლებში არსებობდა ეროვნული ვალუტა. მონტენეგროს ფულადი ერთეული იყო დინარი. გამომდინარე ინფლაციის ძლიან მაღალი დონისა, მონტენეგრომ უარი თქვა საკუთარ ვალუტაზე. 1999 წელს ეროვნულ ვალუტასთან (დინართან) ერთად გერმანული მარკა დაუშვა მიმოქცევაში. 2000 წლიდან კი ეროვნული ვალუტა მთლიანად გერმანულმა მარკამ ჩაანაცვლა (ბერლინის თანხმობით, გერმანული მარკა იქნა დაშვებული ქვეყნაში ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად). 2002 წლიდან კი, როდესაც ევროპის კავშირის ქვეყნებში (მათ შორის გერმანიაში) შემოღებული იქნა ერთიანი ვალუტა ევრო, მონტენეგრო ცალმხრივად, ევროპის კავშირის თანხმობის გარეშე, გადავიდა ევროზე (ქვეყნის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად ცალმხრივად იქნა შემოღებული ევრო). [12, 13]

მონტენეგროს მთლიანი შიდა პროდუქტის ვარდნა ჰქონდა ***1999 წელს*** მშპ -9.4%-ით შემცირდა და 837 მლნ დოლარი შეადგინა. 2000 წლიდან კი (მას შემდეგ რაც ბრუნვაში მხოლოდ გერმანული მარკა იქნა შემოღებული) ეკონომიკამ ზრდა დაიწყო. ***2000 წელს*** ეკონომიკის ზრდამ 3.1% შეადგინა და 966 მლნ. დოლარს მიაღწია. ***2001 წელს*** ზრდამ რეკორდულ მაჩვენებელს 11.1%-ს მიაღწია და 1,150 მლნ. დოლარი შეადგინა. ***2002 წელს*** მონტენეგროს მშპ-მ 1,269 მლნ. დოლარი (ზრდა 1,9%), ხოლო ***2003 წელს*** 1,668 მლნ. დოლარი (ზრდა 2.5%) შეადგინა.[24]

*ზემოაღნიშნულიდან ირკვევა, რომ ეროვნული ვალუტის სხვა ქვეყნის ვალუტით ჩანაცვლების შემდგომ, მონტენეგროს ეკონომიკა 3 წელიწადში (1999-2003წწ) თითქმის გაორმაგდა 837 მლნ-დან 1,668 მლნ დოლარამდე გაიზარდა (ასევე მოგვარდა ინფლაციისა და დევალვაციის პრობელმა).*

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ **2018 წლის** მდგომარეობით მონტენეგროს ეკონომიკამ 31,001 მლნ. დოლარი შეადგინა

ევრო დე-ფაქტო ვალუტაა ასევე ***ანდორაში,*** ხოლო ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე ევრო

5 მაგალითების მოყვანა ინფორმაციულ ხასიათს ატარებს, ზოგი მათგანი შეიძლება გამოდგეს ჩვენი მიდგომის საპირწონედ, ზოგი არა.

ასევე ოფიციალური ვალუტაა ევროპის კავშირის შემდეგ არაწევრ ქვეყნებში ***მონაკოში*** (ევრო შემოღებულია მონეტარული ხელშეკრულების საფუძველზე საფრანგეთსა და მონაკოს შორის - მოქმედებს ევროპის კავშირის ფარგლებს გარეთ) [14], ***სან-მარინოსა*** (მონეტარული ხელშეკრულება იტალიასა და სან-მარინოს შორის - მოქმედებს ევროპის კავშირის ფარგლებს გარეთ) [15] და ***ვატიკანში*** (მონეტარული ხელშეკრულება იტალიასა და ვატიკანს შორის - მოქმედებს ევროპის კავშირის ფარგლებს გარეთ) [16].

***პანამა:*** დღესდღეობით პანამის საგადამხდელო საშუალებას დოლარი წარმოადგენს. მიმოქცევაშია ეროვნული ვალუტის (ბალბოას, რომელიც შედგება 100 სენტისიმოსაგან) მხოლოდ რკინის მონეტები, რათა გაიოლდეს ვაჭრობა, ფულის როგორც საგადამხდელო საშუალების ფუნქციის შესრულება (არ შეიქმნას, რკინის მონეტებისა და ხურდა ფულის კრიზისი). 1904 წელს, მას შემდეგ რაც პანამამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, დღის წესრიგში დადგა ახალი ვალუტის შემოღების საკითხი (მანამდე პანამაში კოლუმბიური პესო ფუნქციონირებდა). ქვეყანაში შემოიღეს ეროვნული ვალუტა ბალბოა რომლის კურსი დოლართან მიმართებაში ერთი ერთზე (1 ბალბოა=1$) განისაზღვრა. 1934 წლამდე ვალუტა იყო ოქროზე მიბმული (1 ბალბოას ოქროთი უზრუნველყოფის ოდენობა შეადგენდა 1,504გ. ოქროს). ბალბოას ოქროთი უზრუნველყოფის ოდენობა უმნიშვნელოდ აჭარბებდა დოლარის ოქროთი უზრუნველყოფის ოდენობას. შესაბამისად 1934 წლიდან მიღებული იქნა გადაწყვეტილება ბალბოას კურსი განსაზღვრულიყო მხოლოდ დოლართან მიმართებაში და იგი, როგორც ზემოთ ვთქვით, განისაზღვრა ერთი ერთზე. აღსანიშნავია, რომ პანამაში ეროვნული ვალუტის ბანკნოტები არ არის მიმოქცევაში. ეროვნული ვალუტის ფუნქციას დოლარი ასრულებს (პანამის ისტორიაში მხოლოდ ერთხელ, 1941 წელს, მიმოქცევაში გაშვებული იქნა ბალბოას ქაღალდის ბანკნოტები, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ბანკნოტები ამოღებული იქნა ბრუნვიდან. დღეს, 1941 წელს ბრუნვაში გაშვებულ ბალბოას ბანკნოტებს, ირონიულად, „შვიდ დღიან დოლარებს" უწოდებენ). [18, 19, 20]

უნდა აღინიშნოს, რომ პანამას მშპ 2018 წლის მონაცემებით 65,055 მლნ დოლარია. [27]

***ზიმბაბვე:*** 1990-იანი წლების ბოლოს, ზიმბაბვეში მოხდა ზიმბაბვური დოლარის ჰიპერინფლაცია, რომელმაც თავის პიკს 2009 წელს მიაღწია. შესაბამისად, 2009 წელს მოხდა ზიმბაბვური დოლარის გაუქმება და შეიქმნა სავალუტო კალათა. სავალუტო კალათაში შემავალი ვალუტები ითვლებოდა/ითვლება როგორც კანონიერი საგადამხდელო საშუალება ქვეყანაში. სავალუტო კალათა შედგება ამერიკული დოლარის, ბრიტანული ფუნტის, ევროს, სამხრეთ აფრიკის რანდის, ინდური რუპიას, ჩინური იენის, ავსტრალიურ დოლარისა და ბოტსვანის პულასაგან. მიუხედავად სავალუტო კალათაში შემავალი სხვადასხვა ვალუტისა, ყველაზე გავცელებულ საგადამხდელო საშუალება ზიმბაბვეში მაინც ამერიკული დოლარია.

აღსანიშნავია, რომ ***2008 წელს*** (ეროვნული ვალუტის გაუქმებამდე) ქვეყნის ეკონომიკა შემცირდა -16.3%-ით და 6,707 მლნ. დოლარი შეადგინა. ***2009 წელს*** ზიმბაბვეს ეკონომიკა 7.4%-ით გაიზარდა და 9,666 მლნ. დოლარი შეადგინა. ***2010 წელს*** ეკონომიკის ზრდამ 19.7% შეადგინა და 12,042 მლნ. დოლარს მიაღწია. ***2011 წელს*** ეკონომიკა 14.2%-ით გაიზარდა და 14,102 მლნ. დოლარი შეადგინა. ***2012 წელს*** ეკონომიკური ზრდა 16.7%-ი იყო და 17,115 მლნ. დოლარი გახდა. **2013 წელს** ქვეყნის ეკონომიკა 2%-ით გაიზარდა და 19,091 მლნ. დოლარი შეადგინა. [25]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული ვალუტის გაუქმების შემდგომ, გარდა იმისა, რომ ზიმბაბვეში ინფლაციისა და დევალვაციის პრობლემა მოგვარდა; *ეროვნული ვალუტის გაუქმებიდან 5 წელში (2009-2013წწ.) ქვეყნის ეკონომიკა თითქმის გაორმაგდა და 9,666 მლნ. დოლარიდან 19,091 მლნ დოლარამდე გაიზარდა.*

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ***2018 წლის*** მდგომარეობით ზიმბაბვეს ეკონომიკამ 31,001 მლნ. დოლარი შეადგინა. [25]

***ელ-სალვადორი:*** სალვადორი ერთ ერთი ქვეყანაა იმ ქვეყანათა შორის რომელმაც უცხო ქვეყნის ვალუტა შემოიღო/შემოიტანა როგორც თავისი ეროვნული ფულადი ერთეული. 1980-იან წლებში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. სამოქალაქო ომის გადატანის შემდგომ, 1992 წლიდან, ქვეყანაში გატარებული იქნა მთელი რიგი ღონისძიებები განვლილი ათწლეულის მანძილზე შიდა კონფლიქტების შედეგად განადგურებული ეკონომიკის კრიზისიდან გამოსაყვანად/აღსადგენად (განხორციელდა საბანკო სისტემის პრივატიზება, მოხდა ეკონომიკური შეზღუდვების/ბარიერების ლიბერალიზაცია და ა.შ.). იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ სალვადორის ეროვნული ვალუტის-კოლონის შემდგომი დესტაბილიზაცია (რყევები, ინფლაცია), 2001 წელს ოფიციალურ საგადამხდელო საშუალებად, შემოღებული იქნა ამერიკული დოლარი. დღესდღეობით დოლარი რჩება სალვადორის ოფიციალურ საგადამხდელო საშუალებად (თუმცა კოლონი კვლავ ითვლება კანონიერ საგადამხდელო საშუალებად).

აღსანიშნავია, რომ ***2001 წელს*** ელ-სალვადორის ეკონომიკა 12,283 მლნ. დოლარს შეადგენდა. ***2002 წელს*** მაჩვენებელი 1.6%-ით გაიზარდა და 12,664

მლნ. დოლარი შეადგინა. ***2003 წელს*** ქვეყნის ეკონომიკა 1.6%-ით გაიზარდა და 13,244 მლნ. დოლარი შეადგინა. ***2004 წელს*** ზრდა უმნიშვნელო იყო 0.9% და ქვეყნის ეკონომიკა 13,725 მლნ. დოლარი გახდა. ***2005 წელს*** ეკონომიკურმა ზრდამ 3.1% შეადგინა და 13,698 მლნ. დოლარს მიაღწია. ***2006 წელს*** ზრდა 4.3% იყო და ქვეყნის ეკონომიკა 16,000 მლნ დოლარს გაუტოლდა. [26]

ზემოაღნიშნულიდან ირკვევა, რომ მას შემდეგ, რაც ელ-სალვადორში დოლარი ოფიციალურ საგადამხდელო საშუალება იქნა შემოღებული, 5 წელში (2002-2006 წწ.) ქვეყნის ეკონომიკა თითქმის 4,000 მლნ. დოლარით გაზარდა.

ასევე, ***2018 წლის*** მდგომარეობით ელ-სალვადორის ეკონომიკა 26,067 მლნ. დოლარს შეადგენს. [26]

***ეკვადორი:*** კიდევ ერთი ქვეყანაა, რომელმაც შემოიღო ამერიკული დოლარი, როგორც ეროვნული ვალუტა (შემოიტანა დოლარი ოფიციალურ საგადამხდელო საშუალებად). 1980-იან წლებში ეკვადორის ეროვნული ვალუტა-სუკრე მნიშვნელოვნად გაუფასურდა, რამაც გამოიწვია მკვეთრი ინფლაცია. 1999 წელს კი სიტუაცია საბანკო კრიზისამდე მივიდა. არაეფექტურმა მმართველობამ/მართვამ ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. ქვეყანაში მასიური უმუშევრობა იყო რის გამოც მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებული იყო წასულიყო ემიგრაციაში. შექმნილი მძიმე სიტუაციიდან გამომდინარე, 2000 წელს, მიღებულ იქნა ქვეყნის კანონიერ საგადამხდელო საშუალებად ამერიკული დოლარის შემოღების გადაწყვეტილება. თუმცა არაოფიციალურად ქვეყანაში დოლარი ისედაც საგადამხდელო საშუალებას წარმოადგენდა. ქვეყნის დოლარიზაცია ისედაც მიმდინარეობდა არაოფიციალური ფორმით. დოლარის შემოღების გადაწყვეტილება უბრალოდ ოფიციალური გაფორმება იყო იმ შეუქცევადი პროცესის, რაც მიმდინარეობდა. ამ ნაბიჯმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყნის ეკონომიკის დასტაბილურებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ***1999 წელს*** ეკვადორის ეკონომიკა -4.7%-ით შემცირდა და 19,7040 მლნ. დოლარი შეადგინა. ***2000 წელს*** ქვეყნის ეკონომიკა შემცირდა -1.1%-ით და 18,319 მლნ. დოლარი შეადგინა. ***2001 წლიდან*** კი ეკონომიკამ ზრდა დაიწყო. ზრდის მაჩვენებელმა 4.0%-ს მიაღწია და 24,468 მლნ. დოლარს გაუტოლდა. ***2002 წელს*** ზრდა 4.1% შეადგინა და 28,549 მლნ დოლარს გაუტოლდა. ***2003 წელს*** ქვეყნის ეკონომიკა 2.7%-ით გაიზარდა 32,443 მლნ. დოლარი შეადგინა. ***2004 წელს*** ეკვადორის ეკონომიკა მნიშვნელოვნად 8.2%-ით გაიზარდა და 36,592 მლნ. დოლარი გახდა. ***2005 წელს*** კი ზრდა უკვე 5.3% იყო და ეკონომიკის მაჩვენებელი 41,507 მლნ. დოლარის ექვივალენტი გახდა. [28]

ზემოაღნიშნული მაჩვენებელებიდან ირკვევა, რომ მას შემდეგ, რაც ეკვადორში ოფიციალურ საგადამხდელო საშუალებად დოლარი იქნა შემოღებული, 6 წელიწადში (2000-2005წწ.), ეკონომიკა გაორმაგდა 18,319 მლნ. დოლარიდან 41,443 მლნ დოლარამდე გაიზარდა.

ამასთან, ***2018 წლის*** მონაცემებით ეკვადორის ეკონომიკა 108,398 მლნ. დოლარის ტოლია. [28]

***მიკრონეზია:*** 1979 წელს დამოუკიდებლობის მიღების შემდგომ მიკრონეზიაში მიმოქცევაში დატოვეს ამერიკული დოლარი როგორც ეროვნული ვალუტა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ამერიკასა და მიკრონეზიას შორის ჩამოყალიბდა მჭიდრო ურთიერთობები. ამერიკის შეერთებული შტატები, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, მართავდა მიკრონეზიას (როგორც მისი/ამერიკის მზრუნველობის ქვეშ შემავალი წყნარი ოკეანის აუზის კუნძულების ნაწილს) მის დამოუკიდებლობის მიღებამდე. დამოუკიდებლობის მიღების შემდგომ ამერიკასა და მიკრონეზიას შორის გაფორმდა ასოცირების შეთანხმება (შეთანხმება ძალში 1986 წელს შევიდა), რომლის თანახმად ამერიკა მიკრონეზიის სახმელეთო და საზღვაო გზების გამოყენების სანაცვლოდ იღებს ვალდებულებას დაეხმაროს ქვეყანას ფინანსურად, დაიცვას მისი ტერიტორიული მთლიანობა და უზრუნველყოს მიკრონეზიის მოქალაქეებისათვის უვიზო რეჟიმი (უვიზო მიმოსვლა) ამერიკის ტერიტორიაზე.

***ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები:***: ქვეყანა 1959 წლიდან იყენებს ამერიკულ დოლარს, როგორც ეროვნულ ვალუტას. შეიძლება ითქვას, რომ, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ამ ქვეყანას სპეციფიკური გარემოებების გამო აქვს აშშ დოლარი, როგორც ეროვნული ვალუტა, მიმოქცევაში. 1. ქვეყნის მოსახლეობა სულ 30 000 ადამიანს შეადგენს და ასეთი მცირე მოცულობის ქვეყნისთვის ზედმეტი ძალისხმევაა ჰქონდეს საკუთარი ეროვნული ვალუტა. 2. ძალიან ახლო ურთიერთობა აქვს ამერიკასთან და ქვეყნის ეკონომიკა სპეციფიკურია - ფინანსური მომსახურება ქვეყნის მშპ-ს ნახევარს შეადგენს; მორე ნახევარი კი ტურიზმის სექტორზე მოდის. ამრიგად, ქვეყანაში აშშ დოლარის გამოყენება ეროვნული ეკონომიკის უზარმაზარი ფუნდამენტია. დოლარის ბრუნვას დიდი სარგებელი მოაქვს ფინანსური სექტორისათვის, მნიშვნელოვნად ამცირებს ფინანსური ოპერაციებისა და ვალუტის გაცვლის დანახარჯებს, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებასაც. KPMG-ს[6] მონაცემებით მსოფლიოში არსებული ოფშორული კომპანიების ნახევარი ფორმირებულ იქნა (შეიქმნა,

6 საერთაშორისო კომპანია. ერთ-ერთი ყველაზე დიდი აუდიტორული მომსახურების კომპანია (ასევე ეწევა საკონსულტაციო საქმიანობასაც), შედის მსოფლიო ოთხეულში ისეთ დიდი კომპანიებთან ერთად როგორიცაა: Deloitte, Ernst&Young (EY) and Pricewaterhouse Coopers (PWC). https://en.wikipedia.org/wiki/KPMG

დაფუძნდა) ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე, რაც ამ ქვეყანას აქცევს საგადასახადო ტვირთისგან გაქცევის ყველაზე უფრო დიდ თავშესაფრად მსოფლიოში (ის არის პლანეტის ერთ-ერთი უმსხვილესი საგადასახდო თავშესაფარი). იმ ფაქტმა, რომ აშშ დოლარი არის ქვეყნის საგადამხდელო საშუალება (ასრულებს ეროვნული ვალუტის ფუნქციას) უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულების ერთ-ერთ უმსხვილეს ოფშორულ ზონად/ქვეყნად ჩამოყალიბებაში.

***ამრიგად,*** ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ეროვნული ვალუტის არსებობა ხელს უშლის/აფერხებს ეკონომიკის განვითარებას. იგი ქმნის უფრო მეტ პრობლემას ვიდრე აგვარებს.

შესაბამისად, ჩვენი აზრით: 1. ეროვნული ვალუტა უნდა გაუქმდეს; 2. საბიუჯეტო საგადამხდელო საშუალებად ქვეყანაში უნდა იქნას შემოტანილი დოლარი ან ევრო; 3. კერძო ურთიერთობებში შესაძლებელი უნდა იყოს შეთანხმების ნებისმიერ ვალუტაში გაფორმება; 4. ეროვნული ბანკი უნდა გაუქმდეს; 5. შესაძლებელია შეიქმნას სავალუტო საბჭო (ან ეს ფუნქცია შეითავსოს რომელიმე სახელმწიფო უწყებამ მაგ. ფინანსთა სამინისტრომ), რომელიც, ეკონომიკის დაზღვევის მიზნით, მოახდენს სავალუტო რეზერვების წარმოებას (ყველაზე ეფექტიანია სავალუტო რეზერვები წარმოებულ იქნას ოქროში) და მის განთავსებას სხვა ქვეყანაში (მაგ. შვეიცარიაში). ამით ქვეყანა მიიღებს დამატებით შემოსავალს რეზერვებზე დარიცხული სარგებლიდან (პროცენტიდან) და შემცირდება სავალუტო რეზერვის არამიზნობრივად გახარჯვის რისკი.

არსებობს, ალტერნატიული მოსაზრებაც სავალუტო რეფორმასთან დაკავშირებით, რაც გამოიხატება არა ეროვნული ვალუტის გაუქმებაში, არამედ მისი ფიქსირებული კურსით სავალუტო რეზერვებთან მიმაგრებაში. უქმდება ეროვნული ბანკი, იქმნება ეგრეთ წოდებული ორთოდოქსული სავალუტო საბჭო, რომელიც ქმნის სავალუტო რეზერვს უცხოურ ვალუტაში და ამ ვალუტას ამაგრებს, ფიქსირებული კურსით, ეროვნულ ვალუტას. ანუ რა მოცულობის სავალუტო რეზერვიც ექნება სახელწმიფოს მისი შესაბამისი ეროვნული ვალუტა იქნება მიმოქცევაში. ეროვნული ვალუტის კურსი იქნება ფიქსირებული სავალუტო რეზერვის ვალუტასთან მიმართებაში. აღნიშნული მიდგომა/რეფორმა კარგად აქვს აღწერილი სტივ ჰანკესა და კურტ შულერს თავის წიგნში/ნაშრომში **„უსაფრთხო ვალუტა საქართველოსთვის“**. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხს ვრცლად აღარ შევეხებით. აღვნიშნავთ ერთს, რომ ეს მოდელი ბევრად უკეთესი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის ვიდრე დღეს არსებული მოდელია. *<u>თუმცა ჩვენ მაინც ეროვნული ვალუტის გაუქმებას უფრო ვემხრობით (უფრო ეფექტიან მექანიზმად მიგვაჩნია).</u>* მაინც, თუ ქვეყნის პოლიტიკა სავალუტო საბჭოს მოდელით წავა მაშინ, ჩვენი აზრით უმჯობესია სავალუტო რეზერვები განისაზღვროს ოქროთი და არა უცხოური ბანკნოტებით.

შეჯამების სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ ეროვნული ვალუტის გაუქმების ზემოთ ნახსენებ/აღწერილ მოდელს. ვფიქრობთ, რომ ეს ბევრად უკეთესი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის. საკითხს აქტუალობას მატებს ქვეყანაში დღეს არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ეროვნული ვალუტის მერყევი (არასტაბილური) მდგომარეობაც.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. სტივ ჰანკე, კურტ შულერი - „უსაფრთხო ვალუტა საქართველოსთვის“, თავისუფალი უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010 წ. 178 გვ.
2. საქართველოს ორგანული კანონი „ეროვნული ბანკის შესახებ“
3. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 იანვრის #1 დადგენილება - „საბანკო კრედიტის/სესხის საქართველოს ეროვნულ ვალუტაში კონვერსიისა და საქართველოს მთავრობის მიერ სუბსიდირების განხორციელების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“
4. საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებგვერდი https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304 „ფინანსური ინსტიტუტები“, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კრებსითი აქტივებისა და პასივების დინამიკა“, „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების საკრედიტო კავშირების აქტივებისა და პასივების დინამიკა“, „რეფინანსირების აუქციონზე გაცემული სესხები“, „ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი ეროვნული ვალუტის მიმართ“ - გადამოწმებულია 2019 წლის 25 ოქტომბრის მდგომარეობით
5. საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდი https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304 შემოწმებულია 2019 წლის 25 ოქტომბრის მდგომარეობით
6. ვებგვერდი ww.lari.ge; http://www.lari.ge/index.php?do=currency/chart&code=USD
7. „Business Media Georgia“ ელექტრონული საინფორმაციო ვებ გვერდი www.bm.ge, სტატია -„ტექნო ბუმმა მოიფიქრა სქემა, რითაც პროდუქციის შეძენა განვადებით, ბანკის გარეშე, იქნება შესაძლებელი“

– 2019 წელი 31 მარტი, 11:20, https://www.bm.ge/ka/article/quotteqno-bummaquot-moifiqra-sqema-ritac-produqciis-shedzena-ganvadebit-bankis-gareshe-iqneba-shesadzlebeli-/31863

8. „Business Media Georgia“ ელექტრონული საინფორმაციო ვებ-გვერდი www.bm.ge, სტატია, „დაახლოებით, 50 დეველოპერთან მაქვს ურთიერთობა და ყველასთან ძალიან ცუდი მდგომარეობაა“ - 2019 წელი 6 აპრილი, 10:40, https://www.bm.ge/ka/article/daaxloebit-50-developertan-maqvs-urtiertoba-da-yvelastan-dzalian-cudi-mdgomareobaa/32192

9. „Business Media Georgia“ ელექტრონული საინფორმაციო ვებ გვერდი www.bm.ge, სტატია „მომენტალური განვადება 56%-ითაა შემცირებული... გაზრდილია მოთხოვნა ბიზნეს სესხებზე“ 2019 წლის 5 აპრილი, 18:04 https://www.bm.ge/ka/article/momentaluri-ganvadeba-56-itaa-shemcirebuli-gazrdilia-motxovna-biznes-sesxebze/32169

10. https://qz.com/260980/meet-the-countries-that-dont-use-their-own-currency/

11. https://www.transfergo.com/en/blog/countries-use-dollar-currency/

12. https://openmonte.com/community_item/montenegro/536.html?fbclid=IwAR2X9rJzju-Gsk44L_ZGN-O6JyUAVaGinM-U4TxfbcTlJe5XJLSQp439eRY

13. https://visasam.ru/samotur/finansy/dengi-v-chernogorii.html

14. https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2002:142:0059:0073:EN:PDF

15. https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2001:299:0001:0004:EN:PDF

16. https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2001:209:0001:0004:EN:PDF

17. https://ka.wikipedia.org/wiki/ევრო

18. http://actravel.ru/panama_money.html;

19. http://guide.travel.ru/panama/money/;

20. https://www.finversia.ru/publication/currency/panamskii-balboa-46997

21. https://blog.continentalcurrency.ca/countries-that-use-foreign-currency/

22. ეროვნული ბანკის განმარტება ფულის მასის ზრდაზე: https://www.bm.ge/ka/article/seb---mosazreba-rom-fulis-masis-zrda-inflacias-an-kursis-gaufasurebas-iwvevs-mcdaria/39106

23. ლაშა მგელაძე - სადისერტაციო ნაშრომი „კონკურენციის პოლიტიკის სრულყოფის გზები საქართველოში“ 2019 წელი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, შიფრი 0701) გვ.107-115

24. მონტენეგროს მშპ-ს სტატისტიკა https://countryeconomy.com/gdp/montenegro?year=2003

25. ზიმბაბვეს მშპ-ს სტატისტიკა https://countryeconomy.com/gdp/zimbabwe

26. ელ-სალვადორის მშპ-ს სტატისტიკა https://countryeconomy.com/gdp/el-salvador

27. პანამას მშპ-ს სტატისტიკა https://countryeconomy.com/gdp/panama

28. ეკვადორის მშპს ზრდის სტატისტიკა https://countryeconomy.com/gdp/ecuador?year=2018

29. როგორ დაიბადა ლარი - https://www.bpn.ge/article/14757-rogor-daibada-lari/

30. http://iverioni.com.ge/print:page,1,13978-22-tslis-laris-20-tslis-iubile.html

31. https://on.ge/story/44985-ეროვნულმა-ბანკმა-102-ათასზე-მეტ-ადამიანს-სესხზე-პროცენტი-გაუზარდა?utm_source=facebook&utm_medium=fb_page&utm_campaign=fb_page_news&fbclid=IwAR2ED0XxYsa5c5oHhr-2jnWYLz3g_3zltpVHIOOs8oTN4A1GAm6NPoXMh-o

32. http://bfm.ge/yvelaze-mnishvnelovani-riski-rac-inflaciaze-moqmedebs-laris-gaufasurebaa-archil-mestvirishvili/?fbclid=IwAR14wm-Hifk-847G2jHpi4q_CCrrPXBdvVtBcP1NU741ffLCNYPy2Vbn06I

## NATIONAL CURRENCY IN GEORGIA, AN INSTRUMENT WHICH IMPEDES FACILITATES OF ECONOMIC DEVELOPMENT

**Lasha Mgeladze**
Doctor of Economics

The article deals with one of the most important issues for the country and business. Related to national currency and the monetary policy of the country. The present paper reviews dedicated about the current situation, describes the risks to the existence of the national currency in the country and what it will bring to the country in case of refusing national currency. Examples of different countries are given and recommendations / models for the arrangement of the country's currency system are proposed.

# კონკურენციის ეკონომიკური საფუძვლები



**სლავა ფეტელავა**
ეკონომიკის დოქტორი (PhD),
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, საქართველოს
საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი

ეკონომიკური კონკურენცია, წარმოადგენს მდგრადი ეკონომიკური განვითარების საწინდარს, რომელიც ასტიმულირებს მოთხოვნის მქონე პროდუქციის ფართო ასორტიმენტის წარმოებას საჭირო რაოდენობით უფრო ნაკლებ ფასად და უზრუნველყოფს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარებას, რესურსების ოპტიმალურ განაწილებას და საჭირო ცვლილებებს ბაზრის სტრუქტურაში. ის, ეკონომიკის თვალსაზრისით, მაქსიმიზაციას უკეთებს მთელი საზოგადოების კეთილდღეობას, სადაც მომხმარებლები მოგებული რჩებიან ფასების შემცირების და ასორტიმენტის გაფართოებაზე რესურსების ეფექტური განაწილების და წარმოების ოპტიმალური ორგანიზაციის შედეგად; ეკონომიკური აგენტები პატიოსანი ბრძოლის პირობებში ამცირებენ დანახარჯებს და ნერგავენ მეცნიერების, ტექნიკის და მმართველობითი გადაწყვეტილებების უახლოეს მიღწევებს. თავის მხრივ, ეფექტური კონკურენცია შიდა ბაზარზე აიძულებს ადგილობრივ კომპანიებს ეძიონ ახალი ბაზრები როგორც ქვეყნის შიგნით ისე მის ფარგლებს გარეთ. ამასთან, შიდა ბაზარზე კონკურენცია ქმნის წინაპირობებს ისეთი ინოვაციების დანერგვისათვის, რომლებიც ზრდიან კომპანიების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას. ამდენად, ღია კონკურენციის უზრუნველყოფა განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში იყო და არის სახელმწიფო მოწყობის ამოსავალი პრინციპი. უფრო მეტიც, კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას, მის დაცვას და შემდგომი განვითარების ხელშეწყობას ემსახურება ევროგაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულების ძირითადი დებულებები.

ზოგადად ცნობილია, რომ არსებობს კონკურენციის ისეთი ხარისხობრივი მახასიათებლები, როგორიცაა - „სრულყოფილი", „ეფექტიანი" და სხვ. ამასთან, რამდენადაც „სრულყოფილი კონკურენცია (და ამდენად თავისუფალი ბაზარი) მხოლოდ და მხოლოდ თეორიული კონსტრუქციაა" [3; გვ. 26], ვიდრე ბაზრის რეალური მოცემულობა, ეკონომისტთა გარკვეული კატეგორია მიიჩნევდა და მიიჩნევს, რომ კონკურენციის პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს არა „სრულყოფილი" კონკურენციის, არამედ, „ეფექტიანი" კონკურენციის მიღწევა. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ, ამ საკითხზე არსებობს ერთიანი მიდგომა - კონსესუსი. უფრო მეტიც, „რომის ხელშეკრულების" ავტორებმა კონკურენციის დახასიათებისას თავი აარიდეს როგორც „სრულყოფილ", ისე „ეფექტიან" კონკურენციას და გამოიყენეს „ნორმალური" კონკურენციის ცნება, რომლის ქვეშ მოიაზრება შესაბამისი ბაზრის ისეთი მოცემულობა, როცა ეკონომიკური აგენტები ეწევიან დამოუკიდებელ მეტოქეობას მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით.

საქართველოში დღეისათვის (31.12.2019 წ.) მოქმედი ჩარჩო კანონით, კონკურენცია განიმარტება, როგორც შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის მეტოქეობა ამ ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად [12; მუხლი 3; პუნქტი - „ბ"]. ამასთან, კონკურენციის სფეროში საყოველთაოდ ცნობილი თეორეტიკოსის მ. პორტერის განმარტებით, კონკურენციის არსი ეკონომიკის ნებისმიერ დარგში, როგორც შიდა ისე საგარეო ბაზარზე გამოიხატება შემდეგი ხუთი ელემენტით: 1)ახალი კონკურენტების წარმოქმნის საშიშროებით; 2)საქონლის ან მომსახურების შემცვლელების წარმოქმნის საშიშროებით; 3)მაკომპლექტებელი ნაწარმის მიმწოდებელთა ვაჭრობის უნარით; 4) მყიდველთა ვაჭრობის უნარით და 5)არსებულ კონკურენტებს შორის მეტოქეობით. ამასთან, ამ ხუთი ელემენტიდან/ფაქტორიდან, თითოეულის მნიშვნელობა იცვლება დარგიდან დარგში და საბოლოო ანგარიშით განსაზღვრავს დარგების მომგებიანობას [1; გვ. 11]. ასევე, ცნობილი მეცნიერის, ი. შუმპეტერის შრომებში ხაზგასმულია, რომ კონკურენცია წარმოადგენს არა სტატიკურ მოვლენას, არამედ დინამიურ და განვითარებად პროცესს, რომელიც, როგორც პროცესი, საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში თამაშობს უდიდეს როლს [14, გვ. 54]. ცნობილი ეკონომისტის ფ. ა. ჰაიეკის განმარ-

ტებით კი - კონკურენცია წარმოადგენს ახლის გახსნის, შეცნობის პროცედურას, რომელიც ჩვეულია ევოლუციისათვის მის ყველა ფორმაში, რომელიც აიძულებს ადამიანს თავის ნების მიუხედავად ჩაერთოს ახალ სიტუაციებში. მას მიაჩნდა, რომ ეკონომიკურ მეცნიერებაში არასწორად ხდებოდა ,,კონკურენციის“ ტერმინის გამოყენება. მისი შეხედულებით კონკურენცია უნდა განვიხილოთ უფრო ფართოდ - არა მხოლოდ და არა იმდენად ბაზარზე ფირმების ურთიერთქმედების სტრატეგიის სახით, არამედ ეკონომიკური ცხოვრების მამოძრავებელი ძალის სახით. ამ პოზიციებიდან ჰაიეკი ახდენს კონკურენციის დაყოფას როგორც თავისი ბუნებით დინამიკურ პროცესად და კონკურენციის მოდელის სტატიკურ ვერსიად, რომელსაც წარმოადგენს საბაზრო წონასწორობა“ [13; გვ. 50-51]. ჰაიეკი ხედავს კონკურენციაში ინდივიდების მოთხოვნების ცვლილებებს და მათი დაკმაყოფილების ადრე უცნობი წესების გამოვლენის პროცესს. ამასთან, იგი თვლის, რომ კონკურენცია ფასობს იმდენად, რამდენადაც მისი შედეგების წინასწარმეტყველება შეუძლებელია და მთლიანად მისი შედეგები განსხვავდება იმისგან, რაც იყო დაგეგმილი“ [2; გვ. 11].

ცხადია ისიც, რომ კონკურენცია თავის თავზე შეიგრძნობს მონოპოლიების ზეწოლას, რომელთა ურთიერთქმედებაც მნიშვნელოვან ევოლუციურ პროცესს განიცდის. ფაქტია, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის ბაზრის ,,ატომისტიკური“ სტრუქტურა შეცვალა ,,მკაცრი მონოპოლიის“ ეტაპმა, რომელიც შედარებით ცოტახანს არსებობდა. ამასთან, შემდგომ პერიოდში დასავლეთის უმეტეს ქვეყნებში ,,მკაცრი მონოპოლია“ შეიცვალა ოლიგოპოლიური საბაზრო სტრუქტურით, რომელიც ხასიათდება მცირე რაოდენობის მსხვილი მიმწოდებლებით, რომლებიც აცნობიერებენ ურთიერთდამოკიდებულებას სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისას, მაგალითად, ფასებთან, წარმოების მოცულობასთან ან ხარისხთან დაკავშირებით [7; გვ. 119].

თავის მხრივ, გასული საუკუნის შუა წლებში ჩამოყალიბებული ოლიგოპოლიური საბაზრო სტრუქტურა არ ნიშნავდა უმსხვილესი კომპანიების მიერ თავიანთი ეკონომიკური სიძლიერის დაკარგვას. უფრო მეტი, ისინი აგრძელებდნენ დარგობრივი წარმოების წილის თავიანთ ხელში თავმოყრას, უპირველეს ყოვლისა, კაპიტალის მსხვილმასშტაბიანი ცენტრალიზაციის შედეგად, რომელიც საშუალებას აძლევდა მსხვილ ეკონომიკურ აგენტებს აკუმულაცია გაეკეთებინათ სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის და საწარმოო სიძლიერის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის. მიუხედავად აღნიშნულისა, შესაბამის ბაზარზე მოქმედი მსხვილი კომპანიების ბატონობას არ მოჰყოლია კონკურენციის განადგურება. შესაბამისად, თავისუფალმა კონკურენციამ განიცადა ტრანსფორმაცია ე.წ. ,,ცივილიზებულ“, ,,ორგანიზებულ“ კონკურენციაში, რომელიც განსაზღვრავს ორი საწყისის - კონკურენციის და მონოპოლიის - დინამიურ წონასწორობას თანამედროვე ბაზარზე. ამასთან, ცხადია, რომ იმ პირობებში, როცა მთავარი პოზიციები ბაზარზე ეკუთვნის მსხვილ ეკონომიკურ აგენტებს, ბაზრის თვითრეგულირების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად შესუსტებულია. ამდენად, ცხადია, ოლიგოპოლია, რომლის თეორიის შექმნის პირველი ცდა ეკუთვნის ა. კურნოს [16], თვითონ არ იძლევა საკმარისი კონკურენციის გარანტიას.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეფექტიანი კონკურენცია შესაბამის ბაზრებზე ვითარდება არა თავისთავად, არამედ მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის დახმარებით, რომელიც უფრო ხშირად განისაზღვრება როგორც - ,,კონკურენციის პოლიტიკა“, ,,ანტიტრასტული პოლიტიკა“ ან ,,ანტიმონოპოლიური პოლიტიკა“. ზოგადად, კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანობა გულისხმობს სპეციალური კანონმდებლობისა და შესაბამისი ინსტიტუციების არსებობას და სამართალგამოყენებითი პრაქტიკის ქონას.

დღეისათვის მსოფლიოში არსებობს კონკურენციის კანონმდებლობისა და კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკაში რეალიზაციის სხვადასხვა მოდელები. თუმცა, ფაქტია ისიც, რომ კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების ყველა მოდელი ემსახურება - შესაბამის ბაზრებზე კონკურენციის განვითარებას, რესურსების ეფექტური განაწილების უზრუნველყოფას, მონოპოლიზაციისა და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აცილებას, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას და ა.შ.

თავის მხრივ, კონკურენციის კანონმდებლობა, მჭიდროდ უკავშირდება რეგულირების ისეთ საკითხებს, როგორიცაა - მომხმარებელთა უფლებების დაცვა, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა, შიდასავაჭრო პოლიტიკა, უცხოური ინვესტიციების სფეროში წარმოებული პოლიტიკა და სხვ. ამასთან, სახელმწიფო რეგულირების ეს მიმართულებები რიგ შემთხვევებში ავსებენ ერთმანეთს, ხოლო რიგ შემთხვევებში კი შედიან ერთმანეთთან კონფლიქტში (მაგალითად - კონკურენცია და სავაჭრო პოლიტიკა). მაგრამ, ცხადია ისიც, რომ კონკურენციის პოლიტიკას აქვს მკაცრად გამოხატული მიზანი, რომელიც განასხვავებს მას რეგულირების სხვა მიმართულებებისაგან. კერძოდ, კონკურენციის კანონმდებლობის და პოლიტიკის მიზანია, როგორც წესი, კონკურენციის განვითარება და ეკონომიკის ეფექტიანობა, მაშინ როდესაც - მომხმარებელთა უფლებების დაცვის პოლიტიკა ემსახურება, უპ-

ირატესად - მომხმარებელთა ჯანმრთელობის და ეკონომიკური ინტერესების დაცვას.

რაც შეეხება კონკურენციის საწინააღმდეგო სიტუაციას ბაზარზე - ის, როგორც წესი, ცნობილია მონოპოლიის სახით. საქართველოში დღეისათვის მოქმედი ჩარჩო კანონი არ ცნობს ამ ცნების ლეგალური განსაზღვრებას. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ 2019 წლის ბოლოს საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ძალისხმევით, ევროკავშირის პროექტის - „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა" დაფინანსებით გამოცემული - „კონკურენციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი" მოიცავს - ტერმინის „მონოპოლია" განმარტებას. ამ განმარტების მიხედვით - მონოპოლია ესაა ბაზრის სტრუქტურის ერთ-ერთი სახე, რომელიც გულისხმობს, რომ შესაბამის ბაზარზე მხოლოდ ერთი გამყიდველი ან მომწოდებელია. ეკონომიკურ თეორიაში, მონოპოლია სრულყოფილი კონკურენციის საპირისპირო მდგომარეობად ითვლება. მონოპოლიის პირობებში, წარმოების მოცულობა ნაკლები, ხოლო ფასი - უფრო მეტია, ვიდრე ეს კონკურენციის პირობებში იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მონოპოლისტის ფასწარმოქმნაც გარკვეულწილად შეზღუდულია ბაზარზე არსებული მოთხოვნით, ის, როგორც წესი, მოქმედებს, როგორც ფასის დამდგენი და არა როგორც ფასის მიმღები (რასაც ადგილი აქვს კონკურენტული ბაზრის შემთხვევაში). გარდა ამისა, მონოპოლისტი იღებს კონკურენტულზე მაღალ მოგებას. შედეგად, მომხმარებელი იხდის უფრო მაღალ ფასს და ადგილი აქვს კეთილდღეობის აუნაზღაურებელ დანაკარგს.

მონოპოლიის შენარჩუნება დიდწილად დამოკიდებულია ბაზარზე შესვლის ბარიერების არსებობაზე. ბაზარზე შესვლისა და ბაზრიდან გასვლის სიმარტივის შემთხვევაში, მონოპოლიის არსებობა ნაკლებად სავარაუდოა. მონოპოლია განსხვავდება საბაზრო ძალაუფლებისაგან. ეს უკანასკნელი მოიცავს ყველა სიტუაციას, როდესაც ეკონომიკური აგენტების წინაშეა მოთხოვნის დაღმავალი მრუდი, რაც მათ საშუალებას აძლევს, დააწესონ კონკურენტულ ნიშნულზე მაღალი ფასი. საბაზრო ძალაუფლება შესაძლოა არსებობდეს როგორც მონოპოლიის, ასევე ოლიგოპოლიის და მონოპოლისტური კონკურენციის პირობებში.

კონკურენციის პოლიტიკის მიზნებისათვის, ტერმინი „მონოპოლია" ზოგჯერ გამოიყენება ისეთი ბაზრის აღსანიშნავადაც, სადაც სრული 100%-იანი საბაზრო წილი ერთ ეკონომიკურ აგენტს არ უკავია. სხვადასხვა ქვეყნები სამართლებრივად განსხვავებულად განმარტავენ ამ ტერმინს. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში მონოპოლიზაცია ანტიტრასტული კანონმდებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარღვევაა. საქართველოში მონოპოლიური საქმიანობა აკრძალულია კონსტიტუციით, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა [7; გვ. 108-109].

ზემოაღნიშნულიდან და ზოგადად ეკონომიკურ ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინებიდან გამომდინარე, შეიძლება მოკლედ ითქვას, რომ „მონოპოლია" - ესაა ბაზრის სტრუქტურა, სადაც:

- ➢ ეკონომიკურ აგენტს უკავია გაბატონებული მდგომარეობა, რომელიც მას აძლევს შესაძლებლობას მომხმარებელზე და ეკონომიკური პროცესების სხვა მონაწილეებზე დიქტატი განხორციელოს;
- ➢ ეკონომიკური აგენტი ახდენს თავისი გაბატონებული მდგომარეობის რეალიზაციას;
- ➢ სახელმწიფოს მიერ, ერთ ან რამდენიმე ეკონომიკურ აგენტს ეძლევა, მასთან შეთანხმებული საქმიანობის განხორციელების უფლება ქვეყნის შიდა თუ გარე სასაქონლო ბაზრებზე.

თავის მხრივ, შეიძლება გამოიყოს მონოპოლიების სამი ტიპი:

1) დახურული მონოპოლია, რომელიც დაცულია კონკურენციისაგან იურიდიული შეზღუდვების დახმარებით (მაგალითად: პატენტების ინსტიტუტი, სახელმწიფო მონოპოლია);

2) ბუნებრივი მონოპოლია, რომელიც არსებობს კონკრეტულ ბაზრებზე, სადაც ერთ ეკონომიკურ აგენტს შეუძლია მოემსახუროს ბაზარს გაცილებით დაბალი დანახარჯებით, ვიდრე ორ ან მეტი ეკონომიკური აგენტის ნებისმიერ კომბინაციას (მაგალითად: რკინიგზა; ენერგეტიკა) [7; გვ. 36];

3) ღია მონოპოლია, რომლის დროსაც ერთი ეკონომიკური აგენტი დროებით ხდება პროდუქტის ერთადერთი მიმწოდებელი, ხოლო მისი კონკურენტები ბაზარზე ჩნდებიან მოგვიანებით (მაგალითად: ეკონომიკური აგენტი, რომელმაც პირველად შესთავაზა მომხმარებელს სრულიად ახალი საქონელი).

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არსებობს თითოეული ზემოაღნიშნული ბაზრის მახასიათებელი ელემენტები, რის გამოც აუცილებელია მისგან გამომდინარე ურთიერთობები დარეგულირებულ იქნეს ადექვატური სამართლებრივი ნორმებით.

ვიანიდან, კონკურენცია არის საბაზრო ურთიერთობების ძირითადი მამოძრავებელი მექანიზმი, ის აიძულებს მომხმარებლებს იმეტოქეონ და ამით უზრუნველყონ საუკეთესო სოციალური და საქმიანი შედეგების მიღწევა. კონკურენცია არ იძლევა შესაძლებლობას ეკონომიკური ძალაუფლება მოექცეს ერთი ეკონომიკური აგენტის ხელში და მის მიერ მოხდეს ამ ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. ამდენად, საბაზრო ეკონომიკის პირობებში კონკურენციას ეკისრება რეგულირების, მოტივაციის, განაწილების და კონტროლის მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება. ამიტომ,

საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი შედეგების მისაღწევად სახელმწიფო ქმნის და იყენებს წესების და ზომების სპეციალურ სისტემას, რომლებიც უზრუნველყოფენ კონკურენციის არსებობას, მის ნორმალურ ფუნქციონირებას და ხარისხს.

საბაზრო ურთიერთობების სამართლებრივი რეგლამენტაცია და სპეციალური კონკურენციის კანონის მიღება, რომელიც მოხდა სახელმწიფო საბჭოს დეკრეტის სახით საქართველოში 1992 წლის სექტემბერს, მოწმობდა საქართველოს ხელისუფლების მზაობას მიეღო და გაეზიარებინა მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკა კონკურენციის სამართლის დანერგვის ნაწილში.

კონკურენციის კანონმდებლობა, რომელიც გამოსახავს საერთო ცივილიზებულ საწყისს სამრეწველო, საბაზრო უფლებების განვითარებაში, სხვადასხვა სახელწოდებით (კონკურენციის სამართალი; ანტიმონოპოლიური კანონი; კანონმდებლობა შეზღუდული სავაჭრო პრაქტიკის შესახებ; სამართლიანი კონკურენციის შესახებ და ა. შ.) არსებობს თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში. მართალია, აშშ-ში ეკონომიკური და სამართლებრივი განვითარების განსაკუთრებული პირობების შედეგად, კერძოდ, ანტიმონოპოლიური დოქტრინების ზემოქმედებით, ძირითადი ანტიტრასტული კანონი (შერმანის აქტი) მიღებულ იქნა ჯერ კიდევ 1890 წელს, თუმცა, მსოფლიოში დღეისათვის მოქმედი კონკურენციის და მონოპლიური ძალაუფლების შეზღუდვის სამართლებრივი ნორმების აბსოლიტური უმრავლესობა შემუშავებულ და მიღებულ იქნა გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან. რაც შეეხება პოსტსოციალისტურ ქვეყნებს, მათ შორის, საქართველოს, აქ კი შესაბამისი კანონმდებლობა მიღებულ იქნა გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან.

საქართველოში, სახელმწიფო საბჭოს მიერ 1992 წელს მიღებული დეკრეტი - „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ" - ხაზს უსვამდა, რომ ქვეყანის ეკონომიკაში მიმდინარეობდა დასავლეთის ქვეყნების მოწინავე პრაქტიკის გაზიარების ფონზე - ჯანსაღი კონკურენტული გარემოს დასამკვიდრებლად რეფორმირების პროცესი. ამასთან, ცხადია ისიც, რომ კონკურენციის სამართლის რეფორმირების პროცესი საქართველოში (დასაწყისიდან დღემდე) არ იყო თანმიმდევრული. გარკვეული წლების გამავლობაში, კერძოდ, 1992 წლიდან 2005 წლამდე ქვეყანაში მიმდინარეობდა (მეტ-ნაკლებად), მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის შესატყვის ანტიმონოპოლიური პოლიტიკის რეალიზაცია, ხოლო 2005-2012 წლებში კი ადგილი ჰქონდა „ეკონომიკის თავის ნებაზე მიშვების" კონცეფციის ერთგულებას [5; გვ.გვ. 143; 250]. მოგვიანებით, 2014 წლიდან დაიწყო - თანმიმდევრული ანტიმონოპოლიური/კონკურენციული პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაცია, რომლის სრულყოფისა და ევროკავშირის შესაბამის ნორმებთან ჰარმონიზაციის პროცესი ჯერ კიდევ არაა დასრულებული. ამ დროისათვის, ევროკავშირის პროექტის „კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა" ფარგლებში მომზადებულია და საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის მიერ 2019 წლის გაზაფხულზე ინიცირებულ იქნა - „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის პროექტი/პაკეტი, რომლის მიღების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ქვეყანაში კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების პროცესი, რაც საბოლოო ჯამში, უფრო დაცულს და მომგებიანს გახდის ბიზნესის კეთებას ქვეყანაში.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგიაშვილი ს., ფეტელავა ს., კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება (ლექციების კურსი), თბ., „ლოი", 2007;

2. თოქმაზიშვილი მ., ფრიდრიხ ფონ ჰაიეკის ეკონომიკური თეორიის ნარკვევები, თბ., სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, 2004;

3. პაპავა ვ., საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე, თბ., „მეცნიერება", 1995;

4. სმიტი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, თბ., სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 938;

5. ფეტელავა ს., კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, თბ., „ლოი", 2007;

6. ჰაიეკი ფ.ა., საბედისწერო თავდაჯერებულობა სოციალიზმის შეცდომები, 1-ლი გამოცემა, თბ., შპს„ელვა", 2000;

7. კონკურენციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი (შემდგენლები: ქ.ზუკაკიშვილი, ქ.ლაფაჩი, ი.სოვიენი, ლ.ჯაფარიძე), თბ., 2019;

8. „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ" სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის დეკრეტი;

9. „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის კანონი;
10. „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს 2005 წლის კანონი;
11. „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ 2012 წლის კანონი;
12. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს 2014 წლის კანონი;
13. Хайек Ф. А., Познание, конкуренция и свобода, Антология сочинений, М., „Пневма“, 1999;
14. Шумпетер Й., Капитализм, социализм и демократия, М., „Экономика“, 1995;
15. Портер М., Конкуренция, М., „Вильяме“, 2000;
16. Экономическая теория – Статьи-Предприятия, стр. 1 из 7, http://www.forekc.ru/27/index 1,2.

## ECONOMIC FOUNDATIONS OF COMPETITION

**Slava Fetelava**
PhD of Economics,
Associate professor of Grigol Robakidze UniversityProfessor of Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

### RESUME

In the article - “Economic foundations of competition” is discussed about the role and importance of competition, in the process of economic development of the country and it is also about dynamic and developing process of competition. The article is based on the facts of consumer protection, protection of intellectual property rights, domestic trade policy, foreign investment policy and Etc.

In the article the main role has review of monopoly, where are divided three main type of monopoly (close monopoly, open monopoly and natural monopoly). Also, in the article are discussed the role and importance of competition legislation for the work of healthy environment of competition policy. Accordingly, in the article are analyzed the basics of legal status of protection of economic competition in Georgia and today’s real situation.

# THE EVOLUTION OF MANAGEMENT THEORIES



**LASHA TABATADZE,**
PhD, Associate Professor of
Caucasus International University

**ABSTRACT**

*This article provides an overview of the evolution of management theories . It examines the early philosophical viewpoints which laid the foundation for the development of management theories.*

*The central thesis of this article is analyzing evolution of the steps of management theory. Also, in the present article the results of research for analyzing of the evolution of Management are reviewed. The evaluation of the main theories of Management (Classical theory, Neo-classical theory, Modern management theory) are presented. The study suggests that these mainstream management approaches as applied in our enterprises, sometimes might not be adequate, and foreshadows the need for their improvement.*

***Keywords:*** *Evolution of management, Management theories.*

## INTRODUCTION

It is worth mentioning that nowadays the world globalization processes reach the peak and it has a great influence on international competition. Management as a field of study was considered early 20$^{th}$ century. Two points are most important in the management study. First is publication of classical economic doctrines by Adam Smith and the second is industrial revolution, advent of machine power and subsequent development of infrastructural facilities. In the past several years, the management theories has undergone systematic investigation, acquired common body of knowledge, formulated various models to deal with various phenomenon like handling conflict or managing stress and thus became a formal discipline for study. The beginning of management in the organized way can be traced as back as the start of human beings. They earned their livelihood by hunting that was carried out in groups. Later possession of land mass became important hence there arose conflict between the groups. Local conflicts were resolved by power using primitive weapon system. Proper executive, judicial, and state affairs were managed in a very disciplined way. From the old time people have displayed tremendous amount of ability and skill in planning, organizing, and directing people as to what is to be done, how it is to be done and anticipating future plans. They also evolved various models of controlling the planned work being executed properly. Management of education, eradication of social evils and various religious systems are evidence of existence of proper management. Management operations were undertaken in a scientific way in the end of 17th, in early 18th century when industrial revolution took place.

## CLASSICAL THEORIES OF MANAGEMENT

### The Theory of Bureaucracy

The famous German sociologist Max Weber introduced the theory of Bureaucracy. His major contribution to the theory is the concept of authority, structure and its inter-se relationship. Weber in his model of bureaucracy stated that there are three types of authority in any organization: legal authority, Traditional authority, charismatic authority.

**Figure.1 Structure of bureaucracy**



The theory is based on hard rules and regulations having no consideration for interpersonal correspondence based on emotions and human qualities. Power has been considered as the dominant factor to administer the organization leading to self-perpetuation. There are glaring drawbacks in the bureaucratic model namely rigidity, impersonal and mechanistic relationship, higher cost of control and umpire building. Lack of coordination and interpersonal communication and lastly existence of blind faith in rules and regulations. The system may work in large government organizations or the organization where there is no change anticipated.[1]

**The Scientific Management**

Fredrick Winslow Taylor (1856-1915), Frank Gilberth his wife Lillan Gilberth and Henry Gantt have done pioneering work in the field of management They evolved methods and techniques and transformed the field of management in which all works were to be done in the scientific way. Taylor's work was so unique that he eventually came to be known as the father of scientific management. Taylor joined Midvale steel company as a worker and later he was promoted as supervisor.[2]

**Figure.2 Functional foremanship**




Taylor described scientific management as under: „Science not rule of thumb. Harmony not discord. Co-operation, not individualism. Maximum output, in place of restricted output. The development of each man to his greatest efficiency and prosperity." Taylor's scientific management brought revolution in higher productivity, savings in time, optimum utilization of machines, expertise, higher rate of payment and materialistic approach in the field of management. The theory was work oriented rather than human oriented.

**The Process Management Theory**

The real father of modern management theory is the French industrialist Henry Fayol. His contribution is generally termed as process management and administrative management. Fayol looked at the problems from the top management point of view. He has used the term „administration" instead of management emphasizing, that there is unity of science of administration. Fayol found that activities of an industrial organization could be divided into six groups: Technical – relating to production and maintenance; Commercial – buying, selling and exchange; Financial – search for capital and its optimum utilization; Security – protection of property and human beings; Accounting – accounting of stores and equipment. Statistics is also covered under accounting; Managerial – activities include planning, organizing, commanding, coordinating and control.[1]

## THE NEO-CLASSICAL THEORIES

**The Human Relations Theory**

Human relations era started in 1927 onwards. It was a movement spearheaded by Elton Mayo. The essence of the movement was the belief that the key to higher productivity was employee satisfaction. Dale Carnegie, Abraham Maslow and Douglas McGregor also made the contribution to above philosophy. In this section we will briefly study the contributions made by these scientists. Hawthorne studies were initially sponsored by National research council at the Western electric company's Hawthorne works in Cicero, Illions in the year 1924 but eventually

expanded up to middle of 1930s. Elton Mayo who at that time was working at Harvard University as professor, joined the study group along with his team. Following studies were undertaken by him, which started in the year 1927 and lasted up to 1932.

❖ Redesign of jobs;

❖ Changes in the length of workdays and workweeks;

❖ Introduction of rest period;

❖ Individual versus group wage plan;

❖ Evaluation of effect of group piece incentive pay system.

Mayo Concluded that:

❖ Individual behaviour and sentiments are closely related;

❖ Group influences significantly affected individual behavior;

❖ Group standards established individual output;

❖ Money was less a factor in determining output;

❖ Group standards, group sentiments and security provided by the group were Responsible for higher productivity.[7]

**The Behavioural science theory**

Abraham Maslow's first work of needs theories was undertaken with the rehabilitation of human in mind. Today, the need hierarchy theory of Maslow is often quoted and used in management to motivate workers. Maslow's theory generally state five needs of human beings Viz, Physiological, safety, belonging, (Social) esteem and self-actualization. Maslow's hierarchy of needs theory can be applied to the individual's life span. In the early years of life a person is concerned about fulfillment of basic needs. But when a person takes up a job and experience independence, which is marked by crave for autonomy, he feels that he should be consulted and works to achieve recognition.

## THE MODERN MANAGEMENT THEORY

**Steps in Re-engineering Process**

Under the re-engineering process, employees are an important element; they must understand the new way of carrying out the task.

❖ Mission: The first step of re-engineering is managements rethinking of identifying the

basic mission of the organization and deciding what business they are in and what they want to do. This facilitates the desired approach to carry out various processes to attain mission;

❖ Process: Top management plays an active role in leading the process, thus ensuring

the overall co-operation from the personnel;

❖ Creation of Sense of Urgency: An atmosphere of urgency among the personnel

regarding the need for re-engineering is necessary. This will ensure commitment of

efforts to the case of re-engineering;

❖ Identification of Customer needs: Identification of customer needs for reengineering

efforts to be successful is essential. To know the customer needs and wants and then creating an organizational structure and team work providing it;

❖ Organizational Support: When needs have been identify an organizational

support of various departments is essential so that the processes and systems are modified for higher efficiency and increased productivity. Sight of the mission and fulfillment of customer needs is the focus.[7]

**Benchmarking**

Benchmarking is the process of differentiate work and service methods against the best practices and outcomes for the purpose of identifying changes that will result in higher quality production. Benchmarking incorporates the use of human resources techniques such as goal setting to set targets that are identified, pursued, and then used as a basis for future actions. The benchmarking process involves both inside and outside the organization for ways of improving the operation. Benchmarking offers following benefits to the organization:

Helps organization to compare themselves against the best practices available in the field; Identification of improvement strategies; Assist in learning from others; Helps organization create a need for change in work procedure and assignments.

## EMPOWERMENT

Empowerment is exact closely tied to the learning of organizational behavior. Empowerment is the authority to make decisions within one's area of operations without having to get approval from anyone else. There are two major characteristics of empowerment.

❖ Personnel are encouraged to use their initiative;

❖ Employees are given not just the authority but resources as well, so that they are

able to make a decision and see that it is implemented. In the highly competitive and rapidly changing environment caused due to globalization and liberalization of market economy there has been growing concern for empowerment. Those companies, which liberate themselves by empowering their people, can survive in the present habitat. It must be noted that empowerment is most effective tool of managerial effectiveness to obtain the full potential of employees. In bureaucratic form of organizational structure, there is an established hierarchy of command and the higher authority controls the subordinates down the line. But in organizations where empowerment is practiced, performance of individual is achieved. Empowerment envisages participation, innovation access to information and accountability. Maximum productivity is achieved from the front line operators supported by management in creating value. Empowering organization can be designed through the following:

Management by trust, Quality of work life and by implementing other organizational

development strategies; Organizing flexible production systems rather them mass production; By introducing customized product with variations for customer needs; By reducing waste and achieving global competitiveness in price; By enhanced efforts in research and development activities.[6]

**CONCLUSION**

Management theories makes a difference in how well organization serve people affected by them. Management theories helps in dealing with members with matters of time and human relationships as they come up in an organization. For time we have scientific management and for human relationships we have behaviorist thought. The Manager skills approach takes into account the knowledge and abilities that the leader has. A Manager can learn certain skills and turn himself into a remarkable one. Successful Managers are made, not born. They are self-made, through continuous and never-ending work on themselves. It should be noted that the behavioral approach has had a number of lasting effects on everyday business operations. Lots of what the early Organizational behavior advocates proposed and the conclusion from the Hawthorne studies have provided the foundation for today's theory of motivation, leadership, group behavior and all sorts of other behavioral approaches. A good way to think about modern management theories is that they are simply more advanced continuations of traditional management theories. The main mission of the Modern Management is, to help the organization and all its employees prosper. While traditional management theories may only work in specific situations, modern management theories could be applied to most situations as long as particular aspects have been adapted to better suit the situation, which is allowed in modern management practices. The Modern Management is based upon the behavioral approach. Nowadays nearly every company even has a human resources department, designed for addressing the needs of the employees. The lasting effects of behavioral approach can be seen in many businesses today. From the way managers organize jobs, to the way that they work with employee teams and also in the way they communicate with those teams, we see in all of this elements of the behavioral approach.

**REFERENCES:**


1. G.A.Cole, *„Management Theory and Practice",* Sixth Edition, North River Press, 2015;
2. James McGrath, Bob Bates, *„The Little Book of Big Management Theories:...and How to Use them Paperbac"*, North River Press, 2013;
3. Samuel C. Certo – *„Modern Management",* Ninth Edition 2017;
4. S. Trevis Certo, Samuel C. Certo, *„Modern Management: Concepts and Skills",* 14th Edition, 2015;
5. Eliyahu M. Goldratt, Jeff Cox, *„The Goal: A Process of Ongoing Improvement",* North River Press, 2012;
6. Jack Stack, *„The Great Game of Business: The Only Sensible Way to Run a Company"*, Crown Business, 2016;
7. Michael Watkins, *„The First 90 Days: Critical Success Strategies"*, Harvard Business Review Press, 2017;


# მენეჯმენტის თეორიების ევოლუცია


**ლაშა ტაბატაძე,**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი


**ანოტაცია**


ნაშრომში სიღრმისეულად და განხილულია მენეჯმენტის თეორიების განვითარების ეტაპები. წარმოდგენილია აღნიშნული თეორიების პირვანდელი ხედვები და მოსაზრებები, რომლებმაც უაღრესად დიდი როლი ითამაშეს თანამედროვე მენეჯმენტის თეორიის განვითარებისა და სრულყოფისათვის. წინამდებარე ნაშრომის მთავარ თეზისს წარმოადგენს მენეჯმენტის თეორიების განვითრების ეტაპების შეფასება. მოცემულია ჩატარებული კვლევის შედეგები და განხორციელებულია მათი ანალიზი. შეფასებულია მენეჯმენტის ფუნდამენტალური თეორიები, როგორიც არის: (მენეჯმენტის კლასიკური თეორია, მენეჯმენტის ნეო-კლასიკური თეორია, მენეჯმენტის თანამედროვე თეორია). აღწერილია რეალობა და მოცემულია მათი განვითარების პერსპექტივები. ნაშრომში აღნიშნულია, რომ მენეჯმენტის ზოგიერთი თეორია, დღევანდელ რეალობაში, რიგ შემთხვევებში ველარ პასუხობს წარმოებისა და თანამედროვე ბიზნესის მოთხოვნებსა, რის გამოც საჭირო ხდება მათი ახლებური ინტერპრეტირება.



**საკვანძო სიტყვები:** მენეჯმენტის ევოლუცია, მენეჯმენტის თეორია.

# საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა სახელმწიფო მხარდაჭერის ზოგიერთი საკითხის შესახებ

**კობა სოხაძე**
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი.

*საქართველოს ეკონომიკაში საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დანერგვა ძირითადად გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო. სხვა დარგებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების საკითხებს, რამაც ხელი შეუწყო სამეწარმეო აქტივების გამოცოცხლებას.*

*მცირე და საშუალო მეწარმეობის (შემდგომი „მსმ“) განვითარების მიზნით შეიქმნა სათანადო ინსტიტუციური ბაზა. დანსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“ კანონის მიღებას, რომლითაც განისაზღვრა მსმ განვითარებისა და ხელშეწყობის ძირითადი პრინციპები, მოცემული სფეროს ეკონომიკური და სამართლებრივი რეგულირების მეთოდები და ფორმები. დაფუძნდა მცირე საწარმოთა საკოორდინაციო საბჭო და მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი, რომლსაც აღნიშნული კანონით დაეკისრა ქვეყანაში მცირე საწარმოთა საქმიანობის მხარდაჭერის კოორდინაცია, საწარმოთა ხელშეწყობის პროგრამების შემუშავება და მისი განხორციელების ორგანიზება.*

საკანონდებლო ბაზის პრაქტიკულად განხორციელების პროცესში მთელი რიგი დებულებების ამოქმედება მწვავე დისკუსიის საგანი გახდა. მაგალითად „საგადასახადო კოდექსის“ მთელი რიგი დებულებების გადახედვა და დახვეწა, რომელთა შორის აღსანიშნავია სამეწარმეო საქმიანობის სახელმწიფო სტრუქტურების ზემოქმედებისაგან გამთავისუფლება, მეწარმებისადმი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზა-ციების მხარდაჭერის გამჭვირვალობა და მისი პრინციპების განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობასთან თანხვედრა.

მსმ-ის განვითარებამ საქართველოში შეიძინა ორგანიზებული, თანმიმდევრული ხასიათი. გათვალისწინებული იქნა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები და მისი

უკეთ ორგანიზების მიზნით გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები, რამაც განსაზღვრა საწარმოთა ხელშეყობის ძირითადი მიმართულებები, ფორმები და მექანიზმები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ საბანკო კრედიტზე თავდებობისა და სესხზე საბანკო პროცენტის სუბსიდირების სისტემის შემოღებით შეიქმნა საწარმოებისათვის სესხის ხელმისაწვდომობის და საბანკო რესურსების, მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში ფინანსური დაბანდებების გაზრდის რეალური საფუძველი. საწარმოთა განვითარებას ხელი შეუშალა ამ სფეროში საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დანერგვის უცოდინარობამ, მეწარმეთა სათანადო ინფორმირების ნაკლებობამ, სახელმწიფო მიერ ჩრდილოვანი ეკონომიკის წინააღმდეგ არათანმიმდევრული ღონისძიებების გატარებამ და სახელმწიფო ბიუჯეტის თითქმის ქრონიკულმა დეფიციტმა.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულებაა საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების და სწავლების სისტემის სრულყოფას და ამ მიმართულებით შესაბამისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების ღონიძიე-ბების დანერგვას. დიდი მნისვნელობა აქვს რედიონალური პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია კომპლექსურად გადაწდეს ამა თუ იმ რეგიონის ეკონომიკური და სოციალური პრობლემები.

ამჟამად ზემოთ აღნიშნული პრობლემების განხორციელებას აფერხებს მრავალი ფაქტორი, რომელთა შორის აღსანიშნავია: საბიუჯეტო დეფიციტი, კორუფცია, ბიუროკრატიზმი, დაბეგვრის მოუგვარებელი სისტემა, მონოპოლისტური საწარ-

მოების წინააღმდეგობა და მათზე სახელმწიფო მოხელეე-ბის ლობირების სისტემის არსებობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მეწარმეობის განვითარების უმთავრესი ხელისშემშლელი ფაქტორია საგადასახადო სისტემის მოუწესრიგებლობა და მასთან დაკავშირებული კორუფცია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საერთაშორის სტადარტებთან შედარებით საქართველოში მოქმედი გადასახადები (სოციალურის გარდა) მაღალი არ არის. პრობლემაა გადასახადების ადმინისტრირება. გადასახადების გადახდა მეწარმეებს დიდ ტვირთად აწევს, რისი ერთ-ერთი მიზეზია, როგორც ზემოთა ავღნიშნეთ, სახელმწიფო მოხელეების ლობირების სისტემის არსებობა, რომლის საშუალებითაც უპირატესობით სარგებლობენ ის საწარმოები, რომლებიც თავს არიდებენ გადასახადების გადახდას.

თავის მხრივ პრობლემაა ასევე, საწარმოებს შორის არაჯანსაღი კონკურენციის არსებობა, რომელსაც მრავალი ფაქტორი განაპირობებს, რომელთა შორის აღსანიშნავია, კანონმდებლობის არასრულყოფილების გამო მისი განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობა, რაც ქმნის კანონების მიმართ სუბიექტური მიდგომისა და კორუფციის საფუძველს.

ნეგატიურ მოვლენებს შორის აღსანიშნავია საბაჟო სისტემის მოუწესრიგებლობა და კონტრაბანდის არსებობა, რის გამოც სხვადასხა საწარმოები ხშირად არაკონკურენციულ გარემოშო იმყოფებიან. შეიძლება გამოყოფილი იქნას კომერციული საიდუმლოების დაცვის სუსტი გარანტები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოში ჯანსაღი კონკურენრული გარემოს ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია სამეწარმეო კანონმდებლობის გამარტივება, მიღებული კანონების ზუსტი და ყველასათვის გასაგები ინტერპრეტაცია. მიღებული უნდა იქნას კანონი კომერციული ინფორმაციის კონფედენციალურობის დაცვის შესახებ.

საქართველოში მეწარმეობის კონფენდეციალობას აფერხებს სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების გართულებული სისტემა. მეწარმეს ტვირთად აწევს ლიცენზირებასთან დაკავშირებული მრავალი ფორმალური პროცედურის შესრულება, რაც ხელს უშლის მეწარმეებს ახალი ბიზნესის დაწყებაში. საქართველოს მთავრობამ უნდა განახორცილელოს მიზანმიმართული, სისტემური ღონისძიებები ზემოთაღნიშნული პრობლემის დასაძლევად.

სამეწარმეო გარემოს ჩამოყლიბების საკანონდებლო ბაზის სრულყოფის მიმართულებით ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით განვითარებულ ქვეყნებს, მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის ნახევარზე მეტი მოდის მცირე ბიზნესის სფეროში დასაქმებულ საწარმოებზე, რომლებიც ახალი სამუშაო ადგილის შექმნის ძირითადი წყაროა და შრომისუნარიანი მოსახლეობის თითქმის 55-60 პროცენტი ამ სფეროზე მოდის. ევროკავშირის ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოთა ხვედრითი წილი მთლიანი შიდა პროდუქტის საერთო მოცულობაში თითქმის 65 პროცენტს შეადგენს, რომელშიც დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის თითქმის 72 პროცენტი. ბოლო სტატისტიკური მონაცემებით, ამ ქვეყნებში მოსახლეობის 1000 სულზე გაანგარიშებით ფუნქციონირებს 45 საწარმო. საქართველოში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 15 საწარმოს აღწევს.

საქართველოში მცირე საწარმოთა წილად მოდის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით მეოთხედი. ამასთან სამეწარმეო სფეროში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა ჯერ კიდევ დაბალია და იგი შრომისუნარიანი მოსახლეობის 30 პროცენტს არ აღემატება. დისპროპორციები არსებობს მცირე მეწარმეობის დარგობრივ და რეგიონალურ სტრუქტურებში, სადაც მოქმედი საწარმოების თითქმის ნახევარზე მეტი დაკავებულია ვაჭრობითა და საშუამავლო კომერციული საქმიანობით. აღსანიშნავია ისიც, რომ მეწარმეობა ნაკლებადაა განვითარებული კომერციული საქმიანობა სოციალურ მომსახურეობაში. სუსტია მათი როლი ასევე სოფლის მეურნეობის, სამთო-მომპოვებელი მეწველობისა და ენერგეტიკის სფეროებში.

მცირე მეწარმეობის ასეთმა დარგობრივმა ორიენტაციამ ხელი შეუწყო არარაციონალური რეგიონალური სტრუქტურების ჩამოყალიბებას. მაგალითად ქ.თბილისის წილად მოდის მცირე საწარმოთა საერთო რაოდენობის და მათ მიერ განხორციელებული სამეწარმეო და კომერციული საქმიანობის თითქმის ნახევარი და გამოშვებული პროდუქციის დაახლოებით 60 პროცენტი.

წარმოების და კომერციული საქმიანობის სფეროში მცირე საწარმოები ვერ ასრულებენ მნიშვნელოვან ფისკალურ როლს. მათ მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების მოცულობა არ აღემატება ქვეყანაში არსებული კრებსიდი მაჩვენებლის 20 პროცენტს. მცირე საწარმოები ჩამორჩებიან კაპიტალაღჭურვილობისა და შრომის ნაყოფიერების დონის მიხედვითაც.

ქვეყნის შიდა და საგარეო ბაზრებზე სამეწამეო საქმიანობის კონკურენტუნარიანობის ამაღლება შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს მიერ მაწარმეობისა და ბიზნესის განვითარების სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის ღონისძიებათა თანმიმდევრული ჩამოყალიბებისა და განხორციელების გარეშე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მეწარმეობის განვითარებისათვის ხელისშეწყობის რეჟიმის შექმნა, მისი დაცვა მონოპოლისტური სტრუქტურების

ზემოქმედებისაგან. სახელმწიფომ უნდა განახორციელოს პროტექციონისტური პოლიტიკა მეწარმეობის რესურსებით უზრუნველყოფისა და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის სფეროში.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ბიზნესისა და მეწარმეობის მხარდაჭერის მიზნით მიზანმიმართული საკანონმდებლო ბაზის შექმნა. საჭიროა ოპერატიულად გადაწყდეს ისეთი პრობლემები, როგორიცაა: საწყისი კაპიტალის უკმარისობა, საკრედიტო რესურსების სიძვირე, სამეწარმეო საქმიანობის მიმართული ინფორმაციულობისა და კვალიფიციური სპეციალისტების კონსულტაციები.

ამ მიმართულებით საქმიანობა შეიძლება განვიხილოთ ორ ასპექტში: საწარმოთა მხარდაჭერა ზოგადი ინსტრუმენტებისა და ღონისძიებების ფარგლებში და იმ დამატებითი ინსტრუმენტების გამოყენებით, რომლებიც მხოლოდ მცირე და საშუალო საწარმოებისათვის არის დამახასიათებელი.

შეიძლება გამოვყოთ ის ძირითადი ღონისძიებები, რომლებიც თითქმის ყველა საწარმოსათვის არის მისაღები და აუცილებელი:

- საფინანსო სფეროს გაჯანსაღება, რაც გულისხმობს საბიუჯეტო დეფიციტის შემცირებას, ინფლაციის დონის დაწევას და სხვა.

- ისეთი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც წაახალისებს ინვესტიციების მოზიდვას და გადასახდის გადამხდელებისათვის იქნება მისაღები. ასეთი სისტემისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს ყველა საწარმოსათვის ერთნაირი დაბალი საშემოსავლო საგადასახადო განაკვეთი, ასევე დაწესებული გადასახადების სიმარტივე და სიცხადე;

- იმ ბიუროკრატიული ბარიერების მოხსნა, რომლებიც გაუმართლებლად ზრდის საწარმოთა ხარჯებს და ამცირებს მათ კონკურენტუნარიანობას. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელისშემშლელი მნიშვნელივანი ფაქტორია ბიუროკრატიული ბარიერები, რაც ზრდის საწარმოს დანახარჯების მოცულობას.

მეწარმეობის მხარდაჭერის სპეციფიკურ ინსტრუმენტებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ მექანიზმების დანერგვას, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის შიდა და საგარეო ბაზრებზეთავისუფალ ბაზარზე კონკურენციის უნარიანობის ზრდას. ესენია:

- საწარმოს მართვასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების სისტემის გაფართოება. როგორც წესი მსხვილ საწარმოებში შექმნილია სპეციალიზებული მარკენტინგული, საფინანსო და სხვა სამსახურები, რომელთა შესრულება საკმაოდ რთულია და დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული;

- საწარმოს საქმიანობისათვის საჭირო იფორმაციის ხელმისაწვდომეობის სისტემის დანერგვა;

- საწარმოებისათვის თავდებობის სისტემის დანერგვა და მისი განვითარება, რაც მნისვნელოვნად ზრდის საწარმოთა საგარანტიო უზრუნველყოფის კუთხით კონკურენტუნარიანობას და ხელმისაწვდომს გახდის საბანკო სესხების მიღებას;

- ლიზინგის განვითარებისა და ვენჩენური (მაღალი რისკის) დაფინანსების ღონისძიებებისათვის განხორციელებისათვის სამართლებრივი და სისტემური ღონისძიებების განხორციელება;

- საწარმოების თვითდაფინანსების მიზნით ურთიერთდაზღვევისა და ურთიერთდაკრედიტების საზოგადოებების ჩამოყალიბება.

მოცემულ სფეროში გატარებული ღონისძიებები მიზნად ისახვს საწარმოების განვითარებისათვის ადეკვატური საკანომდებლო ბაზის შექმნას, რაც უზრუნველყოფს განსაკუთრებული რეჟიმს საწარმოს კონკურენტუნარიანად განვითარებისათვის; ინსტიტუციონალური სტრუქტურების ჰარმონიზაციას და ოპტიმიზაციას; საწარმოთა მხარდაჭერის ერთიანი ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება და საქმიანობის კოორდინაციის უზრუნველყოფა; საწარმოებს, მათ გაერთიანებებსა და ხელისუფლების ორგანოებს შორის პარტნიორული, ეფექტური სისტემის შექმნას.

მაგალითად „მცირე საწარმოთა განვითარების შესახებ" კანონში ზუსტად უნდა განისაზღვროს მცირე და საშუალო საწარმოთა ადგილი და როლი სამეწარმეო ურთიერთობათა სისტემაში, საშუალო საწარმოს ცნების განმარტების კონკრეტიზაცია და მისი კრიტერიუმების დადგენა.

თანამედროვე პირობებში ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინტერესები მოითხოვს სახელმწიფოს მიერ საწარმოთა მხარდაჭერის ღონისძიებათა არეალის გაფართოებას, რაც ხლს შეუწყობს მეწარმეობისა და მის ბაზაზე საზოგადოების საშულო ფენის ჩამოყალიბებას, რითაც თავიდან ავიცილებთ სამეწარმეო ინტერესების შეზრუდვას მხოლოდ მცირე საწარმოების მასშტაბებით და დამყარდება რაციონალურ რაოდენობრივ პროპორციებს მცირე, საშუალო და დიდ საწარმოებს შორის.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც რომ საქართველოს მიერ ევროკავშირსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ" დადებული შეთანხმებებიდან გამომდინარე, კანონმდებლობათა ჰარმონიზაციის მიზნით, ქვეყანამ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა უზრუნველყოს ევროკავშირსა და სხვა პარტნიორ ორგანიზაციებს შორის კანონმდებლობის ჰარმონიზაცია.

ევროპის განვითარებულ და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, მცირე და საშუალო საწარმოების სიდიდის დადგენის განსაზღვრის მიზნით, ხელ-

მძღვანელობენ ეკონომიკის განვითარებისდონისა და სტრუქტურის განმსაზღვრელი ისეთი კრიტერიუმებით, როგორიცაა: შრომის ნაყოფიერება; მოსახლეობის დასაქმების დონე და სხვა სოციალური პრობლემების ხარისხი და მასშტაბურობა. საწარმოთა ზომის დადგენის მიზნით ხელმძღვანელობენ იმ პარამეტრებით, რომლებიც შედარებით სტაბილურია დროის მეტნაკლებად ხანგძლივი პერიოდისათვის. ესენია: დასაქმებულთა რაოდენობა, გამოშვებული პროდუქციის ან შესრულებული სამუშაოს მოცულობა (წლიური ბრუნვა), აქტივების ოდენობა და ასე შემდეგ.

როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, დარგებისა და საწარმოების დიფერენციაცია უკავშირდება სტატისტიკური და საგადასახადო ორგანოების მიერ რეგისტრირებისა და აღრიცხვის სირთულეებთან და დანახარჯებთან. ამასთან შეიძლება წახალისებული იქნას აღრიცხვისადმი სუბიექტური მიდგომა. აქედან გამომდინარე სასურველია დაწედეს ნებისმიერი რეგიონისა და დარგისათვის აღრიცხვის ერთიანი სისტემა და კრიტერიუმები.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ განხორციელებული სპეციალური გამოკვლევების შედეგად განხორციელებული სპეციალური გამოკვლევის შედეგად, სამეწარმეო სფეროში დაგროვილი გამოცდილების, აგრეთვე დაინტერესბული არასამთავრობო ორგანიზაციების და მეწარმეთა წინადადებების გათვალისწინებით მიზანშეწონილია შემოღებული იქმას საწარმოთა სიდიდის განმსაზღვრელი ერთიანი კრიტერიუმები: დასაქმებულთა რაოდენობა და გამოშვებული პროდუქციის ბრუნვის მოცულობა: მცირე საწარმოებისათვის - 20 დასქმებულამდე და 500 ათას ლარამდე; საშუალო საწარმოებისათვის - 100 დასაქმებულამდე და 1500 ათას ლარამდე.

დასახვეწი და დასაკონკრეტებელია კანონოს ცალკეული მუხლები სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირებისა და სახელმწიფო მხარდაჭერის ეფექტიანობის ამღლების მიზნით. საკანონმდებლო დონეზე უნდა განისაზღვროს მეწარმეობის მხარდაჭერის ღონისძიებები.

საწარმოთა მხარდაჭერის პროგრამების შემუშავება და განხორციელება უშუალოდ უნდა დაექვემდებაროს სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრული ამოცანების დანერგვას. ამ მიზნით მიზანშეწონილია სისტემატურად შემუშავდეს მეწარმეობის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები და სხვა ღონიძიებები.

სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესების მნიშვნელოვანი მიმართულებაა აღნიშნული საქმიანობის დარეგულირება და ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული ხასიათის დაბრკოლებე-ბის გაუქმება. როგორც წესი საკამოდ გართულებულია ბაზარზე ახლადშექმნილი საწარმოების ფუნქციონირება სახელმწიფოს მხრიდან წარმოების პროცესებში ზედმეტად ჩარევის გამო, მათ შორის ისეთ სფეროებში როგორიცაა: დაბეგვრა, ლიცენზირება, სერტიფიცირება, კვოტირება, საწარმოთა რეგისტრარების წესი, საწარმოთათვის საწარმოო ფართობებისა და მიწის ნაყოფების გამოყოფა, მათი საქმიანობის კონტროლი და ა.შ. ყოველივე ეს ქმნის საწარმოთა განვითარებისა და ფუნქციონირებისათვის ადმინისტრაციულ ბარიერებს, რომელთა დაძლევა საწარმოებისაგან მოითხოვს ნორმატიული აქტებითა და ხელისუფლების ორგანოების მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების შესრულებას, რაც მნიშვნელოვნად ართულებს საწარმოთა ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

საწარმოთა დარეგისტრირების არსებული პრაქტიკის ანალიზი, მეწარმეობის განვითარების ხელისშემწყობი ღონისძიებების გაუმჯობესების მისზნით მიზანშეწონილია მიზანშეწონილია საკანონმდებლო დონეზე გადაიშინჯოს და შემცირდეს სარეგისტრაციო მოსაკრებელთა მოქმედი განაკვეთები.

უნდა ითქვას ისიც, რომ არანაკლებ მნისვნელოვანია საწარმოთა ლიკვიდაციის პროცესის გამარტივების საკითხების გადაწყვეტა. ამჟამად საქართველოში ფუნქციონირებს დარეგისტრირებული მცირე საწარმოების მხოლოდ ნახევარი, რომელთა შორის ყოველი მესამე ზარალიანია.

უნდა გამარტივდეს მცირე სარარმოთა ნებაყოფილობითი ლიკვიდაციის წესი, რომელიც პირველ რიგში უნდა ითვალისწინებდეს კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილების პროცედურის (პასუხისმგებლობის დაზღვევის მექანიზმის გამოყენებით), აგრეთვე სალიკვიდაციო ბალანსის გამარტივებას, რაც საწარმოებს შესაძლებლობას მისცემს საწარმოებს სწრაფად და ლეგალირად წავიდნენ ბაზრიდან, რითაც მნისვნელოვნად შემცირდება ფორმალურად არსებული და უმოქმედოდ არსებული ფირმების რაოდენობა.

საგადასახადო სისტემის მეშვეობით ინვესტირების მასტიმულირებელი როლის გაზრდით, კეთილსინდისიერად მომუშავე საწარმოთა აგადასახადო ტვირთის შემცირებისა და საგადასახადო შემოსავლების გადიდების მიზნით მიზანშეწონილია დაიხვეწოს მცირე საწარმოთა ერთიანი საგადასახადო, აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტმის დახვეწის წინადადებები, კერძოდ:

- საწარმოთა დაბეგვრა ერთიანი კონსოლიდირებული გადასახადებით, საერთო შემოსავლევის ან ბრუნვის მოცულობის მიხედვით;
- სახელმწიფო სოციალურ არასაბიუჯეტო ფონდებში ანარიცხების ერთიან საგადასახადი სივრცეში მოქცევა;

- მცირე საწარმოებისათვის აღრიცხვისა და ანგარიშგების გამარტივებული წესის დადგენა და ამორტიზაციის ხელსაყრელი პირობების, განსაკუთრებით დაჩქარებული ნორმების დადგენა;
- საშემოსავლო გადასახადის ერთიანი, შემცირებული განაკვეთის შემოღება;
- საწარმოთა მიერ წარმოდგენილი ხარჯების და რეკლამისათვის გაღებული ხარჯების ლიმიტის დაზრდა.

სახელმწიფოს მიერ მცირე საწარმოთა მხარდაჭერის ღონისძიებების სისტემაშიმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სადაზღვევო სისტემის გამარტივებას, შეღავათიანი პირობებით დაზღვევის მექანიზმების ჩამოყალიბებასა და რეალიზაციისათვის მიზანშეწონილია კანონმდელობის დონეზე განისაზღვროს შემდეგი საკითხები:

- წარმოების სფეროში დაზღვევის განვითარების სტიმულირების ძირითადი მიმართულებები;
- წარმოებიდან მიღებული სადაზღვევო შენატანის ნაწილის წარმოების განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით გამოყენების ღონისძიებები;
- სადაზღვევო სისტემიდან მიღებული სადაზღვევო შენატანის ნაწილის წარმოების განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით გამოყენების შესაძლებლობების სრულუყოფა;
- წარმოების დაზღვევის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა, მათი შექმნის, საქმიანობის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესის შემუშავება, მეწარმეათა და წარმოებაში დასაქმებულთა უფლებები და მოვალეობების შემუსავება, აგრეთვა საწარმოთა მართვის სტრუქტურის სრულყოფა.

მეწარმეობის მატერიალური დოვლათის წარმოების დროის შემცირების მნივნელოვანი რეზერვია საწარმოთა საქმიანობის ცალკეულ სახეობათა ლიცენზირების არასაუწყებო სისტემის დანერგვა.

სამეწარმეო საქმიანობის დარეგულირების მნიშვნელოვანი რეზერვია საწარმოთა საქმიანობის ცალკეულ სახეობათა ლიცენზირების არასაუწყებო სისტემის მოწესრიგება.

სამეწარმეო საქმიანობის დარეგულირებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს წარმოების სფეროს მაკონტროლებელი, საზედამხველო და სამართლებრივი ორგანოების მიერ საწარმოთა შემოწმების სისტემის მოწესრიგება. ამ მიმართულებით როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე პრაქტიკულად სისტემატურად ხორციელდება ღონისძიებები, რომელთა მიზანია აღნიშნულ ორგანოთა ურთიერთკოორდინებული მოქმედების შედეგად სამეწარმეო საქმიანობისადმი სახელმწიფო კონტროლის ოპტიმიზაცია, სრულყოფილი უნდა გახდეს ერთიანი საწარმოს მონაცემთა ერთიანი ორგანოს მუშაობა, რომელშიც თავს მოიყრის საწარმოში ჩატარებული შემოწმებების, გამოვლენილი გარღვევების, დაკისრებული საჯარიმო სანქციების, აგრეთვე განსახორციელებელი შემოწმებების განხორციელების გეგმა-გრაფიკი.

სახელმწიფოს, მომხმარებელთა და მეწარმეების ინტერესთა რაციონალურად შეხამებისა და მეწარმეობის განვითარების პირობების სრულყოფის მიზნით, აუცილებელია სამეწარმეო საქმიანობის სხვადასხვა სფეროში მეცნიერულად დამუშავებული რეკომენდაციე-ბის შემუშავება წარმოების მარეგულირებელ ღონისძიება- თა ეფექტიანობის ამარლებისათვის. წარმოების პროცესები მოითხოვს მუდმივ ანალიზსა და კონტროლს, ეკონომიკაში მისი როლის და საბიუჯეტო შემოსავლების მიზნობრივად ხარჯვის კუთხით.

ანალიტიკური მასალის შესწავლის საფუძველზე აუცილებელია ნაკლოვანებების გამოვლენა და მათზე დროული რეაგირება იმ მიზნთ, რომ სახელმწიფომ და მაკონტრელებელმა ორგანოებმა გააკეთონ სწორი ანალიზი

წარმოების განვითარების პარამეტრების და შესაბამისი სამთავრობო პოლიტიკის გატარების და კორექტირების მიზნით.

პროგრამის განხორციელების ეფექტიანობა განისაზღვრება მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური ისეთი შედეგებით როგორიცაა სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით შრომისუნარიანი მოსახლეობის, მათ შორის ახალგაზრდობის და სოციალურად დაუცველი ფენების დასაქმების ზრდა. ნიშვნელოვანია მცირე საწარმოებში დასაქმებული მუშაკების რაოდენობის ზრდა. 2010-208 წლებში შეიქნება ახალი საწარმოები, მოქმედ და ახალ საწარმოებში დასქმდება დაახლობით 75-80 ათასი კაცი, შესაბამისად მცირე საწარმოებში მომუშავეთა საერთო რაოდენობა 2018 წლისათვის მიაღწევს ეკონომიკაში დასაქმებული მუშაკების მთლიანი რაოდენობის დაახლოებით 35 პროცენტს.

მცირე საწარმოების მხარდაჭერის დასახულ ღონისძიებების რეალიზაციის შედეგად მიღწეული იქნება კონკურენტული გარემოს მნიშვნელოვანი გაჯანსაღება, გაიზრდება ეკონომიკაში ინვესტიციების მოზიდვა ეკონომიკაში, განსაკუთრებით ინოვაციურ და მარალტექნოლოგიურ სფეროებში, გაიზრდება სამეწარმეო საქმიანობაში ინტელექტუალური პოტენციალის ჩართვის პროცესი.

ქვეყნის მასშტაბით საწარმოთა გადაადგილების მასშტაბების გაფაეთოება უზრუნველყოფს ქვეყნის შიგნით მიგრაციული პროცესების შემცირებას, შედარებითი მსხვილი საწარმოების ეფექტიანი ფუნქციონირება, ხელისუფლების ორგანოებს, მეწარმეებსა და დასაქმებულთა შორის საკონტრაქტო და კოოპერაციული კავშირების დამყარებასა და განვითარებას.

**მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების ხელშეწყობის ძირითადი მიმართულებები.**

მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებებს შორის მნიშვნელოვანია არასაბანკო მცირე სესხების ეფექტურად გამოყენება.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ ბიზნესის განვითარება შესაძლებელია სახელმწიფო სტრუქტურულ-საინვესტიციო პოლიტიკით ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებისა და სფეროების დაბალანსებული, პროპორციული განვითარება.

**მცირე სესხების მიზანია:**

ა) სახსრების გამოყენება სახელმწიფოს მიერ აღირებული პრიორეტიტულ დარგებსა და სფეროებში;

ბ) ადგილობრივი რესურსების ეფექტურად გამოყენების შედეგად რეგიონალური განვითარების პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფა, მოსახლეობის დასაქმებისა და სხვა მწვავე სოციალური პრობლემების გადაწყვეტა.

საწარმოების მიერ მოთხოვნილი სესხების გაცემის ძირითად პრიორიტეტებს შეიძლება მივაკუთვნოთ:

ა) რეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) შეესაბამება მცირე საწარმოებისათვის „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ კრიტერიუმებს;

გ) ბიზნესი უნდა განხორციელდეს საქართველოს ტერიტორიაზე;

დ) საწესდებო კაპიტალის მინიმუმ 75 პროცენტი ეკუთვნის საქართველოს მოქალაქეს ან საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს;

ე) არ გააჩნია დავალიანება საფინანსო და საგადასახადო ორგანოების მიმართ, რაც დადასტრებულია აღნისნული ორგანოების მიერ.

**სესხის გაცემის პირობები მოიცავს:**

ა) მცირე საწარმოების განვითარებისა და ხელშეწყობის

ორგანოების მიერ მცირე სესხები გაიცემა ძირითადი და(ან) იმ საბრუნავი კაპიტალის ფორმირების მიზნით პირველ რიგში იმ სამეწარმეო პროექტებისათვის რომლებიც უზრუნველყოფენ მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვას, საექსპორტო და იმპორტშემცველი წარმოების სტიმულირებასა და შემდეგ სფეროებში:

ა.ა.) სურსათისა და ეროვნული მოხმარების სხვა ძირითადი საქონლის წარმოება;

ა.ბ.) საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის წარმოება;

ა.გ.) მშენებლობა;

ა.დ.) სატვირთო გადაზიდვები;

ა.ე.) საწარმოო-ტექნიკური და საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსხურება;

ა.ვ.) ტურიზმი და სასტუმრო მეურნეობა;

ა.ზ.) ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება;

ა.თ.) განათლება;

ა.ი.) ვაჭრობა (საიმპორტო ოპერაციების გარდა); ავტომბილების, საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი სარგებლობის ნივთების რემონტი.

ბ) სესხები არ გაიცემა შემდეგ სამიანობაზე:

ბ.ა.) მევალე კრედიტორების გასასტუმრებლად ან სესხის დასაფარავად;

ბ.ბ.) რიკის შემცველი ოპერაციების განხორციელების მიზნით. რაც დაკავშირებულია სხვადასხვა საქონელზე ფინანსურ გარიგებებთან;

ბ.გ.) არამოგებიანი ინვესტიციების დაბანდებების დროს (საქველმოქმედო, რელიგიური და სხვა არამომგებიანი ორგანიზაციები.)

ბ.დ.) ქსელური მარკეტინგის ოპერაციებში მონაწილეობისათვის;

ბ.ე.) აზარტულ-სათამაშო ბიზნესში დაბანდებებისათვის.

ბ.ვ.) კანონმდებლობით აკრძალული საინვესტიციო საქმიანობისათვის.

მცირე სესხების მოცულობა და ვადები

ა) სესხის მოცულობა განისაზღვრება ათასი ლარიდან 30 ათას ლარამდე;

ბ) სესხის ხანგძლივობაა მაქსიმუმ 3 წელი.

გ) სესხი გაიცემა კონტრაქტის ხელმოწერიდან 3 თვის განმავლობაში, შესაძლებელია რამდენიმე ტრანშად.

დ) ერთი პროექტისათვის სესხი განმეორებით არ გაიცემა. საწარმოს უფლება არა აქვს ერთი წლის განმავლობაში მოითხოვოს დამატებითი სესხი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მიზნით.

6. სესხის საპროცენტო განაკვეთი

სესხზე საპროცენტო განაკვეთი განიზაღვრება სახელმწიფოს მიერ საკრედიტო რესურსების საბაზრო კონიუქტურის შესაბამისა.

7. საგარანტიო უზრუნველყოფა

სახელმწიფო სესხის გაცემის დროს ხელმძღვანელობს საკრედიტო პრაქტიკაში მიღებული სტანდარტების შესაბამისად (სესხის ადეკვატური უზრუნველოფა და სათანადო გადახდისუნარიანობა.

8. განაცხადი სესხის მიღებაზე

სესხის მისაღებად პრედენტენტმა სახელმწიფო შესაბამის ორგანოს პირადად უნდა წარუდგინოს განაცხადი და ამ ორგანოს მიერ მოთხოვნილი ყველა აუცილებელი დოკუმენტაცია არასაბანკო მცირე სესხების გაცემის შესახებ.

9. სესხის გაცემაზე კონტრაქტი

ა) სახელმწიფო ორგანოს (ცენტრის) მიერ სესხის გაცემაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მსესხებელთან ფორმდება კონტრაქტი, რომლითაც განისაზღვრება სესხის მოცულობა და მის დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულებები. კონტრაქტს თან ერთვის სესხის დაბრუნების გრაფიკი.

ბ) საწარმო ვალდებულია ცენტრს ყოვლკვარტალურად წარუდგინოს კონტრაქტის მიმდინარეობის შესრულების შესახებ საბუღალტრო ანგარიშები. კონტრაქტის მოქმედების პერიოდში საწარმოს საქმიანობაზე ხორციელდება მონიტონირგი.

გ) მეწარმის მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში კონტრაქტით გათვალისწინებულია საჯარიმო სანქციები, სახელმწიფო ორგანოსთან დადებული ხელშეკრულების და დადგენილი წესის შესაბამისად.

დ) სასესხო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში დგება საგარანტიო უზრუნველყოფის მოშლის საკითხი.

**მცირე საწარმოთა მიერ ბანკების წინაშე თავდებობა.**

1. თავდებობის არსი

თავდებობა და სუბსიდირება მცირე და საშუალო საწარმოების მიმართ მიზანაშეწონილია განხორციელდეს სპეციალურად შექმნილი სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ. მათ ჩამოყალიბებამდე აღნიშნული ფუნქცია შესაძლებელია შეასრულოს მცირე საწარმოთა განვითარების და ხელსეწყობის სახელმწიფო ცენტრმა.

ა) ფინანსური ხელშეწყობის მოცმული ფორმის არსი მდგომარეობს მასში, რომ მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელსეწყობის ცენტრი თავდებად გამოდის ბანკების წინაშე იმ საწარმოთა მიმართ, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ საკრედიტო დაწესებულებების მოთხოვნებს სამეწარმეო საქმიანობის რისკის და/ან საგა-რანტიო უზრუნველყოფის მხრივ. ცენტრის სახსრები

დაიხარჯება იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ვერ ასრულებს სესხის დაფარვის ვალდებულებებს;

ბ) თავდებობის მიზანია ხელი შეუწყოს მცირე საწარმოების განვითარებას იმ მიზნით, რომ ისარგებლონ ამ სფეროში მოზიდული იქნას კომერციული ბანკების სესხები და გაიზარდოს მათი გამოყენების ეფექტიანობა.

2. მოთხოვნები ცენტრის თავდებობის პრედენტენტი საწარმოს მიმართ.

ა) ცენტრი თავდებად დაუდგება მხოლოდ იმ საწარმოებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

ა.ა) რეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ა.ბ) შეესაბამება მცირე და საშუალო საწარმოთათვის სახელმწიფო კანომდებლობით, პირველ რიგში კი „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ კრიტერიუმებს;

ა.გ) ბიზნესი განხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე;

ა.დ) საწესდებო კაპიტალის მინიმუმ 75 პროცენტი ეკუთვნის საქართველოს მოქალაქეს ან საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს;

ა.ე) დავალიანება არა აქვს საფინანსო და საგადასახადო ორგანოების მიმართ, რაც დასტურდება შესაბამისი ორგანოების მიერ.

3. თავდებობის პირობები

ა) თავდებობის პროგრამის განხორციეების დაწყებამდე ცენტრსა და ბანკებს შორის ფორმდება თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლითაც განისაზღვრება მცირე და საშუალო საწარმოების თავდებად გამოსვლის და თავდებობის თანხის მართვის ძირითადი პრინციპები და პირობები;

ბ) შესაძლებელია თავდებობის თანხის დეპონირება ბანკის სპეციალურ ანგარიშზე, მისი ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს თავდებობის თანხის 66 პროცენტს.

გ) თავდებად გამოსვლა წარმოებს იმ საწარმოების მიმართ, რომელთა საგარანტიო უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულება მინიმუმ 30 პროცენტით აღემატება მოთხოვნილი სესხის თანხას.

დ) ცენტრის თავდებობა ამოქმედდება მას შემდეგ, რაც ბანკი ამოწურავს საგარანტიო უზრუნველყოფის რეალიზაციის შედეგად თანხის მიღების ყველა შესაძლებლობას. თავდებობა განისაზღვრება ბანკის აუნაზღაურებელი ზარალის მოცულობით.

ე) თავდებობა განხორციელდება იმ საწარმოების მიმართ, რომლებიც უზრუნველყოფენ მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვას, საექსპორტო და იმპორტშემცვლელი წარმოების სტიმულირებას და ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარები პროგრამით განსაზღვრულ პრიორიტეტულ დარგებსა და სფეროებში.

ვ) თავდებობა არ განხორციელდება იმ კრედიტებზე, რომლებიც განკუთვნილია შემდეგი მიზნებისათვის:

ა) მევალე კრედიტორების გასტუმრებისათვის ან მათი სესხის დაფარვისათვის;

ბ) რისკის შემცველი ოპერაციებისათვის, რაც უკავშირდება ფიუჩერსულ გარიგებებს სხვადასხვა საქონელზე;

გ) არამომგებიან ინვესტიციებში შენატანებისათვის. (საქველ-მოქმედო, რელიგიური და სხვა ორგანიზაციები);

დ) პირამიდული გაყიდვების (ქსელური მარკენტინგი) პროგრმებში მონაწილეობისათვის;

ე) აზარტულ სათამაშო ბიზნესში დაბანდებისათვის;

ვ) კანონმდებლობით აკრძალული საივესტიციო საქმიანობისათვის.

4. თავდებობის მოცულობა და ვადები

ა) ცენტრის თავდებობა არ უნდა აღემატებოდეს სესხის თანხის 75 პროცენტს და 40 ათას ლარს,

ბ) თავდებობის ვადა განისაზღვრება არა უმეტეს 3 წლით.

გ) თავდებობის ოდენობა, ხანგძლივობა და პირობები განისაზღვრება ხელშეკრულებით, რომელის პირობებიც დამოკიდებულია პროექტის პრიორიტეტულობაზე და მის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების ხარისხზე, აგრეთვე, მსესხებლის მიერ დაგარანტიო უზრუნველყოფის დონეზე.

5. განაცხადი თავდებობის მიღებაზე.

ცემტრს საწარმო ან ბანკი წარუდგენს განაცხადს თავდებად გამოსვლის შესახებ. განაცხადს თან ერთვის ბანკის დასკვნა მსესხებლისათვის გასაცემი თანხის პარამეტრებისა და საგარანტიო უზრუნველყოფის შესახებ.

6. კონტრაქტი თავდებად გამოსვლის შესახებ, რომელიც მოიცავს:

ა) მცირე საწარმოთა განვითარების ცენტრის განაცხადის ანალიზისა და შეფასების შედეგად იღებს გადაწყვე-ტილებას. დადებითი გადაწყვე-ტილების შემთხვევაში ფორმდება კონტრაქტები ცენტრს, ბანკსა და მსესხებელს შორის, რომლითაც განისაზღვრება მხარეთა ვალდე-ბულებები.

ბ) კონტრაქტის მიხედვით მცირე საწარმოთა განვითარე-ბისა და ხელშეწყობის ცენტრი განახორციელებს მონიტო-რინგს საწარმოს მიერ ვალდებულების შესრულების შესახებ საწარმო ცენტრს ყოველკვალტარულად წარუდგენს საბულალტრო ანგარისგებას სესხის გამოყენების მდგომარეობის შესახებ.

გ) მსესხებელი ცენტრს გადაუხდის ერთჯერად გადასახადს თავდებობის თანხის 2 პროცენტის ოდენობით.

დ) ყოველ ცალკეულ პროექტზე ცენტრსა და ბანკს შორის

ფორმდება კონტრაქტი თავდებობის შესახებ, რომლითაც განისაზღვრება ცენტრის თავდებობის მოცულობა, თავდე-ბობის თანხის მართვის, ბანკის მიერ მსესხებლის მხრიდან ვალდებულებების შესრულების შესახებ. ინფორმაციის ცენტრში წარმოდგენის, საგარანტიო უზრუნველყოფის რეალიზაციის, თავდებობის ამოქმედების და სხვა პროცედურული საკითხები.

ე) სესხისა და საგარანტიო უზრუნველყოფის მართვის გამო პასუხისმგებლობა ეკისრება ბანკს.

**საბანკო სესხის საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირება**

*1.* საბანკო სესხის საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირების არსი.

ა) საბანკო სესხის საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირების მიზანია ბანკის კრდიტის საპროცენტო განაკვეთის ნაწილის კომპენსაციით საბანკო სესხები საწარმოებისათვის გახადოს ხელმისაწვდომი.

ბ) საბანკო სესხის საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირება განხორციელდება ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამებით განსაზღვრულ პრიორეტიტულ დარგებსა და სფეროებში.

*2.* მოთხოვნები საბანკო სესხის სააპროცენტო განაკვეთის სუბსიდირების პრედეტენტი საწარმოს მიმართ.

ა) სუბსიდირება განხორციელდება იმ საწარმოთა მიმართ, რომლებიც ანხორციელებენ შემდეგ პირობებს.

ა.ა) რეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად;

ა.ბ) შეესაბამება მცირე და საშუალო საწარმოთათვის „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ კრიტერიუმებს;

ა.გ.) ბიზნესი განხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე;

ა.დ.) საწესდებო კაპიტალის მინიმუმ 75 პროცენტი ეკუთვნის საქართველოს მოქალაქეს ან საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს.

ა.ე) არ გააჩნიათ დავალიანება საფინანსო და საგადასახადო ორგანოების მიმართ, რაც დასტურდება ამ ორგანოების მიერ.

*3.* სუბსიდირების პირობები

მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრსა და კომერციულ ბანკს (ბანკებს) შორის ფორმდება სუბსიდირების პროგრამის განხორციელებაში თანამშრომლობის ხელშეკრულება.

*4.* სუბსიდირების მოცულობა და ვადები

ა) სუბსიდირების ოდენობა ცალკეული სამეწარმეო პროექტებისათვის შეადგენს საბანკო სესხის არაუმეტეს წლიურ 12 პროცენტს. ყველა შემთხვევაში სუბსიდირების მთლიანი წლიური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 10 ათას ლარს.

ბ) სუბსიდირების განხორციელების ვადაა მაქსიმუმ 3 წელი.

*5.* განაცხადი სუბსიდირების მიღებაზე

ა) განაცხადი სუბსიდირების ფორმით დახმარების მისაღებად მეწარმის მიერ პირადად წარედგინება მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრს. წინასწარი განხილვისათვის მცირე მეწარმე წარმოადგენს ბანკის თანხმობას კრედიტის მიცემის შესახებ ძირითადი პარამეტრების მითითებით.

ბ) სამეწარმეო პროექტის წინასწარი განხილვისა და ექსპერტიზის დროს მოწმდება გაანგარიშების სისწორე და დასაბუთებულობა, ფასდება სუბსიდირების საგადასახადო ეფექტიანობა (ახლად შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა, სოციალური დანიშნულების პროდუქტების წარმოება, ექსპორტისა და იმპორტშე-მცვლელობის ხარისხი და ა.შ.

*5. კონტრაქტი სუბსიდირების შესახებ*

ა) მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრის მიერ სუბსიდირების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საწარმოსთან ფორმდება კონტრაქტი, რომლითაც განისაზღვრება სუბსიდირების მიზანი, ოდენობა, გაცემის პირობები, მოთხოვნები და დარღვევის შემთხვევაში საჯარიმო სანქციები,

ბ) მსესხებლის მიერ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის შესახებ კომერციული ბანკიდან დასტურის მიღების შემდეგ მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი საწარმოს ყოველკვალტარურად დაუბრუნებს მის მიერ გადახდილი პროცენტის იმ ნაწილს, რაც კონტრაქტით არის გათვალისწინებული.

გ) მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი განახორციელებს მონიტორინგს საწარმოს მიერ კონტრაქტის შესრულებაზე. საწარმო ცენტრს ყოველკვარტალურად წარუდგენს ინფორმაციას სუბსიდირებული სესხის გამოყენების მიზნობრიობის შესახებ.

დ) საწარმოს მიერ სუბსიდირებული სესხის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის ვალდებულების არა უმეტეს 2 თვის განმავლობაში შეუსრულებლობის შემთხვევაში ცენტრს უფლება აქვს შეწყვიტოს სუბსიდირება.

ე) სუბსიდირება მცირე და საშუალო მხრიდან არ მოითხოვს დამატებით საგარანტიო უზრუნველყოფას.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ქოქიაური ლამარა. საინვესტიციო პოლიტიკა სტრატეგია. თბ., თსუ. 2008 წ.
2. ღურწკაია კარლო. ეკონომიკური გლობალიზაცია და თანამედროვეობა. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ N1, 2010 წ.
3. Албегова И. М., Емцов Р. Г. Холопов А. В. Государственная экономическая политика: опит перехода к ринку. М. 2008.
4. შონია ნ. უცხოური ინვესტიციების არსი და როლი ქვეყნის საბანკო სისტემის განვითარებაში. ჟურნალი „სოციალი ეკონომიკა“ N2, 2010 წ.
5. Экономика муниципального сектора. М. 2008.
6. ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა. თბილისი 2003 წ.
7. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის.
8. http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka

# ქვეყნის ეკონომიკის გაუმჯობესების ზოგიერთი საკითხები

**გივი ემუხვარი**
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

**ანოტაცია**

*ქვეყანაში შემოსავლების უთანასწორო განაწილების ნაწილობრივ აღმოფხვრის მიზნით, სტატიაში გაანალიზებულია საშემოსავლო გადასახადის პროგრესული სისტემის შემოღების საკითხი, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ განვითარებას.*

*ამასთან, სტატიაში განხილულია შინაური ძაღლების ყოლისა და ავტოფარეხების ფლობის შემთხვევაში გადასახადების შემოღების საჭიროება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქალაქის ესთეტიკური სილამაზის გაუმჯობესებას.*

**ძირითადი ტექსტი**

ქვეყნის ეკონომიკა ბოლო წლებში გარკვეულწილად იზრდება - ნელი ტემპით, მაგრამ მაინც ვითარდება ბიზნესი. აღნიშნულის მიუხედავად, ეროვნული ვალუტის გაუფასურებისა და მზარდი ინფლაციის გამო, მოსახლეობა სიკეთეს ვერ გრძნობს, სამომხმარებლო საქონელზე ფასები იზრდება, ეკონომიკის ზრდა ვერ ფარავს ინფლაციას, საჭიროა ამ პროცესის შეჩერება, ეკონომიკის გასაჯანსაღებლად ქმედითი კომპლექსური ღონისძიებების გატარება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, იმპორტის შემცირება, მეტი ინვესტიციების მოზიდვა, ადგილობრივი ბიზნესმენების დაინტერესება ქვეყანაში ინვესტიციების განსახორციელებლად და ა. შ.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლს ასრულებს საგადასახადო სისტემის სრულყოფა.

სხვადასხვა კვლევებითა და ჩვენი მოსაზრებით, აუცილებელია დარეგულირდეს შემოსავლების განაწილება. ცხადია, რომ ქვეყანაში შემოსავლების უთანასწორო განაწილება და უყაირათო ხარჯვა მოსახლეობაში სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს, სტიმულს უკარგავს მშრომელ ადამიანებს, იწვევს ანტაგონიზმს და მოსახლეობის დაყოფას სხვადასხვა ფენებად. ადამიანის ფსიქიკა და გონება არ არის იმ დონემდე განვითარებული, რომ ნებაყოფლობით უარი თქვან დაუმსახურებელ, უსაფუძვლოდ მაღალ შრომის ანაზღაურებაზე, ქვეყნის ბიუჯეტს დაუბრუნონ ზედმეტად მიღებული თანხები. ამიტომ ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს შრომის განაკვეთების დარეგულირებით, ან საგადასახადო სისტემის სრულყოფით. კერძოდ მიზანშეწონილად გვესახება პროგრესირებადი საშემოსავლო გადასახადის შემოღება, ანუ პრაქტიკაში დავნერგოთ დაბეგვრის შედარებით უფრო სამართლიანი სისტემა, რომელიც ადრე მოქმედებდა, თუმცა რატომღაც უარი ვთქვით.

სახელმწიფო ვალდებულია ქვეყანაში დაარეგულიროს შემოსავლების განაწილება დამსახურების, ქვეყნის კეთილდღეობაში შეტანილი წვლილის მიხედვით და არა პროტექციით, ძმაკაცობით, ნაცნობობითა და ნეპოტიზმით, რაც სამწუხაროდ ჩვენს ქვეყანაში დღემდე ვერ აღმოიფხვრა.

სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს შემოსავლების სამართლიანი განაწილება. ამიტომ საჭიროა პროგრესული საგადასახადო სისტემის შემოღება ანუ თითოეულს ხელფასი უნდა მიეცეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში შეტანილი წვლილის მიხედვით.

უდავოა, რომ შემოსავლების უთანასწორო განაწილება აფერხებს ქვეყნის განვითარებას, აღვივებს ნიჰილიზმს, სტიმულს უკარგავს ახალგაზრდებს, წარმატებულ და გამორჩეულ მუშაკებს. მოწინავე

მუშაკები იმედოვნებენ, რომ ხელმძღვანელობა დააფასებს მათ შრომას, გაუზრდიან ხელფასებს, დააწინაურებენ სამსახურში. უსამართლობის განცდა და ქმედებები იწვევს მათ გაღიზიანებას და თრგუნავს მოტივაციას.

უთანასწორო განაწილება აისახება მათ ცხოვრების დონეზე, ქმედებაზე, ფსიქიკაზე, მომავალზე, ყოველდღიურ ქმედებაზე და ა. შ. მეცნიერები აღიარებენ შემოსავლების უთანასწორო განაწილების მანკიერ თვისებებს და მიუთითებენ მისი აღმოფხვრის აუცილებლობაზე. აღნიშნულის მიუხედავად პრაქტიკული ნაბიჯები არ გადადგმულა.

ნეოლიბერასტული ეკონომისტები და პოლიტიკოსები უარყოფენ პროგრესული საშემოსავლო გადასახადის დანერგვას. მათი აზრით ეს მეთოდი ეკონომიკური ზრდისათვის - საზიანოა. პირიქით, პროგრესული დაბეგვრა არ აფერხებს ქვეყნის ეკონომიკის ზრდას. საერთაშორისო სავალუტო ფონდიც მომხრეა ამ სისტემის დანერგვის.

დაბეგვრის პროგრესულ სისტემას იყენებენ: ავსტრია, ჩეხეთი, საბერძნეთი, იტალია, სლოვენია, ესპანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი და ა. შ. ამ ქვეყნებმა გაზარდეს ზედა განაკვეთები და მაღალშემოსავლიან პირებს დაუწესეს გაზრდილი განაკვეთები. სლოვაკეთმა და ალბანეთმა 2014 წელს გააუქმეს ბრტყელი საგადასახადო რეჟიმი. სომხეთში საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 15-დან 30%-მდე მერყეობს. 150 ათას დრამზე (310$) - საშემოსავლო გადასახადი 23%-ს შეადგენს. 150 ათასიდან 2 მილიონ დრამზე (4140$), ხელფასის შემთხვევაში - საშემოსავლო გადასახადი 23%-ს შეადგენს. 2 მილიონი დრამიდან - 36%-ს. საშემოსავლო გადასახადის გარდა დასაქმებული იხდის 1000 დრამს (2$-მდე) სამხედრო მომსახურების ფონდში, და 5%-ს საპენსიო ფონდში.

აზერბაიჯანში დაბალ შემოსავალზე დაწესებულია საშემოსავლო გადასახადი 14%, ხოლო მაღალ შემოსავალზე - 25%.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემებით (2017 წ.), საქართველო დაბალი გადასახადების მიხედვით მსოფლიოში მერვე ადგილს იკავებდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დაბალი გადასახადები აპრიორი არ ნიშნავს ქვეყნის კეთილდღეობას.

ცხადია, დაბალი გადასახადები ხელს უწყობს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკის სწრაფ განვითარებას შესაბამისი დონით ვერ უზრუნველყოფს.

საქართველოში 2006 წელს შემოიღეს ბრტყელი საშემოსავლო გადასახადი, ხოლო სოციალური გადასახადები - გააუქმეს. 2006 წლიდან 2011 წლამდე უთანასწორობის ე. წ. ჯინის კოეფიციენტი იზრდებოდა. 2003-2009 წლებში ეკონომიკური ზრდით მიღებული სარგებლის დიდი ნაწილი ქვეყნის შეძლებულ ფენას ხვდა წილად.

ჩვენს ქვეყანაში ჯინის კოეფიციენტი 2016 წელს 039-ს შეადგენდა, ხოლო 2017 წელს - 04-ს, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ შემოსავლების უთანასწორო განაწილების დონე მაღალია, რომლის მიხედვით საქართველო პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ერთ--ერთი ლიდერია. რომ არა პენსიები და სოციალური ტრანსფერები, უთანასწორობის მაჩვენებელი უფრო სავალალო იქნებოდა. ასე მაგალითად, 2016 წელს ჯინის კოეფიციენტი პენსიებისა და სოციალური დახმარების გარეშე იქნებოდა 03996-ის ნაცვლად - 05121.

საზოგადოების კვლევის ცენტრის მასალების მიხედვით, ქვეყანაში სახელფასო უთანასწორობა მნიშვნელოვნად მაღალია. 500 ლარამდე თვიური შემოსავლის ადამიანების ხვედრითი წილი საერთო შემოსავალში 6,7%-ს შეადგენს, მაშინ როცა მათი რაოდენობა 34,7 პროცენტია. 16 ათასი ლარის ზემოთ თვიური შემოსავლის მქონე ჯგუფის შემოსავალი საერთო მოცულობის 20,4%-ს შეადგენს. მათი რაოდენობა კი საერთო რიცხოვნებაში მხოლოდ 0,4 პროცენტია.

იგივე კვლევებით შემოსავლების მიმღებთა 90,4%-ს, ყოველთვიური შემოსავალი 2500 ლარზე ნაკლები აქვთ (იხ. ცხრილი 1).

უნდა აღინიშნოს, რომ ბრუკინგის ინსტიტუტის მონაცემებით საქართველო მსოფლიო მასშტაბით,

*ცხრილი №1*

**შრომის ანაზღაურების მაჩვენებელი 2016 წელს (გრადაცია შემოსავლების მიხედვით, ლარებში)**

| ხელფასის ოდენობა | ხვ. წ. % | ხელფასის ოდენობა | ხვ. წ. % | ხელფასის ოდენობა | ხვ. წ. % |
|---|---|---|---|---|---|
| 0-დან 500 | 34.7 | 2001-2500 | 4.0 | 4001-8000 | 3.1 |
| 501-1000 | 28.9 | 2501-3000 | 2.3 | 8001-12000 | 0.7 |
| 1001-1500 | 15.5 | 3001-3500 | 1.6 | 12001-16000 | 0.3 |
| 1501-2000 | 7.3 | 3501-4000 | 1.2 | 16001 და მეტი | 0.4 |

**შენიშვნა:** ცხრილი აღებულია საქართველოს საზოგადოებრივი კვლევის ცენტრის მასალებიდან (2018 წ., თბილისი).

შემოსავლების განაწილების მიხედვით მერვე ადგილზე იყო. როგორც ცნობილია, საქართველოს საგადასახადო სისტემა ჯდება ნეოლიბერალურ დისკურსში. კერძოდ, მდიდრების უფრო გამდიდრება, ხოლო დაბალი ფენის მოსახლეობის ცხოვრების დონის უფრო გაუარესება. საქართველოში, ცხადია შემოსავლების დაბეგვრა ე. წ. ბრტყელი საგადასახადო სისტემით ხორციელდება.

მოქმედი კონსტიტუციით საგადასახადო განაკვეთების გაზრდა მხოლოდ რეფერენდუმის გადაწყვეტილებით არის შესაძლებელი. ეს მუხლი კონსტიტუციაში შევიდა 12 წლის ვადით. თუმცა, ეკონომიკური თავისუფლების აქტით, დაუშვებელია რეფერენდუმის საგანი იყოს გადასახადის პროგრესულობის საკითხი. ამასთან, მთავრობას უფლება აქვს (მუხლი 6) მოითხოვოს გადასახადების დროებით გაზრდა, არა უმეტეს 3 წლის ვადით, რეფერენდუმის გარეშე (საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების შესახებ ორგანული კანონი).

რესპუბლიკის მთავრობა შეზღუდულია ფისკალური წესით ბიუჯეტის ხარჯვაშიც, რომელიც განსაზღვრულია იმავე ეკონომიკური თავისუფლების აქტით.

საქართველოს ფისკალური რეგულირების ჩარჩოს შესახებ სსფ-ს ანგარიშში მითითებულია, რომ „საქართველოში ჯინის კოეფიციენტის (039%) ცვლილება შესაძლებელია პროგრესიული გადასახადების შემოღებით. მაგალითად, ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადის უფრო მაღალი ზღვრული განაკვეთის დადგენით“.

საშემოსავლო გადასახადში პროგრესიული განაკვეთების შემოღება მნიშვნელოვნად შეამცირებს შემოსავლების უთანასწორო განაწილებას, ცხადია თუ შრომის ანაზღაურების განაკვეთებს არ დავარეგულირებთ, რაც ჩვენს პირობებში ერთობ რთული პროცესია. აქ ერთი დაუძლეველი წინააღმდეგობაა, გადაულახავი ბარიერი არსებობს, ეს არის კერძო სტრუქტურები, რომლებიც ცხადია დამოუკიდებლად წყვეტენ თანამშრომლებისა და ხელმძღვანელი მუშაკების (მენეჯერების) შრომის ანაზღაურების ოდენობას.

საშემოსავლო გადასახადის პროგრესიული გაანგარიშების სამი ვარიანტი აქვს განხილული საზოგადოებრივი კვლევის ცენტრს, რომელიც უპირატესობას ანიჭებს მესამე ვარიანტს, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს. 0-დან 500 ლარამდე ხელფასის პირობებში, საშემოსავლო გადასახადი განისაზღვროს 15% ოდენობით, შესაბამისად 501-დან 2500 ლარამდე - 20%-ით, 2501-დან 12000 ლარამდე - 30%-ით, ხოლო 12001 ლარს ზევით - 35%-ით.

აღნიშნული სისტემის დანერგვით სახელმწიფო ბიუჯეტი დამატებით მიიღებს 389 მილიონ ლარს. აღნიშნული სქემის მიხედვით, დასაქმების დაახლოებით 34,7%-ს საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი უმცირდებათ 5%-ით. გადასახადის განაკვეთი უცვლელი რჩება დასაქმებულთა 55,7%-ს, გადასახადი ეზრდებათ დასაქმებულთა 9,6%-ს. მ. შ. 8,9%-ს განაკვეთი გაეზრდებათ 10%-ით, ხოლო დასაქმებულთა 0,7%-ს 15%-ით. ამ ვარიანტის მიხედვით 286 ათას ადამიანს საშემოსავლო გადასახადი უმცირდებათ 5%-ით, საგადასახადო განაკვეთი უცვლელი რჩება 460 ათას დასაქმებულს, ხოლო ზრდა შეეხება 15%-ს ანუ 5,8 ათას ადამიანს.

ჩვენი მოსაზრებით ეს არის საუკეთესო ვარიანტი ქვეყანაში უთანასწორო შემოსავლების დასარეგულირებლად.

აქვე გვინდა შევეხოთ ქვეყანაში დამატებითი გადასახადების შემოღების საკითხს.

ბოლო წლებში დედაქალაქისა და რეგიონის მოსახლეობაში მომრავლდა ძაღლები. ბევრი მათგანი უმეთვალყუროდ დაეხეტება ქუჩებსა და სკვერებში. ძაღლის მეპატრონეები ქალაქში მათი გასეირნების დროს არ იცავენ სანიტარულ მოთხოვნებს, არ ასუფთავებენ ძაღლების მიერ დასვრილ სკვერებს და ქუჩებს. ძაღლების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების, დამატებით სანიტარული მეეზოვეების საშტატო ერთეულების შემოღების, ქვეყანაში წესრიგისა და სისუფთავის უკეთ დაცვის, მოქალაქეთა პასუხისმგებლობის გაზრდისა და ამაღლების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემოღებულ იქნას ყოველთვიური გადასახადი ძაღლის (ძაღლების) ყოლისათვის 30-100 ლარის ოდენობით, ჯიშისა და სახეობის გათვალისწინებით. ბაჟის გადაუხდელობის შემთხვევაში, მეპატრონეს აეკრძალოს ძაღლის გასეირნება საზოგადოების თავშეყრის და დასვენების ადგილებში. ამასთან, დაეკისროს ყოველთვიური ჯარიმა.

აღნიშნული ღონისძიების შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებით შევა 40-50 მილიონი ლარი, რაც ასევე მოხმარდება პარკ-ხეივნებისა და ქუჩების ესთეტიკური სილამაზის შენარჩუნებას.

გარდა აღნიშნულისა, ქ. თბილისსა და სხვა ქალაქებს დღემდე შემორჩა უსახური, კუსტარულად დამზადებული ავტოფარეხები, რომელთა უმეტესობამ დაკარგა ძირითადი დანიშნულება და დღეს გამოყენებულია უვარგისი, ამორტიზირებული, მორალურად და ფიზიკურად მწყობრიდან გამოსული სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნივთების შესანახად. ამასთან ავტოფარეხების გამო ფერხდება და შეუძლებელია ქალაქების გალამაზება, საკრეაციო ზონების მოწყობა, დისკომფორტი ექმნებათ ტურისტებს, სასწრაფო და საავარიო სამსახურებს.

ავტოფარეხების დიდი ნაწილი არასწორი მეთოდებით არის „დაკანონებული“.

აღნიშნული პრობლემების ნაწილობრივ მოგვა-

რების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემოღებულ იქნეს ყოველთვიური გადასახადი თითოზე 30-100 ლარის ოდენობით, მათი განლაგების ადგილის, მშენებლობის ხარისხისა და კეთილმოწყობის დონის გათვალისწინებით. ჩვენი გათვლებით ქ. თბილისში ირიცხება 45-50 ათასამდე ავტოფარეხი. ამ ღონისძიებიდან ბიუჯეტი მიიღებს 40-45 მილიონ ლარს. არ არის გამორიცხული ამ ღონისძიებამ ბევრ მეპატრონეს ნებაყოფლობით, საკუთარი ინიციატივით ავტოფარეხების აღების გადაწყვეტილება მიაღებინოს.

### დასკვნა

- საქართველოში საშემოსავლო გადასახადის პროგრესული სისტემის შემოღება ხელს შეუწყობს ნაწილობრივ შემოსავლების უთანასწორო განაწილების შემცირებას, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას და მოსახლეობის ფართო მასებისათვის ცხოვრების დონის მნიშვნელოვან ამაღლებას.
- მოსახლეობის ფართო ფენისათვის შრომის ანაზღაურების მოწესრიგებას, ინვესტიციების გაზრდას, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.
- ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის ზრდას, პროდუქციის წარმოების გადიდებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.
- ძაღლების ყოლისათვის ყოველთვიური გადასახადების შემოღება უზრუნველყოფს მოქალაქეთა პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებას ქალაქების და დაბების სისუფთავის გაუმჯობესების საქმეში.
- ავტოფარეხებისათვის გადასახადების შემოღება, მოსახლეობას განაწყობს ნებაყოფლობით უარი თქვან მათ შემდგომ შენარჩუნებასა და არაეფექტიან გამოყენებაზე.

ბიუჯეტში დამატებით შემოსული სახსრები მოხმარდება ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებას, მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებასა და გაჯანსაღებას, ბიზნესის შემდგომ განვითარებას, განათლების გაუმჯობესებას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, ქუთაისი, 2017 წ.
2. საქართველოს საზოგადოებრივი კვლევის ცენტრის მასალები, ქ. თბილისი, 2018 წელი.
3. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ. 2010 წ.
4. თსუ - „შრომის ეკონომიკა“, თბილისი, 2016 წელი;
5. ლ. ბერიძე, გ. ჭიპაშვილი და სხვები, მაკროეკონომიკა, ქ. თბილისი, 2010 წ.

## SOME ISSUES ABOUT IMPROVING THE COUNTRY'S ECONOMY

**Givi Emukhvari**
Economical Doctor, Professor

**RESUME**

In order to partially eliminate the unequal distribution of incomes in the country, the article analyzes the issue of introducing a progressive system of income tax that will contribute to the further development of the country's economy.

The article discusses the need for taxation in the case of pets and garages that will significantly improve the aesthetic beauty of the city.

# სტრატეგიული მარკეტინგის ორი მიდგომის კონცეპტუალური ანალიზი



**ვასილ ხიზანიშვილი**
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში,
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი
ელ.ფოსტა: basil.khizanishvili@yahoo.com

**რეზიუმე**

*საწარმოს წარმატება დამოკიდებულია ძირითად კომპეტენციებზე დაფუძნებულ რესურსებზე ორიენტირებულ მიდგომასა და ბაზარზე ორიენტირებულ მიდგომას შორის მართებულ ბალანსზე.*

*Inside-out-Perspective წარმოადგენს სტრატეგიული მარკეტინგის რესურსებზე ორიენტირებულ მიდგომას საწარმოსთვის. ბაზარზე ორიენტირებული მიდგომას წარმოადგენს გარემოზე მძლავრად ორიენტირებული სტრატეგია.*

*ძირითადი ვარაუდები და მიზნები ორივე მიდგომის არის საერთო. განსხვავება მდგომარეობს მასში, რომ ბაზარზე ორიენტირებული მიდგომა ძალზედ მძლავრად კონცენტრირდება იმ დარგზე, რომელშიც მოცემული საწარმო მოქმედებს, მაშინ როდესაც რესურსებზე ორიენტირებული მიდგომა თავისი ინტერესის ცენტრში აყენებს ცალკეულ საწარმოს.*

*ბაზარზე ორიენტირებულ და რესურსებზე ორიენტირებული მიდგომები შეიძლება ასევე კომპლემენტარიებად იქნეს მიჩნეული.*

გარესამყაროს წინაშე მდგარი ამოცანების პროგრესირებადი დინამიკის ზრუნვის საგანს მარკეტინგის მზარდი სტრატეგიული ორიენტაცია წარმოადგენს. სტრატეგიული მარკეტინგის უპირველეს საჭიროებას კი - თანიმდევრულობა დაგეგმარების პროცესში.

უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში მარკეტინგმა როგორც დისციპლინამ, განვითარების განსხვავებული ფაზები განვლო. დროის ამ მონაკვეთში კვლავ და კვლავ ჩნდება კითხვა მარკეტინგის მეცნიერების სახელმძღვანელო პარადიგმის შესახებ.[1] მოხდა სხვადასხვა სახელმძღვანელო პრინციპის პოსტულირება,[2] რომლებიც ნათელს ხდის იმ გარემოებას, რომ ფოკუსში მომხმარებლებთან ურთიერთობის ანალიზი და ფორმირება იმყოფება.[1, გვ,17]

1970-იანი წლები გამოირჩეოდა გასაღების ბაზრის რელატიურად ცალმხრივი მიმართულების დომინაციით. 1980-იან წლებში ეს მსოფლხედვა ჩანაცვლებულ იქნა კონკურენციასა და გარემოს დაცვაზე ინტენსიური ორიენტაციით. მისი ძირითადი პოსტულატია **საბაზრო სტრუქტურის - საბაზრო ქცევების - საბაზრო შედეგის** ჰიპოტეზა, რომელშიც საწარმოს წარმატება გარე მოცემულ ფაქტორებთან, მაგ., დარგობრივ(სექტორალურ) მახასიათებლებთან მისი სტრატეგიული ადაპტაციით აიხსნება.

1990-იან წლებში გარე ფაქტორებზე **სტრატეგიული მენეჯმენტის** ცალმხრივი ორიენტაცია სულ უფრო და უფრო მძლავრ კრიტიკას აწყდებოდა. პროფესორების ფილიპ სელნიკსა[3] და როჯერ პენროზე[4] დაყრდნობით კვლავ მოხდა რესურსებზე დაფუძნებული მიდგომის იდეის ხელახლა აღორძინება. შიდა რესურსებზე ორიენტირება უზრუნველყოფს წვდომას საწარმოს უნარებში. ბაზარზე წარმატება პირველ რიგში უზრუნველყოფილია მაშინ, როდესაც მიმწოდებელი მომხმარებლისა და კონკურენციის ასპექტებს შორის ასევე ფლობს წარმოებისათვის აუცილებელი რესურსების უპირატესი მიწოდების (შეთავაზების/წინადადების) შესაძლებლობას. საწარმოს წარმატება დამოკიდებულია ძირითად კომპეტენციებზე დაფუძნებულ **რესურსებზე ორიენტირებულ მიდგომასა**(Inside-

out-Perspective/Technology Push) და **ბაზარზე ორიენტირებულ მიდგომას** (Outside-in-Perspektive/ Market Pull) შორის მართებულ ბალანსზე.[5]

**რესურსებზე ორიენტირებული მიდგომა.** Inside-out-Perspective წარმოადგენს სტრატეგიული მარკეტინგის რესურსებზე ორიენტირებულ მიდგომას საწარმოსთვის. უნიკალური რესურსები გვევლინება გადამწყვეთ ფაქტორად საწარმოს ჰეტეროგენულობისთვის და აქედან გამომდინარე, - ასევე მისი სხვადასხვა დიდი წარმატებისთვის. ფართო და ხარისხობრივად მაღალი ღირებულების რესურსების არსებობა განსაზღვრავს საწარმოს უნიკალურ შესაძლებლობებსა და კომპეტენციებს, და შესაბამისად მის წარმატებას. სტრატეგიულ მარკეტინგს მართებს კრიტიკული რესურსების იდენტიფიცირება, კონსტრუირება, ზრუნვა და მომხმარებლებთან ურთიერთობის ფარგლებში მათი პრაქტიცირება.[1, გვ.17]

საწარმოს სტრატეგიული უპირატესობა აიხსნება იმით, რომ მას შეუძლია სტრატეგიულად ფასეული რესურსების ფლობა და/ან ამ რესურსების კონკურენტებთან შედარებით უკეთ განკარგვა. მარკეტინგში ჯერ კიდევ შუმპეტერმა[6] მოახდინა რესურსებზე ორიენტირებული მიდგომის იდენტიფიცირება, რომელშიც მან მიანიშა საწარმოს ინოვაციურ შესაძლებლობებზე, როგორც სპეციალურ რესურსებზე, წარმატების პოტენციალის შესაქმნელად. დასავლეთში, ბოლო ათწლეულების განმავლობაში აქტუალური კვლევა წარმოებს სტრატეგიული რესურსების სისტემატიზაციის მიმართულებით. ასე მაგალითად, პროფ. გრანტი[7] განასხვავებს ხელშესახებ, არახელშესახებ და ჰუმანურ რესურსებს. პროფესორები ბეა და ჰაასი[8] ახდენენ საწარმოო და მართვის პოტენციალის კლასიფიცირებას.[1, გვ., 17]

რესურსებზე დაფუძნებული მიდგომის ფარგლებში, ძირითადი კომპეტენციების კონცეპტი პროფ. ჰამელის და პროფ. პრალადის[9] მიერ გამოვლენილია როგორც გავლენის მქონე მონახაზი. აღნიშნული კონცეპციის თანახმად, კომპანიებმა უნდა შექმნან ძირითადი კომპეტენციები, რომლებშიც ისინი შეძლებენ საკუთარი სტრატეგიული რესურსების შეკავშირებას. ამასათან, ძირითადი კომპეტენციები აღნიშნავს უნარებსა და აქტივობებს, რომელთა რეალიზება საწარმოს თავის კონკურენტებთან შედარებით უკეთ შეუძლია. პროფ. ჰამელის და პროფ. პრალადის ძირითად კომპეტენციებს განსაზღვრავენ როგორც „(...) უნარებს, რომლებიც საწარმოს მომხმარებელთა არსებითი სარგებლის უზრუნველყოფის შესაძლებლობას აძლევს“.

ეს ძირითადი კომპეტენციები ემსახურება მომხმარებლებში მიწოდების განვითარებას(მათთვის წინადადებების შემუშავებას), რაც ხელს უწყობს კონკურენტების აშკარა დიფერეცირებას.[1, გვ., 17] ძირითადი კომპეტენციის რაობის დასადგენად პროფ. ჰამელი და პროფ. პრალადი გვთავაზობს სამ ტესტ-კრიტერიუმს:

ძირითადი კომპეტენციები აიოლებს წვდომას მრავალრიცხოვან ბაზრებზე;

ძირითად კომპეტენციებს გადამწყვეტი წვლილი შეაქვთ მომხმარებლებში, მიწოდების მიღებული უპირატესობის საქმეში;

ძირითადი კომპეტენციები არის რთულად იმიტირებადი, ე.ი. კონკურენტებს მარტივად არ შეუძლიათ საწარმოს საკუთარი ძირითადი კომპეტენციების ათვისება, არამედ ეს კომპეტენციები მათ მიერ თანდათანობით უნდა იქნეს კონსტრუირებული.

საწარმოს რესურსები უნდა იყოს უძრავი, არა სუბსტიტუირებული და ძნელად, უმჯობესია სრულიად არა იმიტერებადი. შედეგად ამ რესურსებით შეიძლება ის ხანგრძლივი კონკურენციული უპირატესობა იქნას გენერირებული, რომელიც მათი სტრატეგიული ფასეულობითა და ერთგვაროვნებით, შესაბამისად შეზღუდულობით არის დეტერმნირებული. რესურსების არაიმიტირებულობა ხშირად ეფუძნება საწარმოს ერთგვაროვან ისტორიას და/ან რესურსების სოციალურ კომპლექსურობას, შესაბამისად განსხვავებული რესურსების ურთიერთდამოკიდებულებას.

რესურსებზე ორიენტირებული მიდგომა იმსახურებს კრიტიკას თავისი რელატიურად ადრეული განვითარების ფაზების კონკრეტიზაციების არარსებობის, მაგ., ზუსტი ცნებითი დეფინიციის (ზუსტად რა არის „რესურსი“?, ზუსტად რა არის „ძირითადი კომპეტენციები“? ) გამო. რესურსებზე ორიენტირებული მიდგომა დამატებით გვიჩვენებს სისუსტეებს, ძირითადი კომპეტენციების გაზომვაში. საბოლოო ანგარიშით, ეს მხოლოდ აპოსტერიორი არის შესაძლებელი. კიდევ ერთი შემდგომი საფრთხე ჩნდება ძირითადი კომპეტენციების იდენტიფიცირებისას, რომლებიც არ შეესაბამება საბაზრო მოთხოვნებს. ამასთან, საწარმოს საფრთხე გამომდინარეობს მცდარი სტრატეგიული რეორიენტაციისა და არასწორი საინვესტიციო პოლიტიკის წარმოებიდან.

ახალი მიდგომები ითვალისწინებს ამ პრობლემებს და მათ გადასაჭრელად ფოკუსირებს საწარმოს უნარების შესწავლაზე, გარე სტრატეგიული რესურსების განკარგვაზე(/ხელმისაწვდომობაზე) და საკუთარ ორგანიზაციაში მათ გონივრულ ინკორპორაციაზე, ისევე როგორც არსებული შიდა და გარე სტრატეგიული კომპეტენციებისა და რესურსების კოორდინირებასა და უწყვეტ ოპტიმიზაციაზე.

**ბაზარზე ორიენტირებული მიდგომა.** ბაზარზე ორიენტირებული მიდგომას წარმოადგენს გარემოზე მძლავრად ორიენტირებული სტრატეგია. ამ მიდგომის მნიშვნელოვანი საგეგმო ინსტრუმენტები არის დარგობრივი სტრუქტურის მოდელი („ხუთი კონკურენციული ძალა“), ფასეულობათა ჯაჭვის ანალიზი[10] და საბაზრო წილი-ბაზრის ზრდის პორთფელი („BCG-Matrix“) [11].

ბაზარზე ორიენტირებული მიდგომის ძირითადი ვარაუდი(ცენტრალური ჰიპოთეზა) გულისხმობს საწარმოს სტრატეგიული ქცევისა და აქედან გამომდინარე, მისი დარგობრივი(სექტორალური) სტრუქტურის წარმატების განსაზღვრას. აღნიშნულ ვარაუდზე დაყრდნობით პროფ. პოტერმა შექმნა დარგობრივი სტრუქტურის მოდელი, რომელიც დარგის მიმზიდველობას ხუთი კონკურენციული ძალის (კონკურენცია დარგში, მომხმარებელთა და მიმწოდებელთა შეთანხმების შესაძლებლობა, პოტენციური ახალი კონკურენტები და სუბსტიტუციური პროდუქტები) საფუძველზე აანალიზებს.

ბაზარზე ორიენტირებულ მიდგომაში დომინირებს Outside-in-Perspective(პერსპექტივა გარედან შიგნით). ხარჯების მართვასა და დიფერენცირებას შორის ხდება საბაზისო სტრატეგიების განსხვავება. ამასთან ერთად, საწარმოს შეუძლია სპეციალურ სამომხმარებლო სეგმენტზე ფოკუსირდეს და ამგვარად, მიჰყვეს კონცენტრაციის სტრატეგიას, რომელიც კვლავ ხარჯებისა თუ დიფერენცირების უპირატესობას ეყრდნობა.

ბაზრის მოთხოვნები, შესაბამისად მომხმარებელთა სურვილები და მოლოდინები საწარმოთა მიერ უნდა იქნას დაკმაყოფილებული, იმისათვის, რომ იყვნენ წარმატებული. შესაბამისად, ბაზარი გვიჩვენებს განვითარების ვექტორს, რომლის მიმართულებითაც საწარმოებს წარმატებით შეუძლიათ განვითარდნენ.[1, გვ 18]

აღსანიშნავია ის, რომ პროფ. კოტლერის[12] დ პროფ. მეფერტის[იხ.2] მიერ საწყის ეტაპზევე მოხდა ბაზარზე ორიენტირებული მენეჯმენტის დაგეგმის, კოორდინაციისა და კონტროლის ღონისძიებების განხორციელებისას, მომხმარებელთა და მათი სურვილებისა და საჭიროებების განმარტება. ასევე ბოლო პერიოდში, ინდუსტრიული ეკონომიკის ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლების მხრიდან, როგორებიც არიან მაგ., პროფ. კოკბურნი[13] ან პროფ. ვაიტი[14] საწარმოს წარმატების განმარტებისას უპირატესობა ენიჭება Outside-in-Perspektive-ს, როგორც გაუმჯობესებულ მიდგომას. საწარმოს წარმატების ფაქტორთა კვლევამ ემპირიულად დაადასტურა ბაზარზე ორიენტირებული მიდგობის საფუძვლიანობა[1, გვ., 18].

ბაზარზე ორიენტირებული მიდგომის კრიტიკა მიზნად ისახავს მას, რომ წმინდა Outside-in-Perspektive-მა ძალზედ ორთოდოქსული ინტერპრეტაციისას შექმნას შთბეჭდილება, თითქოს მარკეტინგი მხოლოდ და მხოლოდ რეაქტიული და თავდაცვაზე ორიენტირებულია.[1, გვ. 18] ეს შესაძლოა სწორი იყოს იმ შემთხვევაში, თუ ბაზრის ორიენტაციის განმარტება მოხდება, მხოლოდ უკვე არსებულ ბაზრებზე კონცენტრირებასთან მიმართებაში.[1, გვ., 18]

ბაზრის ეფექტიანობის პერსპექტივიდან, ამ მიდგომაში გაკრიტიკება ხდება იმისა, რომ აქ კონკურენციული უპირატესობა ემყარება ბაზრის არაეფექტიანობას და უკავშირდება კოლექტიური სარგებლის დაკარგვას.[15]

რესურსებზე ორიენტირებლი და ბაზარზე ორიენტირებული მიდგომები, ერთი შეხედვით ჩანს ანტაგონისტურად, საპირისპიროდ ურთიერთმიმართული. მიუხედავად ამისა, მათ შორის მაინც არსებობს მთელი რიგი მსგავსება, რომლებიც ქვემოთ არის წარმოდგენილი.

ძირითადი ვარაუდები და მიზნები ორივე მიდგომის არის საერთო: საწარმოებს ხანგრძლივად შეუძლიათ, მიაღწიონ განსაკუთრებულ საბაზრო წარმატებას. ამ ხანგრძლივი საბაზრო უპირატესობის საფუძვლები უნდა იქნას იდენტფიცირებული და საწარმოთა მწარმოებლურობა გაუმჯობესებული.

განსხვავება მდგომარეობს მასში, რომ ბაზარზე ორიენტირებული მიდგომა ძალზედ მძლავრად კონცენტრირდება იმ დარგზე, რომელშიც მოცემული საწარმო მოქმედებს, მაშინ როდესაც რესურსებზე ორიენტირებული მიდგომა თავისი ინტერესის ცენტრში აყენებს ცალკეულ საწარმოს. შესაბამისად, კრიტიკულად უნდა შევნიშნოთ, რომ რესურსებზე ორიენტირებული მიდგომა ანალიზისას საწარმოს(კორპორაციულ) გარემოს უყურადღებოდ ტოვებს, იგნორირებს და ბაზარზე ორიენტირებული მიდგომა საწარმოს ფარგლებში არ აშუქებს, ნათელს არ ჰფენს შიდა პროცესებს.

გარდა ამისა, ორივე მიდგომა განსხვავდება იმ მხრივ, რაც საბაზრო წარმატებისთვის საწარმოს მთავარ მიზეზად არის მიჩნეული. ბაზარზე ორიენტირებული მიდგომა აქ მარტოოდენ დარგობრივ სტრუქტურაზე, ე.ი. გარე გავლენის ფაქტორებზე კონცენტრირდება. რესურსებზე ორიენტირებული მიდგომა კი პირიქით, შიდა რესურსებს უყურებს, როგორც წარმატების გადამწყვეტ კრიტერიუმს. იმ დროს, როდესაც ბაზარზე ორიენტირებული მიდგომა უფრო ხანმოკლეა და ანალიზის მოცემულ მომენტში განმარტავს პირდაპირ კონკურენტულ გარემოს, რესურსებზე ორიენტირებული მიდგომის განხორციელების(ორგანიზება-რეალიზების) პროცესი უფრო ხანგრძლივია.

რელევანტური პერსპექტივა საწარმოო რესურსების ბუნებაზე რეპრეზენტირებს უკანასკნელ დიდ განსხვავებას. ბაზარზე ორიენტირებული

მიდგომის ფარგლებში ის განიხილება როგორც ჰომოგენური და სრულიად მობილური. ამის საპირისპიროდ, რესურსებზე ორიენტირებულ მიდგომაში ის ასახავს სწორედ რომ გადამწყვეტ კრიტერიუმს საწარმოთა შორის განსხვავებისთვის და მაშასადამე, არის ჰეტეროგენული და არამობილური.

თუმცა ასევე უნდა მოხდეს ურთიერთსაპირისპიროდ მოქმედი მიდგომების ურთიერთკავშირის/დაკავშირების განმარტება და მასში მეტი სიცხადის შეტანა: ბაზარზე ორიენტირებული მიდგომა პოსტულირებს, რომ საწარმო საბაზრო წარმატებისთვის საჭიროებს მნიშვნელოვანი ძალაუფლების პოზიციას დარგში. ეს ძალაუფლების პოზიცია შეიძლება მიღწეულ იქნეს მაგ., ბაზარზე შესვლის წინააღმდეგობის შექმნით(/ბარიერების აგებით), რომელიც კვლავ კრიტიკული რესურსების შესახებ არსებულ მართვის უფლებას შეიძლება დაეფუძნოს და ამ უფლებაზე იყოს დამოკიდებული. ამასთან, მაგ., საქმე შეიძლება ეხებოდეს კომპანიის ემპირიულ ცოდნას, საპატენტო უფლებას, განსაკუთრებულად მაღალ რეპუტაციასა თუ წლების მანძილზე ნაშენ პოზიტიურ იმიჯს.

ბაზარზე ორიენტირებული და რესურსებზე ორიენტირებული მიდგომები შეიძლება ასევე კომპლემენტარიებად იქნეს დანახული.[2, გვ., 81] რესურსები უპირველესად მხოლოდ მაშინ არის ფასეული, როდესაც ისინი ნამდვილად რელევანტურია ბაზრისთვის. ბაზარზე ორიენტირებულ სტრატეგიას მასშემდეგ აქვს წარმატება, რა მომენტიდანაც მას გააჩნია წვდომა ამ წარმატების მიღწევისათვის საჭირო რესურსებზე.

## ლიტერატურა:


1. Benkenstein/Uhrich, Strategisches Marketing. Ein wettbewerbsorientierter Ansatz, 3. Auflage, Stuttgart, 2009.
2. Meffert H./Burmann Ch./Kirchgeorg M., Grundlagen marktorientierter Unternehmensführung. Konzepte-Instrumente-Praxisbeispiele, 10. Auflage, Wiesbaden, 2008.
3. Selznick Ph., Leadership in Administration: A Sociological Interpretation, New York, 1957.
4. Penrose E. T., The Theory of the Growth of the Firm, Oxford, 1959.
5. Opresnik M.-O./Rennhak, C., Allgemeinen Betriebswirtschaftslehre. Grundlagen unternehmerischer Funktionen, 2. Auflage, Berlin Heidelberg 2015.
6. Schumpeter J., Theorie der wirtschaftlichen Entwicklung, Berlin, 1991.
7. Grant R. M., The Resource-based View of Competitive Advantage: Implications for Strategy Formulation. California Management Review, Vol. 33, 1991.
8. Bea F.X./Haas J., Strategisches Management, 4. Auflage, Stuttgart, 2005.
9. Hamel G./Prahalad C. K., Competing for the Future, Boston, 1994.
10. Porter M. E., Competitive Strategy. Techniques for Analysing Industries and Competitors, New York, 1980; Porter M. E., Competitive Advantage. Creating and Sustaining Superior Performance, New York, 1985.
11. Henderson B. D., Henderson on Corporate Strategy, Cambridge, Massachusetts, 1979.
12. Kotler, Ph., Marketing during Periods of Shortage, Journal of Marketing, Volume 38, 1974.
13. Cockburn I. M/Henderson R. M./Stern S., Untangling the Origins of Competitive Advantage. Strategic Management Journal, Vol. 21, 2000.
14. White H. C., Markets from Networks: Socioeconomic Models of Production, New Jersey, 2001.
15. Barney J. B., Firm Resources and Sustained Competitive Advantages. Journal of Management, 1991.


## THE CONCEPTUAL ANALYSIS OF TWO APPROACHES TO STRATEGIC MARKETING


**Vasil Khizanishvili**
Doctor of Social Sciences in Economics



**SUMMARY**

The success of an enterprise depends on the right balance between the basic competencies based resource-oriented approach and the market-oriented approach.

Inside-out-Perspective presents the resource-oriented approach of strategic marketing for(on) the enterprise. A highly environment-oriented strategy presents the market-oriented approach.

Basic assumptions and objectives are common to both approaches. Differences are that the market-oriented approach is very much focused on the field, in which the given enterprise operates, while the resource-oriented approach puts the individual enterprise at the centre of its interest.

The market-oriented and resource-oriented approachs can be also considered as a complementaries.

# პოლიტიკური პარტიები, როგორც პოლიტიკური პროცესის შემადგენელი ნაწილი (ფუნქციები, მიზნები და დანიშნულება)



**ეკატერინე ლომია**
კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის დოქტორანტი
ელ.ფოსტა: ekaterine.lomia@ciu.edu.ge

**რეზიუმე**

პოლიტიკური პარტია, როგორც დემოკრატიის ერთ-ერთი უმთავრესი მექანიზმი, გადამწყვეტ როლს ასრულებს თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში. დღევანდელი სახელმწიფო შეუძლებელია წარმოვიდგინოთ პოლიტიკური პარტიების გარეშე, ვინაიდან სწორედ ეს არის ის აუცილებელი რგოლი, რომელიც სახელმწიფოს სამოქალაქო საზოგადოებას აკავშირებს და ხშირ შემთხვევაში მისი დემოკრატიულობის ხარისხსაც განსაზღვრავს.

სტატია მიზნად ისახავს ისტორიულ ჭრილში გავაანალიზოთ პოლიტიკური პარტიის წარმოშობისა და განვითარების საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესი, ასევე შევისწავლოთ მისი ფუნქციები, მიზანი და დანიშნულება თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში.

**საკვანძო სიტყვები:** პოლიტიკური პარტიები, სახელმწიფო, დემოკრატია, იდეოლოგია.

## შესავალი

სამეცნიერო და საზოგადოებრივ არენაზე უკვე არსებობს დისკუსია თანამედროვე ეპოქაში პარტიის შეცლილი და შემცირებული როლის შესახებ; მეცნიერთა მცირე ნაწილი იმასაც კი ამტკიცებს, რომ პარტია თანდათანობით გაქრება პოლიტიკური ასპარეზიდან, როგორც პოლიტიკური ინსტიტუცია, რომელმაც თავისი ისტორიული ფუნქცია უკვე შეასრულა. მკვლევართა მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ პარტია მთელ მსოფლიოში მიმდინარე აქტუალური პროცესების კვალდაკვალ განიცდის ევოლუციასა და სახეცვლილებას, თუმდა მის გაქრობას არ უნდა ველოდოთ. აღნიშნულ დისკუსისიაში უკეთ გასარკვების მიზნით ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ პოლიტიკური პარტიების წარმოშობას, ფუნქციებს და მათ ტრანსფორმაციას ბოლო რამდნიმე საუკუნის მანძილზე; ამ ფონზე უფრო ცხადად უნდა გამოჩნდეს პოლიტიკური პარტიების სამომავლო პერსპექტივები მსოფლიოშიც და ჩვენს ქვეყანაშიც.

პოლიტიკური პარტია - ეს არის ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია სახელმწიფო პოლიტიკური ძალაუფლების მოსაპოვებლად, ჩვეულებრივ, არჩევნების გზით. ხშირად, პარტია წარმოადგენს რაიმე იდოლოგიას, მაგრამ ის ასევე შეიძლება იყოს სხვადასხვა ინტერესების მქონე ძალების კოალიცია [19].

როგორც წესი, პოლიტიკური პარტიები თავისი შინაარსით, წარმოადგენს ორგანიზაციებს, რომელთა შექმნისა და არსებობის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი სახელმწიფოში პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება ან თავიანთი ინტერესებისა და ხედვების პოპულარიზებაა. პარტიის წევრები ხშირად ერთიანდებიან რაიმე კონკრეტული იდეოლოგიის ირგვლივ, მაგრამ ასევე ხშირია განსხვავებული ინტერესების მქონე ძალების კოალიციებიც. პოლიტიკური პარტიების უმთავრესი მიზანია ხელი-

სუფლებაში მოსვლა და ქვეყნის მართვა პარტიის მიერ გაცხადებული წინასაარჩევნო პროგრამის მიხედვით [2].

პოლიტიკური გაერთიანების შექმნის უფლება აღიარებული და დაცული სიკეთეა, როგორც საერთაშორისო კონვენციებით, ასევე საქართველოს კონსტიტუციითა და შიდა კანონმდებლობით, რომლის მიხედვით მოქალაქეებს უფლება აქვთ შექმნან პოლიტიკური გაერთიანება, მონაწილეობა მიიღონ მის მართვასა და საქმიანობაში, განსაზღვრონ პოლიტიკური პარტიის სტრუქტურა და მსოფლმხედველობრივი მიზნები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, პოლიტიკური პარტიის არსებობა "არსებითია დემოკრატიის სათანადოდ ფუნქციონირებისათვის"[3].

## 1. პოლიტიკური პარტიების წარმოშობა, ტერმინი და არსი

პარტია, მრავალი სხვა პოლიტიკური სიტყვის მსგავსად, ლათინური წარმოშობისაა-ზმნა "partire" დაყოფას, განაწილებას, გაზიარებას ნიშნავს. ლათინურიდან ეს სიტყვა ჯერ ფრანგულში, შემდეგ კი სხვა ენებში გავრცელდა. ამრიგად, თავად სიტყვა პარტია, თავისი ეტიმოლოგიური შინაარსით, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ამ ტიპის ორგანიზაციის არსზე-ეს არის პოლიტიკური დაჯგუფება, რომელიც წარმოადგენს და შეძლებისდაგვარად ხორცს ასხამს საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიერ გაზიარებულ იდეებსა და მისწრაფებებს. სავარაუდოდ, სწორედ აღნიშნულ მოსაზრებას ეფუძნება პოლიტოლოგთა უმრავლესობა, როდესაც ისინი სამოქალაქო საზოგადოებასა და პოლიტიკურ საზოგადოებას ერთმანეთისგან მკვეთრად განასხვავებენ [5, 6].

პოლიტიკურ მეცნიერებაში პარტიის ცნებაში იგულისხმება მოსახლეობის ნაწილის ორგანიზაციული გაერთიანება, განსაზღვრული პოლიტიკური პროგრამის საფუძველზე, ხელისუფლების ორგანიზაციაში და სახელმწიფო ხელმძღვანელობის საქმეებში მონაწილეობისათვის. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური პარრტია განსხვავდება ნებისმიერი სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციისგან განსაკუთრებული მარეგულირებელი პრინციპებითა და იდეოლოგიით, რომელიც ასახულია პოლიტიკურ პროგრამაში. კლასებისგან განსხვავებით, რომლებიც სტიქიურად წარმოიშობა, პოლიტიკურ პარტიებს ადამიანები ქმნიან შეგნებულად [2].

ამრიგად, პარტიები გამოდიან ერთმანეთს შორის კონკრეტული პოლიტიკური კურსის მატარებლად, წარმოადგენენ განსაზღვრული სოციალური ჯგუფების მოთხოვნებისა და მიზნების გამომხატველს, სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს შემაკავშირებელ რგოლს. პარტიების ამოცანაა ცალკეული მოქალაქეების, სოციალური ფენების, დაინტერესებული ჯგუფების მრავალრიცხოვანი კერძო ინტერესების გარდაქმნა მათ ერთობლივ ინტერესებად. პარტიებისა და საარჩევნო სისტემების მეშვეობით მიმდინარეობს მოქალაქეთა პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ფორმალიზაცია. ამდენად, პარტია აქტიურ მონაწილეობას იღებს პოლიტიკური ხელისუფლების ფუნქციონირების მექანიზმში და განსაზღვრულ ზეგავლენას ახდენს მასზე. პარტიების მოღვაწეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს მათ იდეოლოგიურ ზეგავლენას. მნიშვნელოვანია მათი როლი პოლიტიკურ შეგნებასა და კულტურის ფორმირებაში [2].

ჩვენს მიერ წარმოდგენილი პარტიების ისტორიული კლასიფიკაცია, ძირითადად, ამერიკელი პოლიტოლოგების, რიჩარდ გიუნტერისა და ლარი დაიმონდის კლასიფიკაციას ემყარება [19].

პარტიები, ამ სიტყვის ფართო გაგებით, ჯერ კიდევ უძველეს სახელმწიფოებში არსებობდა. ისინი „დიდი ხნის განმავლობაში ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ჩართულ დაპირისპირებულ ჯგუფებს" წარმოადგენდნენ. ასე მაგალითად, ათენის სახალხო კრებაზე მოქალაქეები სოციალური სტატუსის, საცხოვრებელი ადგილისა და ამა თუ იმ მოღვაწის მიმართ დამოკიდებულების მიხედვით სხვადასხვა ჯგუფებად იყოფოდნენ.

პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბების პირველი ნიშნები ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთსა და რომში უნდა ვეძიოთ. ბერძნულ პოლისებში (ქალაქ-სახელმწიფოებში), რომელიც ანტიკური დემოკრატიის პირობებში დაფუძნებული იყო თანასწორობის პრინციპებზე, ხალხის მიერ სახელისუფლებო ორგანოების არჩევა თუ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილელების მიღება ხორციელდებოდა ანტიკური დემოკრატიის პირობებში. თუმცა, შემდგომ განვითარებულმა ისტორიულმა მოვლენებმა, კერძოდ კი რომის რესპუბლიკის იმპერიად ჩამოყალიბებამ, რომის იმპერიის აღმოსავლეთ და დასავლეთ, ორ ნაწილად გაყოფამ, ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა და არაერთი მომთაბარე ტომების წარმოქმნა-დაშლამ დიდი კვალი დატოვა მსოფლიო ისტორიაში და მნიშვნელოვნად შეაფერხა დემოკრატიული პრინციპებისა და პოლიტიკური პარტიების განვითარების შესაძლებლობა [5].

ევროპული რენესანსის განვითარებამ შუა საუკუნეებში მნიშვნელოვნად შეცვალა ისტორიული არეალები და საფუძველი ჩაუყარა ე.წ. განმანათლებლური იდეოლოგიების განვითარებას. საყურადღებოა, რომ დროის აღნიშნული პერიოდიდან ცენტრალურ ფიგურად იქცა უბრალო ადამიანი და არა სახელმწიფო მმართველი, რომელიც აბსოლუტურ ძალაუფლებას ფლობდა და ღვთისგან მოვლენილ პიროვნებად აღიქმებოდა. მკვლევართა უმეტესობა ერთხმად თანხმდება რომ მსოფლიო ისტორიის ისეთი აღსანიშნავი მოვლენები, როგორიცაა, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია და ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც სახელმწიფოს შექმნა, სწორედ განმამათლებლობის წარმატებული პროდუქტებია. აღნიშნულმა მოვლენებმა საფუძველი ჩაუყარა პოლიტიკური პარტიების ფორმირებასა და განვითარებას.

საზოგადოების ინტელექტუალურად მოაზროვნე ნაწილმა წინა პლანზე წამოსწია მაღალფასეული ღირებულებები-მოქალაქეთა საყოველთაო თანასწორობა და არჩევანის თავისუფლებაზე დაფუძნებული ნება, მიმართული პოლიტიკური პარტიების შექმნისა თუ გაწევრიანებისკენ, რომელიც ემსახურებოდა ხელისუფლების განხორციელებას. შუა საუკუნეების პოლიტიკური კონფლიქტებისგან განსხვავებით, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდგომ პერიოდში, პოლიტიკური ჯგუფები ერთმანეთს უპირისპირდებიან იდეოლოგიის თვალსაზრისით, რომლის შედეგადაც, განსხვავებული იდეოლოგიური ხედვა წარმოშობს დაპირისპირებას სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფებს შორის [5].

როგორც აღვნიშნეთ, პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები სწორედ საფრანგეთის ბუეჟუაზიული რევოლუციის შემდეგ ყალიბდება, რომელიც თავისთავად, ისეთი ხანგრძლივი ბრძოლისა და დაპირისპირების შედეგია, როგორიცაა, სამოქალაქო ომები და სისხლიანი რევოლუციები. სწორედ რევოლუციების პროდუქტებია, ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებული კონსტიტუცია, რომელიც აშშ-ის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შემდეგ იქნა მიღებული. ამასთანავე, პოლიტიკური უფლებების რეალიზაცია პიროვნებას აძლევს საშუალებას აქტიური მონაწილეობა მიიღოს საოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებასა და ხელისუფლების განხორციელებაში უშუალოდ ან წარმომადგენლობითი ორგანოს მეშვეობით [3].

ადრეული პარტიების მაგალითად შეგვიძლია გველფები და გიბელინები დავასახელოთ შუა საუკუნეების იტალიაში, ინგლისის რევოლუციის პერიოდში - კავალერები, მრგვალთავიანები, ლევერელები და ინდეპენდები.

პოლიტიკური პარტიების წარმოშობა ინგლისთან არის დაკავშირებული, სადაც XIX საუკუნის დასაწყისისთვის ჩამოყალიბდა სტაბილური პოლიტიკური დაჯგუფებები, რომლებიც ძირითადი ნიშან-თვისებებით პარტიის კლასიკურ განსაზღვრებას დაუახლოვდა. აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნემდეც არსებობდა პოლიტიკური დაჯგუფებები, რომლებიც ამა თუ იმ პოლიტიკური მიზნისთვის იბრძოდნენ, მაგალითად, გველფები და გიბელინები, რომლებიც XII-XIII საუკუნეების ჩრდილო და ცენტრალურ იტალიაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. ფრიდრიხ ბარბაროსას დროიდან მოყოლებული ეს ორი დაჯგუფება წმინდა რომის იმპერიისა და რომის პაპის დაპირისპირებაში ორ სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდა: გიბელიმები, რომლებიც ძირითადად მიწათმფლობელ მემამულეებს წარმოადგენდნენ, იმპერატორს უჭერდნენ მხარს, ხოლო გველფები, რომელთა რიგებს ძირითადად ქალაქის მდიდარი მოსახლეობა შეადგენდა-რომის პაპს. თუმცა მათ არ გააჩნდათ ის მახასიათებლები, რაც თანამედროვე პარტიის არსს შეადგენს [5].

პარტიები, დღევანდელი სახით, მხოლოდ ახალ დროში გაჩნდა. მათ პროტოტიპებად ვიგები და ტორები შეიძლება მივიჩნიოთ XVII-XVIII საუკუნეების ინგლისის პარლამენტში; ისინი სამეფო ძალაუფლების შეზღუდვის საკითხის მიმართ სხვადასხვა შეხედულების მქონე ჯგუფებს წარმოადგენდნენ. საკუთრივ პარტიები, ამ სიტყვის ვიწრო განმარტების გათვალისწინებით, მხოლოდ საკონსტიტუციო მთავრობისა და ჭეშმარიტი არჩევნების შემოღების შემდეგ გაჩნდა [12]. პარტიების ამგვარი ვიწრო განმარტების მაგალითად შეიძლება გამოდგეს: „ორგანიზაცია, რომელიც მმართველებს მართულებთან აკავშირებს, ცდილობს, უზრუნველყოს წარმომადგენლობა და დაეუფლოს ხელისუფლებას არჩევნებზე კანდიდატთა წარდგენის გზით.“ ამგვარად, პარტიების განვითარება არჩევნებთან, კერძოდ კი, მოსახლეობის ფართო ფენების მიერ საარჩევნო უფლებების მოპოვებასთან არის დაკავშირებული. იმ პერიოდში, როდესაც თანამედროვე პარტიების წინამორბედები (ვიგები და ტორები ინგლისში, ლიბერალები და კონსერვატორები სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში) გაჩნდნენ, ხმის უფლება მხოლოდ ადგილობრივ წარჩინებულთა ვიწრო წრის პრივილეგია იყო. მომავალ დეპუტატს დიდი ძალისხმევა არ სჭირდებოდა საკანონმდებლო ორგანოში

მოსახვედრად. პარლამენტში იგი პირადი ან მისი ოჯახის რეპუტაციის წყალობით ხვდებოდა. უკვე პარლამენტში ეს დეპუტატები საერთო ინტერესებისა ან/და პირადი ურთიერთობების გარშემო ფრაქციებს ქმნიდნენ. ამავე დროს, XVIII საუკუნის ბოლო გახდა ახალი ფენომენის მოწმე, რაც შოტლანდიელმა ფილოსოფოსმა დევიდ ჰიუმმა დაახასიათა როგორც „ყველაზე აუხსნელი ფენომენი, რომელსაც ოდესმე ადგილი ჰქონია ადამიანთა ურთიერთობებში - გაერთიანება (faction) პრინციპის გარშემო." ცოტა მოგვიანებით, ინგლისელმა ფილოსოფოსმა და პოლიტიკოსმა, ედმუნდ ბერკმა პარტიის უკვე სრულყოფილი განსაზღვრება მოგვცა: „ადამიანთა ერთობა შექმნილი საერთო კეთილდღეობის მიღწევაზე მიმართული რაიმე პრინციპის ცხოვრებაში გასატარებლად." აქ ჩვენ ვხვდებით თანამედროვე პარტიების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნიშანს - პარტიის წევრებისა და მხარდამჭერების მიერ გაზიარებულ რწმენას ან იდეოლოგიას [5].

ისეთმა მსოფლიო მნიშვნელობის სოციალურმა ცვლილებებმა, როგორიცაა ინდუსტრიალიზაცია და ურბანიზაცია, მოსახლეობის დაბალი ფენებისთვის საარჩევნო უფლების დაკანონება და ა.შ. ძირეულად შეცვალა პარტიული ცხოვრებაც. „პოლიტიკის მკეთებლის" მსურველს, თანამდებობის დაკავებისას მეტი სამუშაოს გაწევა თუ დახმარების აღმოჩენა მოუწია მისი ამომრჩევლების, საზოგადოების სხვადასხვა ფენისთვის, რათა მას ხალხის ნდობა მოეპოვებინა. ასევე, ადამიანთა დიდი ნაკადის გადაადგილებამ სოფლებიდან ქალაქის მიმართულებით, მნიშვნელოვნად შეზღუდა მიწათმოქმედთა ტრადიციული ელიტის გავლენის სფერო. აღნიშნულმა საზოგადოებრივ-სოციალურმა ცვლილებებმა საფუძველი ჩაუყარა ახალი ტიპის ხედვებისა და პოლიტიკური პარტიის შექმნას. მიწათმფლობელებს, იურისტებს, მეწარმეებსა თუ საზოგადოების სხვა მაღალი და განათლებული ფენების წარმომადგენლებს გლეხებთან, ხელოსნებთან და საზოგადოების სხვა დაბალ ფენებთან დასჭირდათ კეთილგანწყობის მოპოვება, წარმატების მიღწევის გზაზე. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული „ურთიერთთანამშრომლობა" სარგებლის მომტანი უნდა ყოფილიყო საზოგადოების როგორც მაღალი, ასევე დაბალი ფენებისთვის. ასე მაგალითად, პარლამენტსა თუ სხვა სახელისუფლებო დაწესებულებაში მოხვედრის სანაცვლოდ მაღალი ფენები დიდ სიკეთესა და მატერიალურ დახმარებას ჰპირდებოდნენ ამომრჩევლებს. განსაკუთრებით მომგებიანი იყო ასეთი ურთიერთობა საზოგადოების იმ ნაწილთან რომელსაც გარკვეული მიზეზების გამო ხელი არ მიუწვდებოდა განათლებასა და წიგნიერებაზე. ვინაიდან, ამომრჩეველთა აღნიშნულ ჯგუფს არც ძალაუფლების ამბიცია ჰქონდა, საზოგადოების გავლენიანი პირების მიერ მათი დამორჩილება და თავიანთი ნება-სურვილის მიხედვით ტარება, ადვილიც კი იყო. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით პოპულარული გახდა XVIII-XIX საუკუნეებში ამერიკის შეერთებულ შტატებში, როდესაც, აღნიშნული გზით ამერიკელი პოლიტიკოსები სარგებლოდნენ ამერიკაში ჩამოსულ ემიგრანტებზე, რომელთაც არ იცოდნენ ინგლისური ენა. პოლიტიკოსები მათ ხმებს იზიდავნდნენ. თუმცა, მე-19 საუკუნის მიწურულიდან, როდესაც განსაკუთრებით გაიზარდა წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა და წიგნიერების დონე როგორც ამერიკაში, ასევე ევროპაში, აღნიშნულმა დამოკიდებულებამ მისი პირველანდელი მნიშვნელობა დაკარგა [5].

პოლიტიკური ლანდშაპტის მიხედვით, პოლიტიკაში მოსახლეობის ახალი ფენების ჩართვა ახალი ტიპის მასობრივი პარტიის გაჩენას განაპირობებს. აღნიშნული პარტიების მთავარი ამოცანა იყო სხვადასხვა სოციალური ჯგუფის (მუშების, მორწმუნეების, გლეხების, სხვა ფენების) ინტერესთა წარმოდგენა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი ჩართვა. ესენი იყვნენ აგრარული, რელიგიური, მუშური/სოციალისტური ან ნაციონალისტური პარტიები. ელიტური პარტიებისგან განსხვავებით, თავიდან ამ პარტიების საქმიანობა პარლამენტის, სხვა სახელისუფლებო სტრუქტურებისა და საზოგადოების მაღალი ფენების გარეთ მიმდინარეობდა. მასობრივი პარტიების გაჩენით პოლიტიკაში ასახვა ჰპოვა საზოგადოებაში უკვე არსებულმა დაპირისპირებამ. XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე ასეთი დაპირისპირება იყო სოფლის მოსახლეობასა და ქალაქის ელიტებს შორის, რელიგიურსა და საერო პირებს შორის, დაქირავებულებსა და დამქირავებლებს შორის. ასეთი პარტიები, როგორც წესი, მასობრივ წევრობაზე დამყარებულ ორგანიზაციებს წარმოდგენდნენ; მათ ემატებოდა დამხმარე ორგანიზაციათა (ქალთა და ახალგაზრდათა კავშირები, პროფკავშირები) ფართო ქსელი. პარტიების მასობრივი ხასიათი საზოგადოების ფართო ფენების პოლიტიკურ ცხოვრებში ჩართვის საშუალებას იძლეოდა. ასეთი პარტიების სიძლიერე, მათ შორის საარჩევნო სიძლიერე, პარტიებისა და და დამხმარე ორგანიზაციათა სიმრავლით იყო განპირობებული.მასობრივ პარტიებს მეტ-ნაკ-

ლებად გამოკვეთილი იდეოლოგიები და მათთვის დამახასიათებელი კულტურული სიმბოლოები გაჩნდათ. ამ იდეოლოგიებს და კულტურულ სიმბოლოებს პარტიები საზოგადოებაში ამკვიდრებდნენ. მაგალითად, ასეთი კულტურული სიმბოლოები იყო პარტიული დროშები, დღესასწაულები (ამის მაგალითია პირველი მაისის დღესასწაული).

პირველი მასობრივი პარტია დაფუძნებულ იქნა ინგლისში 1861 წელს. 1863 წელს შეიქმნა პირველი მასობრივი მუშათა პარტია-საყოველთაო გერმანული მუშათა კავშირი, რომელიც დაარსა ფ. ლასალმა. მასობრივი პარტიების ჩამოყალიბების უმთავრესი პირობები იყო: საარჩევნო უფლებების გავრცელება და მუშათა კლასის ორგანიზაციულობის გაძლიერება. პარლამენტის გარეშე ორგანიზებული პროლეტარიატი ქმნიდა მასობრივ პარტიულ ორგანიზაციებს და თავის მხსივ ეს პროცესი ტრადიციულ დაჯგუფებებს უბიძგებდა კონკურენციისკენ, რომლებსაც პრლეტარული პარტიების მოძრაობისათვის უნდა დაეპირისპირებინა თავისი სტრუქტურის გარდაქმნა იმავე მიმართულებით [1].

XX საუკუნის ათიანი და ოციანი წლების მიჯნაზე ახალი ტიპის პარტიები ჩნდება. ეს პროტო-ჰეგემონური პარტიებია. თუკი მანამდე პარტიები სხვა პარტიებთან და იდეოლოგიებთან თანაარსებობისათვის მზადყოფნას გამოხატავდნენ, ახალი ტიპის პარტიების მიზანს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე სრული ძალაუფლების მოპოვება და საზოგადოების გარკვეული იდეოლოგიური თარგის მიხედვით გარდაქმნა წარმოადგენდა. აღნიშნული ტიპის იყო კომუნისტური ან ფაშისტური/ნაცისტური პარტიები.

ბ-ნ ემზარ ხვიჩიას თეორიის მიხედვით, არსებობს განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის ოთხი დომინანტური ფსიქიკური კომპლექსი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერის ოთხი თვისებრივი ტიპი, ხოლო პიროვნება, როგორც ინდივიდი, „მხოლოდ რომელიმე კონკრეტული ერის წევრად შეიძლება ჩამოყალიბდეს“. აღნიშნული ტიპებია: „ფორმის მანია“, „ძლევის მანია“, ცხრომის მანია“ და „მართვის მანია“, რომლებიც ავტორის მიხედვით, 20 წლიან ცირკულარულ წრე-ბრუნვაში ენაცვლებიან ერთმანეთს. ვინაიდან, სიტყვა მანია ზემოაღნული ოთხი ფაქტორის დომინანტობის ხაზგასმას ემსახურება, ამა თუ იმ მანიის ქვეშ გაერთიანებული საზოგადოებრივი ერთობა განსხვავებული მსოფლმხედველობითი და ურთიერთობის პრინციპით ხასიათდება.

ბ-ნ ემზარ ხვიჩია მის თეორიაში, რომელიც წარმოადგენს დიმიტრი უზნაძის „განწყობის თეორიის“ გაგრძელებას, „განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის“ აღმოჩენის საფუძველზე, მონოგრაფიაში „ქართველი ერი და მსოფლიო ცივილიზაცია“, ამყარებს მოსაზრებას, რომ ზემოაღნიშნული ოთხი ფსიქიკური სტიქიის მონაცვლეობა უწყვეტად მიმდინარეობს ბუნებაში, ხოლო ამა თუ იმ მანიის ქვეშ გაერთიანებული საზოგადოებრივი ერთობა მსგავსი მსოფლმხედველობითა და ურთიერთობების პრინციპით ხასიათდება,სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ აქვთ მსგავსი დამოკიდებულება უცხოსადმი, ქცევისა და განწყობის საერთო მახასიათებლები და ა.შ.

ხვიჩიას მიხედვით, ერი არის ისტორიული საზოგადოებრივი ერთობა, რომლის წევრების განწყობის შინაარსში „საზოგადოდ მოუცილებადი მომენტი" ერთ-ერთ მნიშვნელობაზეა დაფიქსირებული.

ერთა ფორმის მანიის კლასს განეკუთვნება ჩინელები, ებრაელები, გერმანელები, იაპონელები, გერმანელები, იტალიელები, პოლონელები, ჩეხები და ა.შ. ერთა ძლევის მანიის კლასს განეკუთვნება რუსები, მონღოლები, სერბები, თურქები, მაკედონიელები და ა.შ. ერთა ცხრომის მანიის კლასს წარმოადგენს ამერიკელები, ინგლისელები, ფრანგები, ჰოლანდიელები, ძველი ბერძნები და ა.შ.ხოლო ერთა მართვის მანიის კლასს ირლანდიელები, შოტლანდიელები, ქართველები, კორსიკელები, სიცილიეები.

ემზარ ხვიჩიას განმარტებით, დღეისათვის უკვე შესაძლებელია, საბოლოოდ ჩამოყალიბებული ერთი ცივილიზაციის (სრული თვითრეგულირებადი სისტემის) ქცევის იმგვარი პროგნოზირება, როგორიც აქამდე სამეცნიერო სივრცეში არ იყო აღწერილი. სისტემის ქცევაზე ზემოქმედება და მისი ცვლილება რომელიმე პიროვნების ან პიროვნებათა ჯგუფის პირად ნებაზე არ არის დამოკიდებული. საერთაშორისო საზოგადოების ამოცანა უნდა გახდეს სისტემის ქცევასთან შეთანხმებული ახალი საერთაშორისო ურთიერთობების სამართლებრივი უზრუნველყოფა [7].

ირკვევა, რომ დღეისათვის მსოფლიო საზოგადოებას აქვს ამგვარი ალტერნატივა:

1. უნდა მოხდეს გავლენის სფეროების არა გეოპოლიტიკური, არამედ, ფუნქციონალური დაყოფა. ერთა წარმომადგელობებით უნდა დაკომპლექტდეს ოთხპალატიანი მსოფლიო მართვის ინსტიტუტი:

ერთა ფორმის მანიის კლასი-რეგლამენტაცია-ლეგალიზაციის ინსტიტუტი;

ერთა ძლევის მანიის კლასი - ბუფერისა და სტაბილიზაციის ინსტიტუტი;

ერთა ცხრომის მანიის კლასი - გლობალური ცივილიზაციის საგარეო კონტაქტების და ცივილიზაციაში საერთაშორისო ბაზრის რგულირების ინსტიტუტი;

ერთა მართვის მანიის კლასი - ცივილიზაციის წევრ ერთა წინაშე ცივილიზაციის წარმომადგენლობის ინსტიტუტი.

2. ან გლობალური კონფლიქტების შემაკავებელი ფაქტორები ამოიწურება, აქედან გამომდინარე შედეგებით და გარდაუვალია გლობალური კონფლიქტის პროვოცირება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (როგორც მსოფლიო მართვის ერთადერთი ლეგიტიმური ინსტიტუტის) არაეფექტურობის მიზეზები ამ ფაქტორების გაუთვალისწინებლობის შედეგია. ამ ინსტიტუტის ეფექტიანობის მიღწევა მისი რეორგანიზაციის გარეშე შეუძლებელია [8].

## 2. პარტიის ფუნქციები, მიზანი და დანიშნულება

პოლიტიკური პარტიების ბუნება ყველაზე უფრო დამაჯერებლად ვლინდება მისი ფუნქციების მეშვეობით. ყველა სხვა პოლიტიკური ჯგუფისგან პარტია განსხვავდება მისთვის დამახასიათებელი ფუნქციებითა და ასევე მათი განხორციელების საშუალებებით, განსაზღვრული შინაარსის ორგანიზაციით და სტრქუტურით, პოლიტიკური პროგრამის არსებობით. პოლიტიკური პარტიების როლი და მნიშვნელობა საზოგადოებაში, რომელთაც აქვთ ეკონომიკის, სოციალური და კულტურული განვითარების განსაზღვრული დონე, კონკრეტული ისტორიული და რაციონალური ტრადიციები არაერთგვაროვანია [1].

პარტიები, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტები, წარმოადგენს სახელმწიფოსა და ხალხს შორის ვერტიკალური კავშირის რგოლს, პოლიტიკური პროცესის ყველა ფაზაში. პრაქტიკულად, მონაწილეობის რგოლს. პარტიის მოღვაწეობა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმს სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის სამთავრობო რესურსების განაწილებისა და გადანაწილებაში. უწინარეს ყოვლისა, პარტიის მიზანია ხელისუფლებისათვის ბრძოლა მისი მხარდამჭერი მოსახლეობის ჯგუფების ინტერესებისთვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინტერესთა ჯგუფები, როგორც წესი, ცდილობენ გადაწყვიტონ მმართველობის რეჟიმის ფარგლებში ესა თუ ის პროგრამა , საშინაო და საგარეო პოლიტიკური საკითხების გადასაწყვეტად. ასევე, პარტიებს შეუძლით წამოაყენონ წინადადება უმაღლესი ხელისუფლების შეცლის მიზნით. თუმცა, პარტიები ანალოგიური პოლიტიკური მოთხოვნების დროსაც, უმეტეს შემთხვევაში, უზრუნველყოფენ მშვიდობიან გადანაწილებას სხვადასხვა საზოგადოებრივ ძალებს შორის. პარტიის ასეთი მეთოდით მოღვაწეობა გამორიცხავს საზოგადოებრივ რყევებს პოლიტიკური ძალების ცვლილებების დროსაც [1].

პარტიის პირველი პუნქცია კანდიდატების შერჩევაა, რაც არჩევნებისთვის თუ პოლიტიკური თანამდებობისთვის კანდიდატთა შერჩევის წესს გულისხმობს, კანდიდატთა შერჩევა შეიძლება დამოკიდებული იყოს სხვადასხვა კრიტერიუმზე. კომპეტენტურობა, ცნობადობა, მატერიალური შემოწირულობა, პარტიისადმი ერთგულება, პარტიაში ყოფნის პერიოდიზაცია ამ კრიტერიუმთა არასრული ჩამონათვალია. ყოველი პარტია საკუთარ პრიორიტეტს თავად ადგენს და აქედან გამომდინარე, კანდიდატთა შერჩევის წესი, დაწერილი და დაუწერელი, ბევრს გვეუბნება ამ პარტიის შესახებ.

მეორე ფუნქცია, რომელსაც პარტიები ასრულებენ, საარჩევნო მობილიზაციაა. ამ ფორმით პარტიები ცდილობენ საკუთარი ამომრჩევლის რაოდენობის ზრდას. ზოგი პარტია ამას საკუთარი პროგრამის პოპულარიზაციის მეშვეობით ცდილობს, სხვა კი-ლიდერის განსაკუთრებულ თვისებებზე აქცენტირებით ან ამომრჩევლისთვის სარგებლის შეთავაზებით [1].

მესამე ფუნქცია საპროგრამო საკითხების სტრუქტურიზებაა. ამ ფორმით, პარტია ამომრჩევლის პრიორიტეტებს აყალიბებს, ანუ უხსნის და ასწავლის ამომრჩეველს, თუ რატომ არის განვითარების ესა თუ ის გზა უკეთესი მისთვის, მისი თემის, ქალაქისა თუ ქვეყნისთვის. ამ შემთხვევაში პარტია მეგზურის, მასწავლებლის ფუნქციას ასრულებს.

მეოთხე ფუნქცია წარმომადგენლობითია. ამ ფორმით პარტიებ საკუთარ ამომრჩეველს წარმოადგენენ პოლიტიკურ არენაზე და პასუხისმგებლობას იღებენ დაიცვან მათი ინტერესები. ცხადად ჩანს, რომ მესამე და მეოთხე ფუნქცია მედლის ორი მხარეა: პირველ შემთხვევაში პარტია უხსნის ამომრჩეველს, რა შედის ამ უკანასკნელის ინტერესებში, მეორე შემთხვევაში კი ამომრჩევლის ინტერესებს იღებს, როგორც საკუთარ პოლიტიკურ დღის წესრიგს და ცდილობს ის ცხოვრებაში გაატაროს [5].

პარტიების მეხუთე ფუნქცია ინტერესების შეჯამებაა; ბუნებრივია, შეუძლებელია პოლიტიკურ

ასპარეზზე ყველა ამომრჩევლის ან ამომრჩეველთა ჯგუფის ინტერესებისა და სურვილების უცვლელად შესრულება. მილიონობით ამომრჩეველი, რომელმაც კონკრეტულ პარტიას მისცმა ხმა, არ შეიძლება ერთნაირად ფიქრობდეს ეროვნულ უსაფრთხოებაზე, ჯანდაცვაზე, სოციალური უზრუნველყოფის სისტემასა და გადასახადებზე. მათი აზრი ამ საკითხებთან დაკავშირებით ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგოც იქნება, ამიტომაც პარტიის ამოცანაა შეძლოს აღნიშნული ინტერესების რაც შეიძლება ჰარმონიული შეჯამება და ამას ერთნაირი, მეტ-ნაკლებად თანმიმდევრული სამოქმედო პროგრამის სახე მისცეს.

პარტიის მეექვსე ფუნქცია მართვის უნარია, პარტიას უნდა ჰქონდეს იმის რესურსი, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში მთავრობის ჩამოყალიბება და ქვეყნის კომპეტენტურად მართვა შეძლოს.

მეშვიდე ფუნქცია სოციალური ინტეგრაციაა. რიგი პარტიებისა უზრუნველყოფს საკუთარი წევრებისა და მხარდამჭერების ჩართულობას სხვადასხვა აქტივობაში, ზოგი კი-საკუთარი მხარდამჭერებისა და აქტიური წევრების ჯანდაცვას, დასაქმებასა და სოციალურ დახმარებას [1].

ამრიგად, პარტიები შეიმუშავებენ რა იდეოლოგიასა და პროგრამას, ცდილობენ განსაზღვრონ მოქმედების მიმართულების სტრატეგია და არწმუნებენ მოქალაქეებს ალტერნატიული მოქმედების შესაძლებლობაში. საპროგრამო დოკუმენტებში ჩამოყალიბებულ პარტიების სტრატეგიისა და ტაქტიკის მეშვეობით შესაძლებელი ხდება არსებითი გავლენა მოხადინონ ელექტორატზე. ამ ეტაპზე ხდება ახალი წევრების აქტიურობის სულისკვეთების აღზრდა, ელექტორატის მობილიზაცია სახელმწიფოსა და მასობრივ საზოაგადოებრივ ორგანიზაციებში, ხელძღვანელი ორგანოებს ასარჩევად [1].

ელექტორალური ტიპის პარტიები ყველაზე გავრცელებულია. ამ ორგანიზაციებისთვის უმთავრესი არის აღჩევნები. შესაბამისად, აღნიშნულ პარტიებში წევრების რაოდენობა მეორეხარისხოვანია, მთავარია არჩევნების წინ მობილიზაცია. ამრიგად, არჩევნებამდე 3-4 თვით ადრე ასეთი ორგანიზაცია დროებით ფართოვდება და აქტიურდება, ყიდულობს რეკლამას, ასაქმებს მხარდამჭერებს აქტივისტებად და კოორდინატორებად, აქტიურად ხვდება ამომრჩეველს, ატარებს გამოკითხვებს და ამ გამოკითხვების საფუძველზე ადგენს საარჩევნო პროგრამას, რომელიც შემდეგი არჩევნებისას შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს, თუკი ახალმა გამოკითხვებმა ახალი პრიორიტეტები აჩვენა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მსგავსი პარტიისთვის უცხოა მკაცრი იდოლოგიური დოგმებია დადგენილი და ის არ ცდილობს ამომრჩევლის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ განათლებას, პირიქით, ასეთი პარტია ხშირად მზად არის ამომრჩეველთა შეხედულების სასარგებლოდ შეცვალოს იდეოლოგიური პრინციპები. კანდიდატების ნომინაცია ხდება ცნობადობისა და მათგან პარტიისთვის ღირებული მატერიალური მხარდაჭერის გათვალისწინებით და პარტიულ სტაჟს ან იდეოლოგიურ სიმტკიცეს შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება.

პოლიტიკური პარტიის როგორც მიზანს, ასევე დანიშნულებას უნდა წარმოადგენდეს, ქვეყნის მართვა დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად, რათა მან შეძლოს მომხრეების გაჩენა და უკვე არსებული მხარდამჭერების ნდობის გაძლიერება მისი სამომავლო გეგმისა თუ ყოველდღიური პოლიტიკური გადაწყვეტილებების მართებულობაში.

პოლიტიკური პარტიები პირობითად შეგვიძლია დავყოთ ოთხ კატეგორიად, ესენია:

- საარჩევნო პარტიები - პარტია რომლელიც იქმნება კონკრეტული არჩევნების წინ, გარკვეული იდეის გარშემო გაერთიანებული კოალიციური საზოგადოების მიერ. ასეთი პარტიები არამდგრადობით გამოირჩევიან, რადგან არ გააჩნიათ მყარი იდეოლოგიური საფუძველი.
- მუდმივადმოქმედი - პარტიები, რომელიც ადამიანთა რესურსიდან გამომდინარე ინარჩუნებენ რეიტინგს პოპულისტური კამპანიებისა და ელექტორატზე ზემოქმედების შედეგად.
- ლიდერ(ებ)ის პარტიები - პარტიები, რომელიც მორგებულია კონკრეტულ პიროვნებებზე, ლიდერებზე და მათი პიროვნული ავტორიტეტი, ქარიზმა, ორატორული უნარი და საზოგადოებრივი ადგილი განსაზღვრავს პარტიის რეიტინგს, ასეთი ლიდერები გამოირჩევიან პოპულისტური მყისიერი არათანმიმდევრული მიდგომებით ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი.
- იდეოლოგიების პარტიები - ასეთი პოლიტიკური პარტიები გამოირჩევიან სიმტკიცით, მათ გააჩნიათ იდეოლოგიური ფუნდამენტი, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა კონკრეტული პიროვნებები ან პოპულისტური ნაბიჯები, არამედ წინასწარ გაწერილი, გეგმაზომიერი იდეოლოგიური ხედვა. მათი საარჩევნო კამპანიები გამოირჩევა სტაბილური საარჩევნო პროგრამით. პარტიული პროგრამა შესაძლებელია შეიცვალოს მიმდინარე ამოცანების

გადასაწყვეტად, მიმდინარე რეჟიმში - მაგრამ იდეოლოგია რჩება მუდმივი [2].

განსხვავებულ პოლიტიკურ სისტემაში სხვადასხვაგვარად ვლინდება პარტიის პოლიტიკური კურსის დამუშავებისა და განხორციელების ფუნქცია. პარტიის ხელმძღვანელი ჯგუფი არაერთგვაროვანია. მასში შეიძლება იყოს წარმოდგენილი შინაპარტიული მიმდინარეობანი, რომლებიც ცდილობენ კონტროლის უფლებას მთელ ორგანიზაციაში. პარტიაში სხვადასხვა მიმდინარეობებს სათავეში უდგანან ლიდერები, რომლებიც რიგითი წევრების ავტორიტეტით სარგებლობენ. ისინი მიისწრაფიან ერთპიროვნული ხელმძღვანელობისკენ, იმისთვის, რომ პარტია წარმართონ თავიანთი პროგამით გათვალისწინებული გ ზით. ამასთანავე, ხელმძღანელი უმცირესობა იღებს ძირითად პარტიულ გადაწყვეტილებებს, ფლობს ფართო ინფორმაციას, როგორც წესი, რიგირთი წევრებისათვის მიუწვდომელ ინფორმაციას [1].

### 3. ერთპარტიული, ორპარტიული და მრავალპარტიული სისტემები

პარტიული სისტემა ეს არის ქვეყანაში არსებული ყველა მნიშვნელოვანი პარტიის ერთიანობა და მათი ურთიერთდამოკიდებულება. გავრცელებულია პარტიული სისტემიის დაყოფა ერთპარტიულ, ორპარტიულ და მრავალპარტიულ სისტემებად, თუმცა ის ავტორები, რომლებიც ასეთი დაყოფის მიზანშეწონილობას არ ცნობენ, განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ იმაზე, რომ ზოგადად, პარტიული სისტემის ფუნქცია იმდენად პარტიების დაყოფა, დანაწილება კი არ არის, რამდენადაც მოსახლეობის პოლიტიკური დანაწილება-დაპირისპირების აღმოფხვრა, რაც დამახასათებელი იყო მუშათა მოძრაობის აღმოცენებისას და მიზნად ისახავდა მუშებისათვის სამოქალაქო უფლებების გაფართოებას [19].

საჭიროა გვესმოდეს, რომ თუ სახელმწიფოში არის პარტია, ეს არ ნიშნავს იმას რომ იქ პარტიული სისტემაცაა. პარტიათა შორის ურთიერთობა მხოლოდ მაშინ წარმოქმნის სისტემას, თუ მასთან ერთად არის სტაბილურობა და წესრიგი, საპირისპირო შემთხვევაში, კი შესაძლებლია ვისაუბროთ რომ პარტიული სისტემა რადიკუალურად იცვლის ხასიათს. ჰეივუდს მაგალითად მოჰყავთ პოსტკომუნისტური რუსეთი. „1991 წელს კომუნისტური პარტიის მარცხი გამჭრიახი დამკვირვებლებისთვის ჯერ კიდევ მაშინ მოასწავებდა იმას, რომ მრავალპარტიული სისტემის დამკვიდრება იქნებოდა ძალიან რთული. ქვეყნის პრობლემად იქცა პარტიათა და პოლიტიკურ დაჯგუფებათა ჭარბი რაოდენობა. 1995 წლის დეკემბერში საპარლამენტო არჩევნების დროს მონაწილეობა 43-მდე პარტიამ მიიღო, რომელთაგან, ყველაზე მსხვილმა-რუსეთის კომუნკისტურმა პარტიამ ხმების მხოლოდ 22% მოაგროვა. შეიძლება ითქვას, რომ კრიზისის ეპოქაში, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში პარტიული სისტემები კარგავენ საკუთარ „სისტემურ" ხასიათს, რის გამოც რთულია ერთი სისტემა მეორისგან განასხვავო. უფრო მეტიც, თუ ქვეყანაში ძლიერია ადგილობრივი და ავტონომიური ორგანოები, პარტიათა შორის ურთიერთობა, ერთი და იგივე პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა დონეზე, რადიკალური სხვაობით შეიძლება წარიმართოს [4].

ამდენად, პოლიტიკური პარტია საშუალებას აძლევს ხალხს ისარგებლონ პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებებით და პოლიტიკური პარტიის მეშვეობით მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ის არის ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესებისა და პლურალური გარემოს ჩამოყალიბების გარანტი. მისი დანიშნულებაა გააძლიეროს და განამტკიცოს დემოკრატიის მნიშვნელობა და საჭიროება თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების ცხოვრებაში. პოლიტიკური პარტიის ამოცანას წარმოადგენს, არჩევნებში მონაწილეობა და დემოკრატიული გზით მოსვლა ხელისუფლების სათავეში, რათა ლეგიტიმური საფუძვლების რეალური და პრაქტიკული არსებობის მეშვეობით, სახელმწიფოში განახორციელოს მმართველობითი უფლებამოსილება. ძირითადი პოლიტიკური პარტიების რაოდენობა განსაზღვრავს სისტემას, რომელიც შექმნილია ამათუ იმ ქვეყანაში, ამის მიხედვით კი გამოყოფენ სამი ტიპის სისტემას, ესენია ერთპარტიული, ორპარტიული და მრავალპარტიული პოლირიკური სისტემები. მათგან თითოეულს მისი დამახასიათებელი ნიშნები გააჩნია, ხშირ შემთხვევაში კი ქვეყნის პოლიტიკურ მიმართულებასა და მმართველობის სახეზეც მიუთითებს [4].

ჰეივუდი საუბრობს ორი ერთმანეთთან შეუსაბამო ერთპატრიულ სისტემებზე. პირველი მათგანი დამახასიათებელი იყო სოციალისტური სახელმწიფოსთვის, სადაც მმართველი „კომუნისტური" პარტია აკონტროლებდა პრაქტიკულად ყველა ინსტიტუტს და მთელ საზოგადოებას. ასეთი პარტიები უმკაცრესი იდეოლოგიური დისციპლინის ერთგულები იყვნენ, არ უშვებდნენ სულ მცირე გადახრასაც კი მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისგან, ჰქონდათ

ურთულესი იერარქია, რომელიც დემოკრატიული ცენტრალიზაციის პრინციპებით მკაცრად იყო განსაზღვრული პოლიტიკურ და იდეოლოგიურ საფუძვლებზე. ასეთ პარტიათა ბირთვს წარმოადგენს მაღალანაზღაურებადი ფუნქციონირები-„აპარატის მოხელეები", რომელთა ამოცანაა განახორციელონ იდეოლოგიური კონტროლი სახელმწიფოებრივ ორგანოებსა და საზოგადოებრივ ინსტიტუტებზე [4].

უმთავრესი საშუალება, რომლის საშუალებითაც კომუნისტური პარტიები აკონტროლებდნენ სახელმწიფოს, ეკონომიკას და საზოგადოებას, უზრუნველყოფდნენ „დაბალი" ფენების „მაღალისადმი" მორჩილებას, იყო ნომენკლატურა, რომელიც წარმოადგენდა კადრების კომპლექტაციის სისტემას, რომლის საშულებითაც პრაქტიკულად ყველა ღირებულ თანამდებობაზე ინიშნებოდა პარტიის მიერ აღიარებული კანდიდატი. ხელისუფლებაზე პარტიული მონოპოლია თეორიულად გამართლებული იყო პარტიის ლენინური „მდგომარეობით, როგორც მუშათა კლასის ავანგარდისა", ის წარმოჩნდებოდა როგორც საზოგადოების მამოძრავებელი ძალა, რომლის გარეშეც მასები ვერ შეძლებდნენ რევოლუციური მისიის შესრულებას. დებულება „პარტიის ავანგარდული როლის შესახებ" არსებითად იყო სრულიად ელიტური-მარცვალი, რომელმაც წარმოშვა სტალინიზმი. საქმეს სხვაგვარად ხედავდა ლ. ტროცკი, რომლის მიხედვითაც, პარტიის „ხელმძღვანელი როლი" სიანმდვილეში საზოგადოებას არ აძლევდა მიმართულებას, მხოლოდ ნიღბავდა სახელმწიფო ბიუროკრატიის გაძლიერებას [4].

ერთპარტიული სისტემა დამახასიათებელია ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმებისთვის. ავტორიტარულ სახელმწიფოებში პარტია არსებობს მხოლოდ იმისთვის, რომ ჩაახშოს პოლიტიკური ალტერნატივები, ისევე, როგორც სახალხო კონსენსუსი. ხშირად, როგორც მმართველი რეჟიმის მთავარი იარაღი, იგი გამოიყენება სახელმწიფო ძალა უფლების განსამტკიცებლად და პოლიტიკური ოპოზიციის აღსაკვეთად. ტოტალიტარულ სახელმწიფოებში პარტია მასებზე ზემოქმედებისა და ინდივიდუალიზმის ჩახშობის ხარჯზე იდეოლოგიურ ვაკუუმში მათ გაერთიანებას ახდენს. ფაშისტურ გერმანიაში, ისევე როგორც კომუნისტური ქვეყნების უმეტესობაში, პარტია მთავრობად იქცა. რამდენადაც ვითარდებოდა ეს სახელმწიფოები, მთავრობის ყველა უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ნელნელა სრულად გადადიოდა ან პირდაპირ პარტიის, ან პარტიის ლიდერებს დაქვემდებარებული ბიუროკრატიული მოხელეების ხელში.

1933 წელს გერმანიაში დემოკრატიული პროცესებით, ხელისუფლებაში ნაციონალ-სოციალისტების მუშათა პარტია მოვიდა ადოლფ ჰიტლერის მეთაურობით, რითაც ვაიმარის რესპუბლიკა მესამე რაიხმა შეცვალა, საბოლოო ჯამში კი ამ ცვლილებას მოჰყვა დემოკრატიის კრახი და ავტორიტარული რეჟიმი გერმანიაში. 1945 წელს მესამე რაიხის დამხობისა და კოალიციის გამარჯვების შემდეგ, გერმანია, როგორც მეორე მსოფლიო ომის წამომწყები ქვეყანა დაიყო საოკუპაციო ზონებად, 1949 წელს კი გერმანია გაიყო ორ ნაწილად და შეიქმნა გერმანიის ფედერაციული და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკები. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში აიკრძალა ნაციონალ-სოციალისტების მუშათა პარტია, მათი დანაშაულებრივი ქმედებებისა და ნაციონალისტური იდეოლოგიის გამო, ასევე აიკრძალა კომუნისტური პარტია, რადგან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც მმართველობას საბჭოთა კავშირი ახორციელებდა, სწორედ კომუნისტური პარტია წარმოადგენდა ახალი ტოტალიტარული სისტემის ჩამომყალიბებელ მექანიზმს [2].

მაშასადამე, პარტიის კონცეფცია, როგორც სახალხო ნების გამოხატვის საშუალება, თავდაყირა დადგა და პარტიები ცენტრალიზებული საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმი გახდა, რომელმაც სრულად შეძლო ინდივიდუალური თვითგამოხატვის ნებისმიერი მცდელობის ჩახშობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამგვარ გარემოებებში მასობრივი მონაწილეობა რეჟიმის ანტიდემოკრატიული ბუნების მიჩქმალვის გამიზნული ნიღაბია. ტოტალიტარულ სახელმწიფოებში არჩევნები ტარდება, თუმცა მას ფორამალური სახე აქვს, რადგან რეალურად პლურალური სივრციდან არ ხდება ალტერნატივის არჩევა საზოგადოებივი კონსენსუსის მისაღწევად [3].

სოციალური ბუნებიდან გამომდინარე შეიძლება გამოვყოთ პარტიები ცალკეული კლასების (მაგალითად, ბურჟუაზიული, მუშათა, გლეხური); ცალკეული სოცოალური ფენებისა და ჯგუფების (ინტელიგენციის, წვრილი მეწარმეების); რამდენიმე კლასებისა და სოციალური ჯგუფების (პოლიტიკური პარტიები, რომლებიც წარმოიშვნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად). ფრანგმა მოაზროვნემ მ. დიუვერჟემ გამოყო საკადრო მასობრივი და მკაცრად ცენტრალიზებული პარტიები. მათ შორის, საკადრო პარტიები იმით განსხვავდებიან, რომ პარტიული შემადგენლობა ყალიბდება პოლიტიკურ მოღვაწეთა ჯგუფების

გარშემო. ასეთი პარტიის ორგანიზაციული აგებულების საფუძველია პოლიტიკური კომიტეტები, ლიდერები და აქტივისტები [18].

ორპარტიული სისტემა დამახასიათებელია დემოკრატიული ქვეყნებისთვის. ასეთ სისტემაში ამომრჩეველთა დიდი ნაწილი მხარს უჭერს ერთ-ერთ ძირითად პარტიას. მხოლოდ ძირითადი პარტიის წევრებს აქვთ თანამდებობაზე არჩევის მეტი შანსი, ხოლო ოპოზიციური პარტია კონსტიტუციის მიერ დაცულია ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის ან დაშინებისგან. ორპარტიული სისტემის მნიშვნელოვანი უპირატესობა არის შედარებით სტაბილური მთავრობა, ვინაიდან უმრავლესობა იზიარებს ძირითად პოლიტიკურ შეხედულებებს, რომელიც მიღებულია საშუალო ფენაში; იგი არის კულტურულად და ეთნიკურად ომოგენური, რაც იშვიათობაა განვითარებად ქვეყნებში. გარკვეულწილად განგრძობადობა უზრუნველყოფილია თავად სისტემის მიერ, ვინაიდან ორი ძირითადი პარტია აწონასწორებს ინტერესთა ფართო სპექტრს. ამავე დროს, მუდმივად არსებობს ფართო მასებისთვის მისაღები ოპოზიციური პარტია, რომელიც მზად არის ხელისუფლებაში მოსასვლელად. ასეთი პარტიული სისტემის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც წამყვან პოლიტიკურ პარტიებს რესპუბლიკელები და დემოკრატები წარმოადგენენ [19].

მრავალპარტიული სისტემა დამახასიათებელია დემოკრატიული ქვეყნებისთის, ამგვარი სისტემა ჩნდება იქ, სადაც ორზე მეტი პარტია საკმაოდ ძლიერია იმისთვის, რომ ხელისუფლებაში მოსვლისთვის კონკურენცია გაუწიოს ერთმანეთს. ასეთ სისტემაში მუდმივად არც ერთი პარტია არ არის უმრავლესობაში და ამა თუ იმ არჩევნებში ნებისმიერ პარტიას შეუძლია მოიპოვოს მანდატების დიდი უმრავლესობა, მათი ხმებით მთავრობის ფორმირება ხშირად შეუძლებელია. ამიტომ, როგორც წესი, უძლიერესი პარტია მმართველი უმრავლესობის შექმნის მიზნით ცდილობს ჩამოაყალიბოს კოალიციური მთავრობა სხვა პარტიასთან ან პარტიებთან ერთად. კოალიციის ფორმირების შემდეგ იგი მართავს მომავალ არჩევნებამდე, ან კოალიციის დაშლამდე. ეს პროცესი ორპარტიული ქვეყნებისთვის არ არის დამახასიათებელი, ასევე საპრეზიდენტო მმართველობის ქვეყნებისთვის, სადაც მთავრობა წარმოადგენს აღმასრულებელ ხელისუფლებას და ეკუთვნის პრეზიდენტს, პარლამენტი კი, როგორც საკანონმდებლო ხელისუფალი მისგან გამიჯნული უფლებამოსილებით სარგებლობს. მრავალპარტიული სისტემის უპირატესობა არის ამომრჩეველს ფართო არჩევანის შესაძლებლობა, მისი მთავარი უარყოფითი თვისება კი არასტაბილური ხელისუფლებაა [19].

პოლიტიკური სპექტრის მემარცხენეობა-მემარჯვენეობად დაყოფა ყველაზე იოლია პოლიტიკური იდეებისა და შეხედულებების წარმოსაჩენად. ეს დაყოფა საფრანგეთის რევოლუციის დროიდან მოდის, როცა 1789 წლის გენერალური შტატების პირველ სხდომაზე, განსხვავებული მიმართულების ჯგუფები დარბაზის მარჯვნივ-მარცხნივ. ვიწრო გაგებით, სწორხაზოვანი პოლიტიკური სპექტრი წარმოაჩენს განსხვავებულ დამოკიდებულებას ეკონომიკისა და სახელმწიფოს როლის თაობაზე: მემარცხენე თვასაზრისით, მისასამლებელია სახლემწიფოს მეტი ჩარევა და მართვის მეტი კოლექტივიზმი; მემარჯვენეობა კი უპირატესობას საბაზრო ეკონომიკასა და ინდივიდუალიზმს ანიჭებს. დღესდღეობით, მემარცხენეობამ და მემარჯვენეობამ კიდევ უფრო ღრმა იდეოლოგიური და ღირებულებითი განხვავება შეიძინ, თუმცა მემარცხენეობის კლასიკური ღირებულებებია: თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა, უფლებები, პროგრესი, რეფორმიზმი, ინტერნაციონალიზმი; ხოლო მემარჯვენეობის ავტორიტეტი, იერარქია, წესრიგი, მოვალეობები, ტრადიცია, რეაქციონიზმი და ნაციონალიზმი [18].

## დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პოლიტიკური პარტია ეს არის საერთო მსოფლმხედველობრივ პრინციპებზე დამყარებული მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების მიზნით იქმნება. პარტიები განსაკუთრებულ როლს ასრულებენ წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირობებში და შეიძლება საფუძლიანად დავასკვნათ, რომ პარტიული სისტემებისა და პოლიტიკური პლურალიზმის გარეშე წარმომადგენლობითი დემოკრატია ვერ შედგება. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რაც უფრო მყარია პოლიტიკური პარტია, მით უფრო მაღალია დემოკრატიულობის ხარისხი ქვეყანაში, რაც ცხადია ჯანსაღი საპარლამენტო ცხოვრების საწინდარია.

ამასთანავე, ვინაიდან პოლიტიკური პარტიები სხვადასხვაგვარად რეაგირებენ პოლიტიკურ პროცესებზე, სწორედ მათზეა დამოკიდებული როგორც სახელისუფლებო პროცესებისა და ინსტიტუციური ურთიერთობების მართვა, ასევე ხელისუფლებათა მდგრადობა და ეფექტიანობა.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. აბესაძე, გ., მაცაბერიძე, მ., ბატიაშვილი, ე., (2003), პოლიტოლოგია. ლექციების კურსი. გამომცემლობა უნივერსალი. თბილისი
2. ბოჭორიშვილი, მ., ქანთარია, გ., (2014). კონსტიტუცია და დემოკრატია, პოლიტიკური პარტიები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლა. თბილისი
3. მაგშტატი, თ., (2010). გავიგოთ პოლიტიკა, იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი
4. მაისურაძე, თ., (2009). პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემები. გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი
5. კვაშილავა, ბ., (2014). პოლიტიკური პარტია: წარსული, აწმყო, მომავალი. ჟურნალი ახალგაზდებისთვის. თბილისი
6. შუბითიძე, ვ., (2010). პოლიტოლოგია, სტუ-ს პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი. ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტი და დავით გურამიშვილის სახელობის ქართულ-უკრაინული უნივერსიტეტი „იბერია", თბილისი
7. ხვიჩია, ე., (2004). ქართველი ერი და მსოფლიო ცივილიზაცია. თბილისი. იხილეთ ბმულზე: http://noosphereinstitutegeorgia.blogspot.com/p/blog-page.html
8. ხვიჩია, ე., ნაციონალ-გლობალიზმის საფუძვლების შესახებ. იხილეთ ბმულზე: http://noosphereinstitutegeorgia.blogspot.com/p/blog-page_10.html
9. Castles, F., Wildmann, R., (1986). The future of party government. Vol. 1, Berlin Gruyter,
10. Graham, B., (1993). Representation and party politics: A comparative respective. Oxford: Brackwell
11. Gunther, R., Larry D., (2001). "Types and Functions of Parties", in: Political Parties and Democracy. ed. by Richard Gunther, Larry Diamond, the Johns Hopkins University Press: Baltimore
12. Sartori, G., (1976). Parties and Party Systems: A Framework for Analysis. Cambridge Uniersity Press: New York
13. Heywood, E., (2009). Politics. the palgrave Macmillan. fourth edition
14. Santori, G., (1976). Parties and party systems: A framework for analysis. Cambridge University Press

**ინტერნეტ რესურსები:**

15. პოლიტიკური პარტია; სამოქალაქო განათების ლექსიკონი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ჩვენი კონსტიტუცია : საქართველოს კონსტიტუცია : გამოცემა მოზარდებისათვის [ქართ. და რუს. ენ / სარედ. ჯგუფი: ლალი გზირიშვილი, თამარ დემეტრაშვილი, მერაბ ბასილაია და სხვ.] - თბ. : ფონდი Alpe, 2005. იხილეთ ბმულზე: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=4134
16. პარტია, სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი / [სარედ.: ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ. ; გამომც.: ლაშა ბერაია] - თბ. : ლოგოს პრესი, 2004, 351გვ. იხილეთ ბმულზე: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=8482
17. პარტიული სისტემა, ლექსიკონი სოციალურ მეცნიერებებში, სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი, (2004) სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისი: ლოგოს პრესი. იხილეთ ბმულზე: http://dictionary.css.ge/content/party-system

## POLITICAL PARTIES AS AN INTEGRAL BODY OF POLITICAL PROCESS (FUNCTIONS AND PURPOSES)

**Ekaterine Lomia**
Doctoral student
of Caucasus International University

**ABSTRACT**

A political party, as one of the major mechanisms of democracy, plays a crucial role in modern political life. Contemporary global politics is hard to imagine without political parties since this is the necessary link between the state and civil society and in most cases, it assesses the quality of democracy as well.

The article aims to examine the origins and development of political parties analyzed in a historical context. Furthermore, the paper studies the functions and purpose of political parties in a modern political life of today.

**Key words:** Political parties, State, Democracy, Ideology.

# კულტურული დისტანციის ანალიზი



**სოფიკო გულედანი**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
დოქტორანტი

*ნაშრომში აღნიშნულია, რომ გარდა ბუნებრივი ბარიერებისა, რომლებიც უცხოურ ბაზარზე შესვლას ახლავს, კიდევ არსებობს ფაქტორი, რომელსაც მეწარმეები ნაკლებად აქცევენ ყურადღებას. სტატიის თეორიული მიზანია კულტურული დისტანციის კონცეპტუალიზაციისა და განსაზღვრისადმი სხვადასხვა მიდგომების ჩვენება. სტატია, ასევე, ეფუძნება ლიტერატურის კრიტიკულ მიმოხილვას. სამომავლო კვლევა ავტორის წინაშე შემდეგ კითხვებს სვავს: რა ეფექტი აქვს კულტურულ დისტანციას სტიმულს ქართული კომპანიების ინტერნაციონალიზაციის პროცესზე? რა გავლენას ახდენს კულტურული დისტანცია უცხოურ ბაზარზე გასვლასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც იღებენ მენეჯერები? რა ფაქტორები განსაზღვრავენ მენეჯერების მიერ კულტურული დისტანციის აღქმას?*

*სტატიის ავტორი მიმოიხილავს სხვადასხვა კვლევებს, რომელთა თანახმადაც კომპანიის ინტერნაციონალიზაციის პროცესში კულტურული დისტანციის აღქმა დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე: კომპანიების მენეჯერების გამოცდილება უცხოურ ბაზარზე, მენეჯერების განათლება და იმ გარემოს სტაბილურობა, რომელშიც კომპანის უწევს მუშაობა. მენეჯერთა აზრით, ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე გავლენას შემდეგი ფაქტორები ახდენენ: კულტურული განსხვავებები (განსაკუთრებით რელიგიური განსხვავება), პოლიტიკური განსხვავებები (განსაკუთრებით, დემოკრატიის დონე), გეოგრაფიული მანძილი (დროის სარტყელები), განსხვავება ეკონომიკურ სისტემებში (ეკონომიკური განვითარების დონე) და განსხვავება მენტალიტეტში (თუ როგორ აზროვნებენ მენეჯერები). ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ საერთაშორისო ბარაზე გასვლაზე, შემდეგია: დემოკრატიის დონე, ინფრასტრუქტურული განვითარების დონე, მენეჯერთა აზროვნებას შორის განსხვავება და დროის სარტყლებს შორის სხვაობა.*

*სტატიის ფასეულობა მდგომარეობს იმაში, რომ ის ცხადყოფს ფირმებს შორის კულტურული დისტანციის შესწავლის აქტუალობას, და გვთავაზობს მეთოდოლოგიას, რომლის თანახმადაც კულტურული დისტანცია მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებითა და სტატისტიკური მონაცემებით არ განისაზღვრება, არამედ საჭიროა სუბიექტური მონაცემების გათვალისწინებაც.*

საერთაშორისო ბიზნესტრანზაქციები სხვადასხვა სოციალური ფასეულობების სისტემასთან ურთიერთობას გულისხმობს. ეროვნული საზღვრები ყოველთვის არ არის ერთგვაროვან ფასეულობათა სისტემასთან თანხმვედრაში, მაგრამ ერებში მოქმედებენ ძალები, რომლებიც საერთო კულტურას ქმნიან. ადგილობრივ კულტურულ ფასეულობებთან ადაპტაცია, რომელიც ერის პოლიტიკური მიმართულების, განათლების, რელიგიისა და ენის მეშვეობით გადაიცემა, სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედი მრავალეროვანი საწარმოებისთვის შეიძლება დამატებით ტვირთად იქცეს. მრავალეროვანი საწარმოს მშობლიურ ქვეყანასა და მისი მოქმედების ქვეყანას შორის არსებული ეროვნული კულტურების პრინციპული განსხვავებების (კულტურული დისტანცია) შესწავლამ საერთაშორისო ბიზნესკვლევებში დიდი ინტერესი გამოიწვია. საერთაშორისო ბიზნესკვლევებში მიიჩნევა, რომ მშობლიური ქვეყნისა და უცხო ქვეყნის (რომელშიც ფირმა შედის) კულტურებს შორის არსებული დისტანცია

ზრდის ბაზარზე შესვლის ფასს, ამცირებს საოპერაციო მოგებას და ხელს უშლის ფირმას თავისი კომპეტენციის უცხო ბაზრისათვის გადაცემაში [8, გვ. 587-606]. კულტურული დისტანციით იხსნება მრავალეროვნული კომპანიების სტრატეგიების მრავალფეროვნება და საორგანიზაციო მახასიათებლები, მაგ., შესვლის რეჟიმის არჩევანი [7, გვ. 137-158]. ამავდროულად, დიდი კულტურული მანძილი დაკავშირებულია ერთობლივი საწარმოების წარუმატებლობების დაბალ მაჩვენებელთან. ძველი კვლევები შესვლის რეჟიმის არჩევაში კულტურული დისტანციის როლს ვერ ავლენდნენ. კულტურული დისტანციის ეფექტების შესწავლის მზარდი პოპულარობის მიუხედავად, მკვლევრებმა ამ კონცეფციის პოტენციური შეზღუდვების განხილვა დაიწყეს. მაგალითად, ბრაუტერსი [1, გვ. 177-189] და ევანსი და მავონდო [2, გვ. 515-532] ამტკიცებენ, რომ კულტურული დისტანციის ეფექტების ათწლეულობის მანძილზე ჩატარებული კვლევა ცალსახა შედეგებს ვერ იძლევა. შენკარი [1111, გვ. 519-535] უფრო შორს წავიდა და გამოთქვა მოსაზრება, რომ არსებული კულტურული დისტანციის მრავალი კონცეპტუალური თვისება „ილუზიურია". საერთაშორისო შესვლის რეჟიმების კვლევების მეტაანალიზში ჟაომ და სხვ. [1313, Zhao, Luo, Suh 2004]აღმოაჩინეს, რომ კულტურული დისტანციის ზემოქმედება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, მაგრამ შესვლის რეჟიმის ექვს გამნსაზღვრელ ფაქტორს შორის ყველაზე ნაკლებ გავლენიანია. სხვა მეტაანალიზში ტიჰანიმ და სხვ.[12, Tihanyi, Griffith, Russel 2005] აღმოაჩინეს, რომ „კულტურულ დისტანციისა და სხვა სამ საკვანძო ცვლადს (შესვლის რეჟიმის არჩევა, წარმადობა და საერთაშორისო დივერსიფიკაცია) შორის მიმართება, 66 დამოუკიდებელ ნიმუშში, ნულთან ახლოს აღმოჩნდა" და რომ „კულტურული დისტანცია პროგნოზირებაში როლს არ თამაშობდა".

კულტურის ადექვატური შეფასების დებულება სოციალური კვლევების სხვადასხვა სფეროებისთვის რთული ამოცანა აღმოჩნდა. ზოგადად, კულტურა არის მახასიათებლების ერთობლიობა, რომელიც ადამიანთა ერთ ჯგუფს მეორესგან გამოყოფს. ნორმების, ფასეულობებისა და ინსტიტუციების მიმართებაში კულტურა საზოგადოების იერსახეს აყალიბებს, რაც გვეხმარე იმის გაგებაში, თუ როგორ იცვლება საზოგადოება [4, Hofstede 1980]. ეროვნულ დონეზე კულტურა არის ინდივიდუალურ ფასეულობათა ერთობლიობა. ინდივიდების მსოფლმხედველობას მათი გამოცდილება და ის კულტურული ფასეულობები განაპირობებენ, რომლებსაც ისინი იზიარებენ, თუმცა არსებობს განსხვავება იმაში, თუ როგორ ნაწილდება ინდივიდების პრიორიტეტები ფასეულობებს შორის. ეროვნული დონის კულტურის კონცეფცია ცდილობს, საზოგადოებაში ფასეულობათა პრიორიტეტები ასახოს, რომელიც „ზიარი კულტურის ცენტრალურ ღერძს აჩვენებს" [1, გვ. 177-189]. მკვლევრები, რომლებიც მრავალეროვნულ კომპანიებში ტრანზაქციების ღირებულებაზე, საერთაშორისო ბიზნეს ოპერაციების რისკებსა და მენეჯერულ გადაწყვეტილებებზე ფოკუსირდებიან კულტურული დისტანციის ეფექტებზე მსჯელობენ. ბოლო დროის კვლევებში კულტურული დისტანცია ეროვნულ კულტურულ ფასეულოებებში იმ ფუნდამენტურ განსხვავებებზე მიუთითებს, რომლებიც მრავალეროვნული კორპორაციების მშობლიურ ქვეყანასა და უცხო ქვეყნებს შორის არსებობს. კულტურული დისტანციის როლის შესწავლისას კვლევების უმეტესობაში ყალიბდება თეორიები, რომ მრავალეროვნული კომპანიის მშობლიური ქვეყნისა და მასპინძელი ქვეყნის კულტურებს შორის სხვაობის ზრდასთან ერთად მასპინძელი ქვეყნის ბაზარზე მრავალეროვნული კომპანიის ეფექტური მუშაობის უნარი მცირდება. კულტურული დისტანციით განპირობებული საოპერაციო სირთულეების ძირითადი მიზეზი იმ ნორმების, ფასეულობებისა და ინსტიტუციების ნაკლებ ცოდნაშია, რომლებიც ბაზრებს შორის სოციალურ ცვლას გვთავაზობს. კულტურული დისტანცია ასევე იწვევს სირთულესა და გაურკვევლობას მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, მრავალეროვნული კომპანიების სტრატეგიებსა და საორგანიზაციო არჩევანში.

კულტურა რთულად გასაზომი და შესაფასებელი კონცეფცია აღმოჩნდა, კულტურულ ასპექტებს შორის მანძილის გაზომვა კი უფრო ძნელი. არსებობს კულტურის რამდენიმე განმარტება, აქედან ორი ზოგად აღიარებას ეფუძნება. პირველი განმარტება ეკუთვნის ედვარდ ჰოლს, რომლის თანახმადაც კულტურა შედგება „ღრმა, ზოგადი, დაუწერელი გამოცდილებისგან, რომელსაც მოცემული კულტურის წევრები იზიარებენ, რომელსაც ისინი ცოდნის გარეშეც მიმართავენ, ყველა სხვა დანარჩენ მოვლენაზე მის ფონზე მსჯელობენ" [3, Hall 1966]. მეორე განმარტებას ჰოფსტედი გვთავაზობს: კულტურა არის „გონების კოლექტიური დაპროგრამება, რომელიც ერთი კატეგორიის ხალხს მეორესგან გამოყოფს/განასხვავებს" [4, Hofstede 1980]. ამ განსზაღვრებებიდან გამომდინარე, კულტურული დისტანცია არის კულტურულ ასპექტებს შორის დაშორება, რომელმაც კომპანიის სტრატეგიასა და წარმადობაზე შეიძლება მოახდინოს გავლენა. ის შეიძლება ასეც განიმარტოს: „ხარისხი, რომლითაც ერთი ქვეყნის კულტურული ფასეულობები განსხვავდება მეორე ქვეყნის კულტურული ფასეულობებისგან" [9, გვ. 243-265].

კულტურულ და ისტორიულ კავშირებს ჩვენ

წარმოვადგენთ, როგორც პირველად და მეორად კონსტრუქციას, რომელიც ორ განზომილებას მოიცავს: ენობრივი დისტანცია და რელიგიური დისტანცია. ეჭვგარეშეა, რომ ენობრივი განსხვავება ერთ-ერთია იმ ფაქტორებიდან, რომელიც ინფორმაციულ ნაკადს ამახინჯებს და უცხოურ ბაზრებს უფრო გაურკვეველს ხდის. სხვადასხვა ენებზე საუბარი კომუნიკაციის ეფექტურობას ამცირებს, აფერხებს ინფორმაციის გადაცემასა და მის ინტერპრეტაციას. ენას არსებითი მნიშვნელობა აქვს კულტურულ დისტანციაში და ენობრივი სხვაობები სხვადასხვა ერებში ფასეულობათა შორის სხვობას გამოხატავენ. კულტურულ განსხვავებას მნიშვნელოვან წილად რელიგიაც განაპირობებს. აქ საუბარია არა მხოლოდ იმაზე, თუ რამდენად რელიგიურია ესა თუ ის ერი დღეს, არამედ საუბარია ასევე იმაზე, თუ როგორ გავლენას ახდენდა ქვეყნის მთავარი რელიგია მის კულტურაზე, ადამიანთა ქცევის ნორმებზე. რელიგიებს შორის განსხვავებამ შეიძლება გაუგებრობა და უთანხმოება გამოიწვიოს, რასაც შედეგად ინფორმაციული ნაკადის დამახინჯება მოჰყვება. ფინანსური ანგარიშგება ბაზრის შერჩევის გადაწყვეტილებაზე მოქმედებს, რადგან ბაზრებს შორის ინფორმაციულ ნაკადსა და იმ განუსაზღვრელობის დონესა და რისკზე ახდენს გავლენას, რომლებსაც ინფორმაციის მართვის სისტემის (IMS) მენეჯერები განიცდიან.

კულტურული დისტანცია ფირმის „გარე" მხარეს - კომპანიის გარემოს განეკუთვნება. ქვეყნის კულტურა ხალხს ქვეყანაში მოქმედების პრაქტიკას უყალიბებს. ხალხი მას ეჩვევა და მოცემულობად აღიქვამს - ეს ბიზნესის კეთების ჩვეულებრივი ფორმაა. ამიტომ განსხვავებული კულტურა „კომფორტის ზონიდან" გამოსვლისა და „დაძაბულობის ზონაში" გადასვლის მიზეზია: ადამიანებმა არ იციან, როგორ მართონ ბიზნესი, როგორ გადალახონ წინააღმდეგობები და მოაგვარონ სირთულეები. ეს ყველაფერი დამატებით დროს მოითხოვს და ხარჯების ზრდას იწვევს და კომუნიკაციის სირთულეების გამო, ასევე, საჭირო ხდება მეორე/პარტნიორის მხარის გაგება. სხვა კულტურის მახასიათებლების ცოდნა მენეჯერებს უფრო შორეული (კულტურის გაგებით), მაგრამ მომგებიანი ბაზრების ძებნისკენ უბიძგებს. ამით შეიძლება წინაღობების არიდება და ხარჯების შემცირება.

კულტურული დისტანციის ფარული გულისხმობა ორ კლასტერში წარმოჩნდება, რომელთაგან ერთი ცნების კონცეპტუალური თვისებებიდან გამომდინარეობს, მეორე კი მისი მეთოდოლოგიური თვისებებიდან. კონცეპტუალური თვისებები ქმნიან ილუზიებს, რომლებიც კულტურული დისტანციის ცნების საფუძველს წარმოადგენენ და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორიების კონტექსტში მის ქმედითუნარიანობას ეჭვის ქვეშ აყენებენ. მეთოდოლოგიური თვისებები ინსტრუმენტულ და განზომილებით ცდომილებებს წარმოადგენენ, რომლებიც კულტურული განსხვავებების ზუსტ გაზომვებს ამახინჯებენ; ისინი ყველაზე ახლოს კოგუტისა და სინგჰისინდექსთან ასოცირდებიან, მაგრამ უფრო ფართო გაზომვების დონესაც ეხებიან. შენკარი, კონცეპტუალური თვისებების გათვალისწინებით, კულტურული დისტანციის სტაბილურობის, წრფივობის, მიზეზობრიობისა და შეუსაბამობის ილუზიებს განასხვავებს [11, Shenkar 1992]. „დისტანცია" თავისი განსაზღვრებით სიმეტრიულია: A წერტილიდან B წერტილამდე მანძილი B წერტილიდან A წერტილამდე მანძილის ტოლია. თუმცა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კონტექსტში კულტურული დისტანციის სიმეტრიის კონცეფციის დაცვა რთულია. ის მშობლიური და მასპინძელი ქვეყნების კულტურებისთვის იდენტურ როლს გვთავაზობს. ასეთი შეხედულების მხარდაჭერას ლიტერატურაში ვერ ვპოულობთ. არ არსებობს კვლევები, რომლებიც მშობლიური ქვეყნისა და პირდაპირი კაპიტალდაბანდების ქვეყნის კულტურებს შორის დისტანციის სიმეტრიას გვიჩვენებდა. მრავალმა კვლევამ აჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ინვესტორის კულტურა ინვესტიციის, შესვლის რეჟიმის და წარმადობის წინასწარ განსაზღვრის საქმეში. სხვა კვლევები აჩვენებენ მასპინძელი კულტურის როლს. თუმცა, არ არსებობს კვლევები, რომლებიც ამ ორს შორის სიმეტრიას აჩვენებს და არც ამ დისტანციის ვარაუდის საფუძვლები არსებობს. პირიქით, მშობლიური და მასპინძელი ქვეყნის ეფექტების ბუნება განსხვავდება - პირველის ეფექტი ფირმაზეა დამოკიდებული, მეორესი კი ეროვნულ გარემოზე. დროის ერთ წერტილში გაზომილი კულტურული დისტანცია მუდმივად მიიჩნევა. მაგრამ კულტურები დროთა განმავლობაში იცვლება. ბაზარზე შესვლის მომენტში გაზომილი კულტურა წარმადობის გაზომვის დროისთვის შეიძლება შეიცვლოს. თანხვედრის თეზისი კულტურული დისტანციის დროთა განმავლობაში შევიწროვებას წინასწარმეტყველებს, რადგან ბაზარზე სულ უფრო მეტი ინვესტორი შემოდის და ადგილობრივი დასაქმებულები მრავალეროვნული კორპორაციების მენეჯმენტის მეთოდებს ეცნობიან. რაც უფრო მეტად შეისწავლის ფირმა ბაზარს, იმ ბაზართან კულტურული დისტანცია მით უფრო მცირდება. აღმოჩნდა, რომ, როდესაც ფირმას ქვეყანაში მეტი გამოცდილება აქვს, მით უფრო აირჩევს ის სრულად დაქვემდებარებულ შვილობილს, ვიდრე ერთობლივ საწარმოს. საერთაშორისო გამოცდილებამ შეიძლება ასევე ფირმას აარჩევინოს შენაძენებში დაბანდება და არა ნულიდან დაწყება. დისტანციის მეტაფორა

ასევე გულისხმობს ინვესტიციაზე, შესვლის რეჟიმსა და წარმადობაზე წრფივ გავლენას. რაც უფრო დაშორებულია ერთმანეთისგან კულტურები, მით უფრო დიდია ალბათობა, რომ ინვესტიცია უფრო გვიანდელ სტადიაზე განხორციელდეს, ფირმა ნაკლებად კონტროლირებად შესვლის რეჟიმს აირჩევს, უცხოური ფილიალების წარმადობა კი გაუარესდება. ეს ვარაუდებიც კითხვის ქვეშ დგას. პირიქით, სკანდინავიური სკოლა აღიარებს, რომ ექსპანსიებს შორის დროის მონაკვეთი შესასწავლი მრუდების განსხვავებიდან გამომდინარე სხვადასხვაგვარი იქნება.

ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ კულტურული დისტანცია ნეგატიურ წარმადობას იწვევს, რადგან შორეულ ქვეყანაში ბიზნესის კეთება რთული და გაურკვეველია. სირთულე ტრანზაქციების, კომუნიკაციების, კოორდინაციისა და კონტროლის მაღალ ღირებულებაში გამოიხატება, ასევე რთულია არსებული გამოცდილებით უცხოური ოპერაციების ინტეგრირება. გაურკვევლობა ამ ხარჯებს და რისკს კიდევ ზრდის, რის გამოც კომპანიისთვის ესა თუ ის ლოკაცია მიმზიდველობას კარგავს. ბოლო დროს რამდენიმე ნაშრომში გამოითქვა აზრი, რომ კულტურულ დისტანციას დადებითი ეფექტიც აქვს, რადგან ამ შემთხვევაში შორეული პარტნიორისგან ვსწავლობთ, რომელსაც განსხვავებული კომპეტენცია და უნარები გააჩნია და შეიძლება გადაწყვეტილებების მიღების საკითხში მეტად კრეატიულიც აღმოჩნდეს [5, Kostova, Nell, Hoenen 2016]. რეუსმა და ლამონტმა [10, გვ. 1298-1316]აჩვენეს, რომ ფირმები, რომლებმაც უცხოური ფირმის შეძენის სურვილი გამოთქვეს და რომლებსაც ინტეგრაციის შესაძლებლობები აქვთ კულტურული დისტანციის ნეგატიურ ეფექტებს არბილებენ. ამ დამოკიდებულების ემპირიული დასტური არაერთგვაროვანია. მაგნუსონი და სხვ [66, გვ. 520-532]კულტურული დისტანციის წარმადობაზე მცირე ნეგატიურ ეფექტზე მიუთითებს. საერთაშორისო ერთობლივ საწარმოებში წარმადობის ეფექტების მეტაანალიზი აჩვენებს, რომ „საერთაშორისო ერთობლივ საწარმოებზე კულტურული დისტანციის პირდაპირი ეფექტების ემპირიული მიგნებები არადამაჯერებელია“ [1010, გვ. 607-640]. ტიჰანიმ და სხვ. [12, გვ. 270-283]აღმოაჩინეს, რომ „მრავალ ვარიაციული ურთიერთობების შეფასებამ აჩვენა, რომ კულტურული დისტანცია ფირმის წარმადობასთან არსებით კავშირში არ არის“. წარმადობასთან დაკავშირებული არადამაჯერებელი შედეგების შესაძლო მიზეზი შეიძლება იმ ფაქტში მდგომარეობდეს, რომ ვერც ერთმა ვრცელმა მეტა-ანალიზმა ვერ გაარჩია კომპანიებისა და შვილობილის დონის ანალიზი და ძალიან ცოტამ გამოიკვლია დამატებითი პირობები, როდესაც მანძილს აქვს დადებითი გავლენა წარმადობაზე.

საერთაშორისო ბიზნესში ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორი ქვეყანას შორის კულტურული განსხვავება. აღნიშნული განსაკუთრებით გამოიხატება ბაზარზე შესვლის რეჟიმიდან გამომდინარე, რადგანაც სწორედ ის წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს საზღვარგარეთ ახალი ბიზნესის წარმართვისთვის. შესაბამისად, მსოფლიოში ჩატარდა სხვადასხვა კვლევა, რომელიც არეგულირებს და აანალიზებს კულტურულ დისტანციასა და უცხო ბაზარზე შესვლის რეჟიმს შორის წამოჭრილ ურთიერთობებს.

ასევე კულტურული დისტანციის შესწავლის დროს, აუცილებლად განსახილველია ეროვნული კულტურული საკითხების გავლენა ინტერნაციონალიზაციის პროცესზე. ერთი მხრივ, იგი მიზნად ისახავს არსებული ლიტერატურის სისტემატიზაციას, რათა გამოავლინოს კვლევითი ხაზები და ძირითადი დასკვნა. ხოლო, მეორეს მხრივ ის ცდილობს არსებული ლიტერატურის წინააღმდეგობებისა და ნაკლებობების იდენტიფიცირებას, აგრეთვე ახალი კვლევის შესაძლებლობებს.

დღესდღეობით კვლევების აქტუალური მიმართულებაა სხვადასხვა ფაქტორის ანალიზი, რომელსაც შეუძლია შეამსუბუქოს კულტურული ასპექტებისა და კულტურული დისსტანციის გავლენა ინტერნაციონალიზაციის გადაწყვეტილებებზე.

## ბიბლიოგრაფია


1. Brouthers, K.D. and Brouthers, L.E. (2001) ‘Explaining the National Cultural Distance Paradox’, Journal of International Business Studies 32: 177–189;

2. Evans, J. and Mavondo, F.T. (2002) ‘Psychic distance and organizational performance: an empirical examination of international retailing operations’, Journal of International Business Studies 33: 515–532;

3. Hall, E. (1966). The hidden dimension, 1st ed. New York: Doubleday & Co. http://dx.doi.org/;

4. Hofstede G. (1980): *Cultural Consequences: International Differences in Work Related Values*. Sage Publications, Beverly Hills;

5. Kostova, T., Nell, P., &Hoenen, A. 2016. Understanding and resolving agency problems in headquarters-subunitrelationships. Journal of Management;

6. Magnusson, P., Baack, D. W., Zdravkovic, S., Staub, K. M., & Amine, L. S. 2008. Meta-analysis of cultural differences:Another slice at the apple. International Business Review, 17: 520-532;

7. Morosini, P., Shane, S. and Singh, H. (1998) 'National cultural distance and cross-border acquisition performance', Journal of International Business Studies 29: 137–158;

8. Palich, L. and Gomez-Mejia, L.R. (1999) 'A theory of globalstrategy and firm efficiencies: considering the effects ofcultural diversity', Journal of Management 25: 587–606;

9. Pothukuchi, Vijay, Fariborz Damanpour, Jaepil Choi, Chao C. Chen, and Seung Ho Park (2002), "National and Organizational Culture Differences and International Joint Venture Performance," *Journalof International Business Studies*, 33 (2), 243–65;

10. Reus, T. H., & Lamont, B. T. 2009. The double-edged sword of cultural distance in international acquisitions. Journal of International Business Studies, 40: 1298-1316;

11. Shenkar O. (1992): Cultural Distance Revisited: Towards a More rigorous Conceptualization and Measurement of Cultural differences. "Journal of International Business Studies", No. 32 (3);

12. Tihanyi L., Griffith D.A., Russel C.J. (2005): *The Effect of Cultural Distance on Entry Mode Choice, International Diversification, and MNE Performance: A Meta- -Analysis*. "Journal of International Business Studies", No. 36 (3);

13. Zhao H., Luo Y., Suh T. (2004): *Transaction Cost Determinants and Ownership Based Entry Mode Choice: A Meta-Analytic Review*. "Journal of International BusinessStudies", No. 35 (6).

## ANALYSIS OF CULTURAL DISTANCE

**Sofiko Guledani**
Doctoral student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Economics and Business

The paper stresses that, despite the habitual barriers to entry into a foreign market there is a factor which entrepreneurs usually consider less. The theoretical aim of the article is to present the different approaches to conceptualization and determination of cultural distance. The paper is based also on the critical literature overview. The future research aims the author to answer the following questions: What is the impact of cultural distance stimuli on the process of Georgian companies' internationalization? What is the impact of cultural distance stimuli on managers' decisions connected with engagement on international markets? What are the factors determining perceptions of cultural distance by managers?

By the author of the study revealed that in huge amount of researches stated that the managers' perceptions about cultural distance importance in the process of companies' internationalization depend on the managers' experience in activity on international markets, the knowledge of managers about international markets, the level of education of managers, and the level of stability and changeability of environment, in which the company operates. According to the managers, the most important factors having impact on decisions connected with internationalization are: cultural differences (especially differences in religion), political differences (especially the level of democracy), geographic distance (the differences in time zones), the differences in economic systems (the level of economic development), and the differences in mentality (different way of thinking of managers). The factors having impact on companies' engagement in international markets are: the level of democracy, the level of infrastructure development, different way of thinking of managers, and differences in time zones.

The value of the article is creating an understanding of the need to study cultural distance between firms and that a methodology stating that cultural distance should not be measured only with the use of objective constructs and statistical data, but also with the use of subjective data.

# შემოსავლების უთანაბრობის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე



**ნანა სულაძე**
სტუ-ს დოქტორანტი
ელ.ფოსტა: nanasuladze5@gmail.com

**რეზიუმე**

*სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა ზოგადად მოწოდებულია უზრუნველყოს საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება და სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევა, რომლის უმნიშვნელოვანესი ნაწილიც არის მოსახლეობის შემოსავლები.*

*შემოსავლების როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ძალზე დიდია. ისინი განსაზღვრავენ მოთხოვნას სამომხმარებლო საქონელზე და მისი მეშვეობით ფერმის ან ფირმის წარმოების მასშტაბებზე, მის სტრუქტურასა და მოგების ზრდაზე, რაც თავის მხრივ ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და შემოსავლების ზრდის მამოძრავებელ ფაქტორად იქცა.*

*სამართლიანი განაწილების შემთხვევაში გაცილებით დიდია ქვეყნის პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური სტაბილურობა, რაც ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორია. აქედან გამომდინარე კეთდება დასკვნა, რომ არარის შეუძლებელი ერთდროულად ჰქონდეს ადგილი როგორც ეკონომიკურ ზრდას, ასევე განაწილების გაუმჯობესებას.*

*წარმოადგენს რა ეკონომიკური სისტემის შემადგენელ ნაწილს, განაწილებითი ურთიერთობები, მათი გაუმჯობესება იწვევს ეკონომიკური სისტემისთითქმის ყველა ელემენტის გარკვეულ სრულყოფას, რასაც ეკონომიკა გადაჰყავს თვისებრივად ახალ, უფრო მაღალ მდგომარეობაში, რაც ქმნის პირობებსეკონომიკური ზრდის შემდგომი დაჩქარებისათვის: უმჯობესდება ფიზიკური კაპიტალი და ტექნოლოგია, ვინაიდან მეწარმეუკვე ცდილობს მოგება გაზარდოს არა განაწილების გაუარესების ხარჯზე არა-მედ ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფის საფუძველზე. განსაკუთრებით უმჯობესდება ადამიანისეული კაპიტალი, მისი ყველა ელემენტი: ფიზიკური სიჯანსაღე, გონებრივი უნარი, ცოდნა, კვალიფიკაცია. უმჯობესდება საკუთრებითი ურთიერთობები, ვინაიდან მოსახლეობის მეტი ნაწილი ებმება ბიზნესში,ხდება საწარმოს მესაკუთრე. უმჯობესდება ინსტიტუციები და ა.შ. მაგრამ ეს გრძელდება მანამ, სანამ შემოსავლების გათანაბრება არ მიაღწევს ოპტიმალურ მნიშვნელობას, რის შემდეგაც იწყება მეწარმეთა ეკონომიკური ინტერესების დაქვეითება, რაც უარყოფითად აისახება ეკონომიკური ზრდის ტემპებზე- იწყება დაქვეითება. ამიტომ შემოსავლების განაწილებისას აუცილებელია ზომიერების დაცვა, რათა თავიდან იქნას აცილებული შემოსავლების არამართლზომიერი გათანაბრება და შესაბამისად, ეფექტიანობის შემცირება.*

***საკვანძო სიტყვები:*** *შემოსავლების უთანაბრობა; ჯინის კოეფიციენტი; ცხოვრების დონე; რეალური ხელფასი, რეალური შემოსავალი, განათლების დონე; ეკონომიკური განვითარების დონე.*

ცნობილია, რომ რაც უფრო დიდი ხნით იწელება ეკონომიკური რეფორმები, მით უფრო გაძნელდება მათი წარმატებით რეალიზება. და მართლაც, გარდა იმისა, რომ კორუფცია, თაღლითობა და ქურდობა უკანონოდ ახდენენ სიმდიდრის და შემოსავლების გადანაწილებას და ხელს უწყობენ საზოგადოების უკიდურეს პოლარიზაციას მდიდრებად და ღარიბებად, ამავე შედეგს იწვევს სახელმწიფოს ულტრალიბერალური პოლიტიკა. ამ პოლიტიკის შედეგად საზოგადოების მცირე ნაწილი სულ უფრო მდიდრდება უმრავლესობის ხარჯზე, რაც საზოგადოებას და მისი ინტერესებაც ყოფს ორ დაპირისპირებულ მხარედ. ის, რაც აწყობს ერთ მხარეს – არ აწყობს მეორეს. აღნიშნული პოლიტიკის ძირეულად

შეცვლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოების უმრავლესობისთვის, მაგრამ იგი არ შედის საზოგადოების გარკვეული ჯგუფის ინტერესებში. მართალია, ეს ჯგუფი საზოგადოების მცირე ნაწილია, მაგრამ, სწორედ მასშია კონცენტრირებული რეალური ძალაუფლება და მასზეა დამოკიდებული ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარება. ამასთან, ნეოლიბერალური პოლიტიკა და საბაზრო ძალების გათავისუფლება ცხადდება ეკონომიკის განვითარების და საზოგადოების ცხოვრების დონის ამაღლების უმთავრეს პირობად. ანუ მიჩნეულია, რომ იგი ემსახურება მთელი საზოგადოების ინტერესებს. ამ იდეებს, რომლებიც ეფუძნება ნეოკლასიკური თეორიის მცდარ დოგმებს, თავს ახვევენ საზოგადოებას ეკონომიკური განათლების სისტემის და მასმედიის მეშვეობით. ხოლო ამ პოლიტიკის რეალური შედეგები არის შემოსავლების გადანაწილება მდიდარი უმცირესობის სასარგებლოდ, რაც, თვას მხრივ, იწვევს ეკონომიკური განვითარაების ბლოკირებას. აღნიშნული პოლიტიკა ეწინაამდეგება მთლიანად საზოგადოების ინტერესებს. ნეოლიბერალური პოლიტიკის შედეგები დიამეტრალურად განსხვავდება დეკლარირებული მიზნებისაგან. სოციალური უსამართლობა ბადებს უამრავ სხვა პრობლემას: პოლიტიკურ და სოციალურ არასტაბილურობას, საზოგადოების ზნეობრივ დეგრადაციას, კრიმინოგენურ გარემოს, საზოგადოების აპათიას და ა.შ. ეს თავისთავად უმძიმესი პრობლემებია, მაგრამ ეკონომიკური პოლარიზაცია პირველ რიგში პრობლემებს ქმნის თვით ეკონომიკაში.[11, pp. 216-229] საქმე ისაა, რომ საქონლის და მომსახურების წარმოების პროცესში იქმნება ის შემოსავლები, რომლითაც შესყიდული უნდა იქნეს წარმოებული საქონელი. "მიწოდება ქმნის თავის მოთხოვნას" (სეი). მაგრამ თუ ეს შემოსავლები ნაწილდება უკიდურესად უთანაბროდ, მაშინ ერთობლივი მოთხოვნა მცირდება, რაც იწვევს მშპ-ის ვარდნას. ეს გამოწვეულია იმით, რომ მდიდარი უმცირესობა მოიხმარს თავისი შემოსავლების მხოლოდ მცირე ნაწილს და დანარჩენს ზოგავს და ახდენს მის კაპიტალიზაციას. ანუ მდიდარი უმცირესობის შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი არ ხმარდება წარმოებული პროდუქციის შეძენას და გაედინება წარმოების სფეროდან (საფინანსო სექტორში, უძრავი ქონების ბაზრებზე, საზღვარგარეთ ოფშორებში და ა.შ.). ამიტომ, წარმოების სფეროში შექმნილი შემოსავლები, რომელიც რჩება ღარიბ უმრავლესობას, აღარ არის საკმარისი ქვეყანაში წარმოებული საქონლის და მომსახურების შესაძენად. ბაზრებზე რჩება გაუყიდავი საქონელი, ეცემა ფასები, მოგება და წარმოების სტიმულები. საზოგოების დაბალი მსყიდველობითი უნარი არის ერთობლივი მოთხოვნის დასუსტების და ეკონომიკის ზრდის დაბალი ტემპების მთავარი მიზეზი. ხდება ეკონომიკის თვითბლოკირება, რაც განაპირობებს მოთხოვნის ხელოვნური სტიმულირების აუცილებლობას. ასეთი კრიზისი გამოწვეულია არა ეკონომიკური ციკლით, არამედ საბაზრო ეკონომიკის სისტემური პრობლემებით. კერძოდ, გამოწვეულია მონოპოლიზაციის და ეკონომიკური პოლარიზაციის შეუქცევადი პროცესებით, რომლებსაც საბაზრო კონკურენცია თვით ბადებს ევოლუციის შედეგად. [7]

მოსახლეობის ფენებად დაყოფის საფუძვლად მიჩნეულია სიმდიდრე ან შემოსავალი, რაც შემდგომ განათლებისა და კულტურის დონეებით შეიძლება დაკორექტირდეს. მოსახლეობაში საშუალო ფენის პროცენტული შემადგენლობის ზრდა და მცირე მეწარმეობის განვითარება საქართველოში მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ცხოვრების დონე, უწინარეს ყოვლისა, იმ ფულად შემოსავალზეა დამოკიდებული,რასაც საზოგადოების წევრები სხვადასხვა არხიდან ღებულობენ. ეს იმით აიხსნება, რომ, ვინაიდან საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სამომხმარებლო დოვლათისა და მომსახურების ძირითადი ნაწილი რეალიზდება საქონლური ფორმით, ვისაც მეტი შემოსავალი, ის მეტი რაოდენობით შეიძენს მოხმარების საგნებს და უკეთ დაიკმაყოფილებს მოთხოვნილებებს, ხოლო ვისაც მცირე შემოსავალი აქვს, ის მოკრძალებული ოდენობით თუ შესძლებს ასეთი საგნების შეძენას და მოთხოვნილებებსაც მის შესაბამისად დაიკმაყოფილებს. მოსახლეობის დაბალ შემოსავლიანი ფენის ნაწილი გასამრჯელოს სანაცვლოდ ცდილობს დაკარგულის ანაზღაურებას, მათ შორის, სხვადასხვა სახის ეკონომიკური დანაშაულის ჩადენით.

საერთოდ, სილარიბის როგორც აბსოლუტური, ისე ფარდობითი დონე ბევრადაა დამოკიდებული შემოსავლების სამართლიან განაწილებაზე ქვეყანაში.შემოსავლების განაწილების ყველაზე მიღებულ მაჩვენებლად ითვლება მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების (კვანტილიების) ხვედრითი წილი შემოსავლებისსაერთო მოცულობაში. ასევე მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ლორენცისმრუდი და მასთან დაკავშირებული ჯინის კოეფიციენტი. ეს კოეფიციენტი იცვლება 0-დან 1-მდე და რაც უფრო ახლოსაა იგი 0-თან, მით უფრო

თანაბარიდა სამართლიანია შემოსავლების განაწილება. თუმცა შემოსავლების ზუსტადთანაბარი განაწილება შეუძლებელია რომელ ეკონომიკურ წყობილებასთანაცარ უნდა გვქონდეს საქმე.

ფულადი შემოსავლის მიღების ერთ-ერთი მთავარი წყაროა ხელფასი. მას ღებულობენ შრომითი კონტრაქტით მომუშავენი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ასეთ კატეგორიას განეკუთვნებიან დაქირავებული მუშით დაწყებული და უზარმაზარი კორპორაციის მენეჯერით დამთავრებული მუშაკები. თავიანთი შრომის საფასურად (გასამრჯელოდ), მათ მიერ ფულადი გამოხატულებით მიღებულ შემოსავალს ნომინალური ხელფასი ეწოდება (მაგალითად, თვეში 500 დოლარი ან 50 ლარი და ა.შ.) იგი ვერ იძლევა ნათელ წარმოდგენას მისი მიმღები მუშაკის (ეს ერთადერთი შემოსავალიც რო იყოს) ცხოვრების დონეზე. ამ თვალსაზრისით უფრო პრაქტიკული მნიშვნელობისაა რეალური ხელფასი. მის შინაარსს განსაზღვრავს მატერიალური დოვლათისა და მომსახურებათა მასა, რომლის შეძენაც შეიძლება ნომინალური ხელფასის სახით მიღებული თანხით. რეალური ხელფასის დონეში მომხდარ ცვლილებათა დასადგენად საანგარიშო პერიოდში ხელფასის ინდექსი უნდა გაიყოს საქონლის ფასებისა და მომსახურების ტარიფების ინდექსზე და გამრავლდეს 100-ზე. ყველაზე იდეალური ვარიანტია ნომინალური ხელფასის ზრდა და იმავდროულად საქონელზე საცალო ფასებისა და მომსახურების ტარიფების შემცირება, რამდენადაც, სხვა თანაბარ პირობებში, მისი გარდაუვალი შედეგია რეალური ხელფასის სწრაფი და განუხრელი მატება (ხელფასის სახით მიღებული თანხით წინანდელ პერიოდთან შედარებით, გაცილებით მეტი მოხმარების საგნებისა და მომსახურების შეძენა).

რეალური ხელფასი შეიძლება რამდენადმე ამაღლდეს საცალო ფასებისა და ტარიფების ზრდის შემთხვევაშიც, ტუკი ნომინალური ხელფასი იმდენად მოიმატებს, რომ გაძვირების მიუხედავად მომხმარებელს საშუალება მიეცემა უფრო მეტი საქონელი და მომსახურება შეიძინოს, ვიდრე მანამდე იძენდა. ყველაზე ცუდი ვარიანტია ნომინალური ხელფასის კლება და საცალო ფასებისა და ტარიფების ზრდა, ვინაიდან იგი აუცილებლად განსაზღვრავს ცხოვრების პირობების გაუარესებას. ცხოვრების დონე ეცემა მაშინაც, როცა ნომინალური ხელფასი იზრდება, მაგრამ მასზე უფრო სწრაფი ტემპით მატულობს მოხმარების საგნებზე საცალო ფასები და მომსახურები ტარიფები. [10, გვ. 437] რეალური ხელფასი (რომ არფერი ვთქვათ ნომინალურ ხელფასზე) სრულ წარმოდგენას ვერ იძლევა ცხოვრების დონეზე არა მარტო იმიტომ,რომ იგი საზოგადოების მხოლოდ ერთ ნაწილს (გარკვეულ კატეგორიას) შეეხება, არამედ იმიტომაც, რომ ყველა შემოსავალს არ მოიცავს. როცა ერთობლივ შემოსავალზე ვლაპარაკობთ, უპრიანია ვიმსჯელოთ არა პიროვნების, არამედ ოჯახის, როგორც საზოგადოების ძირეული რგოლის (იჯრედის), შემოსავალზე, რამდენადაც შედარებით უფრო სრულად მისი ასახვა სწორედ ამ გზით შეიძლება. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ოჯახის ერთობლივი შემოსავალი, გარდა ზემოაღნიშნული, ხელფასის სახით მიღებული ფულადი შემოსავლისა, შედგება : მეწარმეობრივი შემოსავლისაგან, საკუთრებიდან შემოსავლისაგან (რენტა, სარგებელი, დივიდენდი, საარენდო შემოსავალი), სახელმწიფო ტრანსფერტული შემოსავლებისაგან (პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები, უფასო მომსახურება ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სფეროში), სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლისაგან (მემკვიდრეობა, ანდეძი, ჩუქება და სხვ.). აღნიშნულ შმოსავალთა ერთობლივი ჯამი ოჯახის ნომინალური შემოსავალია. რეალური ხელფასის ანალოგიურად, რეალური შემოსავალი განისაზღვრება საქონლისა და მომსახურების რაოდენობით, რომლის შეძენა შესაძლებელია ნომინალური შემოსავლის თანხით. რეალური შემოსავლის ცვლილება მარტივი ფორმულით დაახლოებით ასეთნაირად შეიძლება გამოვსახოთ: რეალური შემოსავლის ცვლილებები = ნომინალური შემოსავლის ცვლილებები (%- ობით) მინუს ცვლილებები ფასებისა და ტარიფების დონეში (% - ობით). მაგალითად, თუ თქვენი ნომინალური შემოსავალი მოცემული წლის განმავლობაში გაიზრდება 20 % - ით (100დან 120 ლარამდე),ხოლო ფასების დონე (ინდექსი)- 10% - ით (100 დან 110 მდე), მაშინ რეალური შემოსავალი გაიზრდება 9 % - ით (120 :110) და, პირიქით, ნომინალური შემოსავლის 10 %-იანი გადიდება 20 %- იანი ინფლაციის პირობებში, თქვენს რეალურ შემოსავალს შეამცირებს დაახლოებით 10 % - ით. უნდა დაიმახსოვროთ, რომ თვით ინფლაციის ფაქტი - ლარის მსყიდველობითუნარიანობის დაცემა ანუ იმ საქონლისა და მომსახურების რაოდენობის შემცირება, რომელიც ლარით შეიძლება შეიძინოთ, აუცილებლად არ გამოიწვევს თქვენი პირადი რეალური შემოსავლის შემცირებას ან ცხოვრების დონის დაცემას. მართალია, ინფლაცია შეამცირებს ლარის მსყიდველობით უნარს, მაგრამ თქვენი რეალური შემოსავალი და შესაბამისად, ცხოვრების

დონე შემცირდება მხოლოდ მაშინ, თუ თქვენი ნომინალური შემოსავლის ზრდა ჩამორჩება ინფლაციას. ნომინალური შემოსავალი, როგორც აღვნიშნეთ, ოჯახის ერთობლივი შემოსავალია, მაგრამ სანამ ამ მაჩვენბელს რეალური შემოსავლის გასათვლელად გამოვიყენებთ, აუცილებელია,მას გამოვაკლოთ გადასახადები (ე.ი ის ნაწილი, რომელიც რეალურად ვერ იქნება გამოყენებული მოხმარების საგნებისა და მომსახურებათა შესაძენად). ამ კორექტივის გარეშე გაანგარიშებული რეალური შემოსავალი მნიშვნელოვანწილად არარეალურ საფუძველზე იქნება დამყარებული და სწორი დასკვნების გასაკეთებლად ვერ გამოდგება. ცხოვრების დონის ასახვის თვალსაზრისით, არც ყველა მოთხოვნის დაცვით გაანგარიშებული რეალური შემოსავალია უნაკლო, რამდენადაც იგი ვერ გვიჩვენებს მიღებული შემოსავლის შესაბამისი ოდენობის მოხმარების საგნებითა და მომსახურებით უზრონველყოფის შესაძლებლობებს (შეიძლება ფული გვქონდეს, მაგრამ ჩვენთვის სასურველი მოხმარების საგნები ვერ შევიძინოთმათი დეფიციტის გამო); თანაც გარკვეულ პერიოდში (მაგალითად ,ერთი წლის მანძილზე) შემოსავლის მიღება ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის ფაქტიურ გამოყენებას იმავე პერიოდში; რეალური შემოსავალი წარმოდგენას არ იძლევა ხანგრძლივი მოხმარების დაგროვილ საშუალებათა (ავეჯი, კერძო მფლობელობაში მყოფი ავტომანქანა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნები და სხვ.) მოცემულ პერიოდში გამოყენებაზე; იგი არ გამოხატავს საზოგადოების წევრთა მოთხობნილებების მოძრაობის ხასიათს, მის სტრუქტურას. მიუხედავად ყოველივე ამისა, რეალური შემოსავალი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამსახველი მნიშვნელოვანი სინთეზური მაჩვენებელია. მისი, როგორც ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებლის, გაანგარიშება მიზანშეწონილია დიფერენცირებულად პროფესიული (მეცნიერი მუ/საკები, ექიმები, პედაგოგები, ინჟინრები, მხატვრები და ა.შ.),სოციალური (პენსიონერები, ომის ინვალიდები, მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა დედები და ა.შ.), რეგიონული (სამცხე-ჯავახეთი, მთიანი აჭარა, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო ქართლი და ა.შ.) და სხვა ნიშნების მიხედვით. ამისათვი საჭირო ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება შეიძლება მოსახლეობის აღწერების, სოციოლოგიური და სტატისტიკური ორგანოების მიერ ჩატარებული შერჩევითი გამოკვლევების გზით. მიღებული შდეგების მეცნიერული გაანალიზება-განზოგადების შედეგად გაკეთებული პრაქტიკული დასკვნები მოქნილი დიფერენცირებული ეკონომიკური პოლიტიკის გატარების საფუძველია.

„განვითარებულ ქვეყნებში „მუდამ მშფოთვარე“ მოსახლეობის სშუალო ფენაზე მთელი მოსახლეობის დაახლოებით 60-75% მოდის, პოსტკომუნისტურ საქართველოში კი ის 15-20%-მდე ვარირებით შეიძლება დახასიათდეს და მის ოპტიმალურ მნიშვნელობაზე მხოლოდ მინიშნებით შეიძლება საუბარი“. [8, გვ. 563]

მდიდრად ითვლება ფენა, რომელიც ფლობს საუკეთესო ეკონომიკურ პი-რობებს და გააჩნია მაღალი შემოსავალი, ზოგჯერ ზრუნავს სხვა ფენების კეთილდღეობის ამაღლებაზეც. მოსახლეობის ღარიბ ფენას თავი ძლივს გააქვს და მხოლოდ ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დონეზე არსებობის შენარჩუ-ნებას ცდილობს. განვითარებულ ქვეყნებში მათზე მთელი მოსახლეობის დაახლოებით 20% მოდის, 3-5%-ის ცდომილებით.

მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის პირობების შექმნა ყველგან და მ.შ. საქართველოშიც გულისხმობს მოსახლეობის საშუალო ფენის რიცხოვნობის ზრდას, შეფასებისათვის კრიტერიუმების დადგენას და მისი მიხედვით მოსახლეობის სტრუქტურის ოპტიმიზაციას, რომლის საფუძველი შეიძლება იყოს არა მხოლოდ უცხოური ინვესტიციები, არამედ ქვეყნის შინაგანი რესურსებით საქმიანი აქტივობის დაფინანსების შესაძლებლობები და მათი თავისუფალი მოქმედებისა და სინერგიული ეფექტის მიღებისათვის სათანადო პირობების შექმნა. ეს, უმუშევრობის შემცირებასთან ერთად, საშუალო ფენის გაძლიერებას გამოიწვევს, ხოლო დაზღვევის სხვადასხვა ფორმის გამოყენების მოშველიება მნიშვნელოვნად შეამცირებს ყოველგვარ მოსალოდნელ რისკს. უნდა ითქვას იმაზეც, რომ მუშაობა ამ მიმართულებით საქართველოში უკვე დაწყე-ბულია, მაგრამ მოსახლეობას ბოლომდე ჯერაც არ აქვს გაცნობიერებული დაზღვევის არც არსი და არც მოსალოდნელი შედეგები.

შევნიშნავთ, რომ პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკაში 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან სახელმწიფომ აშკარად დაიწყო ზრუნვა მოსახლეობის მდიდარი ფენის შესაქმნელად, რამაც, ფაქტობრივად, საშუალო ფენის გაღარიბების ხარჯზე გამდიდრებული პარტოკრატიისა და ტექნოკრატიის დიდი ნაწილი გააძლიერა, საშუალო ფენა კი ძალზე დაასუსტა. ამის ანალოგად შეიძლება ჩაითვალოს საბჭოთა ხელისუფლების დროს წინა პლანზე პროლეტარიატის ჰეგემონიის წამოწევა.

მოსახლეობის საშუალო ფენაში ვგულისხმობთ

ცხოვრების საშუალო დონეზე შესანარჩუნებლად "მოღვაწე" ადამიანთა ერთობლიობას, რომლებიც უმუშევრები არ არიან, აქვთ საშუალო შემოსავალი, განათლებისა და კულტურის მაღალი დონე და საარსებო საშუალებებზე, ანუ ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების გარდა, ბევრი სხვა მოთხოვნილებაც, იქნება ეს უსაფრთხოებისა თუ მომავლის საიმედობის, სოციალური, პატივისცემის თუ თვითგამოხატვის და მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობა. თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში სწორედ მოსახლეობის საშუალო ფენაა ხელი-სუფლების დასაყრდენი, საზოგადოებრივი აზრის შემქმნელი და ცხოვრებაში მისი განმახორციელებელი, საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი, ჯანსაღი მომავალი თაობის აღმზრდელი და ა.შ.

საშუალო ფენაში მოხვედრილ ადამიანთა უმრავლესობა გამოირჩევა მაღალი ინტელექტით, სახელმწიფოს აღმშენებლობაში მონაწილეობის უნარით, განათლების მაღალი დონით, პატრიოტიზმით, შრომითი საქმიანობის გააქტიურებისაკენ მისწრაფებით და ა.შ. მოსახლეობის საშუალო ფენაში მოიაზრებიან მენეჯერები, ექიმები, ინჟინრები, პედაგოგები, ეკონომისტები, მეცნიერები და სხვა.

სხვადასხვა ქვეყანაში საშუალო ფენის მოსახლეობის რიცხოვნობის დასადგენად გამოყენებული ზოგადი კრიტერიუმები პრინციპში ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ მიღებული შედეგები ერთმანეთისაგან აშკარად განსხვავდება, რამდენადაც დიდი როლი ექსპერტულ შეფასებებს ენიჭება, რომელშიც უპირველესად გაითვალისწინება კონკრეტულ ქვეყანაში არსებული რეალობა, რომლის ინდიკატორები შეიძლება იყოს პოლიტიკური აქტივობა, სიმდიდრისა და განათლების დონე, კულტურული ფასეულობები და ა.შ. ამიტომ ის, ვინც ერთ ქვეყანაში მდიდრად ითვლება, მეორეში შეიძლება ღარიბად იქნეს მიჩნეული და პირიქით.

საქართველოში ძალზე გართულებულია მოსახლეობის ფენების მიხედვით ზუსტი სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება. ასეთი მაჩვენებლების გაურკვევლობის გამო, სიძნელეები იქმნება და იძულებული ვხდებით, ვისარგებლოთ მხოლოდ ექსპერტული შეფასებებით, რომელიც ერთმანეთისაგან საკმაოდ გან-სხვავებული შეიძლება იყოს და, ამდენად, ზუსტი ვერ იქნება.

